სკოლების მრავალფეროვნება - მშობლის არჩევანზე მოქმედი ფაქტორები კერძო და საჯარო სკოლების შერჩევისას

ანა თარხნიშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

1.2 განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ საშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა თარხნიშვილი

4 აპრილი 2023 წელი

აბსტრაქტი

სახელმწიფო სკოლების არსებობა და განვითარება მრავალი ფაქტორით არის განპირობებული, მათ შორის საზოგადოებრივი ცოდნისა და ცნობიერების გაზრდა, სოციალური კონფლიქტის შემცირება და სხვა. სახელმწიფო განათლების სისტემა განათლების პოლიტიკის შექმნით ემსახურება სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული პოლიტიკური და სოციალური მიზნების მიღწევას. ამის მაგალითია აშშ-ს განათლების სისტემა მე-19 საუკუნეში, რომელიც ქვეყანაში სოციალური პრობლემების მოგვარების ქვაკუთხედად იქცა.

კერძო განათლება, როგორც არაოფიციალური, ისე ოფიციალური ცენტრალურ ადგილს იკავებს ყველა კულტურასა და საზოგადოებაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება კვლევებს, რომლებიც ერთი მხრივ, შეისწავლიან იმას, თუ როგორი სამართლებრივი გარემო არსებობს კერძო განათლების არსებობისათვის ქვეყანაში, და მეორე მხრივ, ადგენენ მშობლების არჩევანის განმსაზღვრელ ფაქტორებსა და გარემოებებს. განსხვავება კერძო და სახელმწიფო სკოლებს შორის აშკარაა, აშკარაა ასევე კერძო სკოლების ზრდის დინამიკა და საშუალო განათლების სისტემაში მოსწავლეთა რაოდენობის ზრდადი წილობრივი მონაწილეობა. მაგრამ ის, თუ რა არის საუკეთესო საკუთარი შვილისათვის სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით, ხშირად არის მშობლების საუბრისა და კამათის საგანი. „რომელი სჯობს კერძო თუ სახემწიფო?“, ამ კითხვაზე არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი პასუხი. ამ კითხვაზე ყველაზე ხშირი და მოკლე პასუხია *„გაარჩნია ვისთვის და რა გარემოებებში“*. მშობლები რა არგუმენტებით ოპერირებენ, რა ფაქტორს რა წონა აქვს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ამ გადაწყვეტილების შემდგომ შეფასებაში, რამდენად კმაყოფილები არიან ან რამდენად ცვლიან თავიანთ თავდაპირველ გადაწყვეტილებას, აგრძელებენ თუ არა მშობლები სკოლების შესახებ ინფორმაციის მოძიებას და ახორციელებენ თუ არა მობილობას - ეს საკითხები იყო ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის ძირითადი ამოცანები. ასევე კვლევა მიზნად

ისახავდა იმის გაანალიზებას, თუ რამდენად აქვს ოჯახის სიციოეკონომიკურ მაჩვენებლებს, შვილის სქესს და შვილების რაოდენობას მნიშვნელობა სკოლის ძებნის/არჩევის კრიტერიუმებისათვის.

სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს იკვლიოს მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ მშობლის არჩევანს სკოლის შერჩევის პროცესში. კვლევა აანალიზებს თუ რა პრობლემები უდგას მშობელს, როდესაც გადაწყვეტილებას იღებს შეიყვანოს შვილი კერძო, თუ საჯარო სკოლაში, როგორია მშობლის მხრიდან სკოლების შესახებ ინფორმაციის წვდომა და წყაროები, და როგორია მშობლის მიერ აღქმული რეალობა, ასევე როგორ ხდება ამ რეალობის მორგება ფინანსურ თუ სხვა ტიპის შესაძლებლობებთან, სურვილებთან, მიზნებთან და მოთხოვნებთან, რომელსაც მშობელი საშუალო განათლების ინსტიტუციას უყენებს.

კვლევა ითვალიწინებდა თვისებრივ და რაოდენობრივ კომპონენტებს, მათ შორის ინტერვიუებს სკოლის დირექტორებთან, სფეროს ექსპერტებთან და მშობლებთან. რაოდენობრივი კვლევის მაღალი საიმედობის უზრუნველსაყოფად ჩავატარე ფართომასშტაბიანი რაოდეობრივი კვლევა _ 600 კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობელთან პირისპირ ინტერვიუს მეთოდით. ხანგრძლივი, 1 საათიანი ინტერვიუს განმავლობაში შევეცადე მშობელთან ერთად სრულად აღგვედგინა და გაგვეგო სკოლის არჩევის ხანგრძლივი და რთული პროცესი და მასთან დაკავშირებული უამრავი გარემოება.

სამაგიდე კვლევის ფარგლებში, დავამუშავე და გავაანალიზე სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევის მასალები, გავეცანი საქართველოში კერძო სკოლების განვითარებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებსა და სტატისტიკას.

Abstract

The existence and development of public schools is influenced by a plethora of factors. Through the creation of education policies, any state education system is striving to accomplish specific goals. Both informal and formal private schooling is taking the lead in all cultures and societies. Unmistakably, the distinction between private and public schools is evident. However, given the different circumstances, choosing the best alternative for a child is regularly a fervently discussed topic among parents. There is no universal answer to the question whether private schools are actually better than or superior to the public schools. Our research aimed to describe the school choice process, it focuses on unveiling the factors and their interrelation while the parent choosing between two types of schools—private and public. First of all, the research aims to describe the parent's perception of achieving success at school, what is the base for such belief, what the sentence—"School—base of future success" actually mean. How important is so called social index? The significance of the reputation and prestige of the educational institution during school choice process—as a guarantee for future success. The key questions for the research were as follows: (1) How interested the parents are to be actively involved in school choice process and spend certain period of time for that? (2) What factors are considered by the parents during school choice and what is the source they receive information from? (3) Does the family's socioeconomic condition and the kids gender have influence on the process? It's worth mentioning that, generally the research results fully coincide with the school choice theory arguments and the research findings conducted in the similar field. All these are described and presented in the first part of the article. The probabilities listed on the base of the current data, that the information source, the parent's information level, the parents' engagement as well as the family's socioeconomic and demographic status play integral role in the school choice process appeared to be genuine. Apparently, the parents are much interested to provide perfect future for their kids, though socioeconomic conditions, environment, poor educational system limits their choice. Once our results compared to the existing literature and theory, one can see that our study

conducted in Georgia follows the trends of the developed countries, known as the "Heyneman-Loxley effect.

ძირითადი საძიებო სიტყვები:

School choice, Parent Participation, Family Involvement, Rational choice, Public vs Private, Factors; Private schools; Parents decision; social-class segregation, Socioeconomic stratification

მადლობა

მადლობას ვუხდი სამეციერო ხელმძღვანელს შორენა საძაგლიშვილს, ძალიან ღირებული და პრაქტიკული რჩევებისათვის ნაშრომის დაგეგმვასა და შესრულებაში, ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ორგანიზაცია ბისიჯი კვლევის ინტერვიუერებს, კვლევის საველე სამუშაოების ჩატარებაში დახმარებისათვის. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ვანო კეჭაყმაძეს დახმარებისათვის კვლევის მეთოდოლოგიის დახვეწასა და დამუშავებაში.

სარჩევი

1.7 გრაფიკების ჩამონათვალი ix
1.8 ცხრილების ჩამონათვალი x
1.9 აბრევიატურების ჩამონათვალი xi
2.2. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა 3
2.2.1 განვითარებადი ქვეყნების განსხვავებული გარემოებები 4
2.2.2 რა პრინციპული განსხვავებაა სახელწიფო და კერძო სკოლებს შორის? 6
2.2.4 მშობლის მიერ სკოლის არჩევის პროცესი 14
2.2.5 მშობლის არჩევანზე მოქმედი ფაქტორები 18
2.2.7 ჰეიმან-ლოქსლის ეფექტი 35
2.2.8 კერძო სკოლების სეგმენტი საქართველოში 38
2.3 საქართველოს სასკოლო განათლების შედეგები გლობალურ კონტექსტში 45
2.3 კვლევითი კონტექსტი და მეთოდოლოგია 57
2.3.1 კვლევის მიზნები და ამოცანები 57
2.3.2 რაოდენობითი კვლევის შერჩევის დიზაინი 61
2.4 კვლევის შედეგები 63
86
2.5 შეჯამება და დისკუსია 99
2.6 დასკვნები 109
3. ბიბლიოგრაფია 110
4. დანართი #1 კითხვარი მშობლებისათვის 120

1.7 გრაფიკების ჩამონათვალი

გრაფიკი 1კერძო სკოლების პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით.....42

გრაფიკი 2 კერძო სკოლების გადანაწილება რეგიონულ და ქალაქების ტიპის დასახლებებში.....43

გრაფიკი 3კერძო სკოლები სწავლის საფასურის მიხედვით (წელიწადში).....43

გრაფიკი 4 (წელიწადში) 3000-დან 5000 ლარამდე სწავლის საფასურის მქონე კერძო სკოლების გადანაწილება რეგიონების მიხედვით.....44

გრაფიკი 5 (წელიწადში) 500-დან 1000 ლარამდე სწავლის საფასურის მქონე კერძო სკოლების გადანაწილება რეგიონების მიხედვით.....44

გრაფიკი 6 (წელიწადში) 500-დან 1000 ლარამდე სწავლის საფასურის მქონე კერძო სკოლების გადანაწილება რეგიონების მიხედვით.....45

გრაფიკი 7 (წელიწადში) 500-დან 1000 ლარამდე სწავლის საფასურის მქონე კერძო სკოლების გადანაწილება რეგიონების მიხედვით.....47

გრაფიკი 8 TIMSS-ის მონაცემებს მიხედვით საქართველოს მიღწედვების შედარება ბუნებისმეტყველებაში 47 ქვეყნის მიღწევებთან.....48

გრაფიკი 9 70 ქვეყნის მოსწავლეთა მიღწევების რეიტინგული სია საერთაშირისო კვლევის PISA-ს მონაცემებით.....50

გრაფიკი 10 TIMSS-ის მონაცემების მიხედვით კერძო და საჯარო, სოფელსა და ქალაქს შორის, ასევე სხვადასხვაენოვან სკოლებს შორის განსხვავება სკოლების მიღწევის მაჩვენებლების მიხედვით.....52

გრაფიკი 11 კერძო და საჯარო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა წლების მიხედვით 55

გრაფიკი 12კერძო და საჯარო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა წლების მიხედვით 86

გრაფიკი 13 მშობლების საკუთარი არჩევანით კმაყოფილების პროცენული განაწილება 94

1.8 ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1 მახასიათებლები რის მიხედვითაც მიიღეს მშობლებმა გადაწყვეტილება სკოლის არჩევანთან დაკავშირებით 64
ცხრილი 2 ფაქტორები, რომლის შესახებაც მშობლები ფლობდნენ ინფორმაციას სკოლის არჩევამდე 66
ცხრილი 3 რა სიხშირით იღებენ მშობლები ინფორმაციას განათლების სფეროში სიახლეების შესახებ 68
ცხრილი 4 რა სიხშირით გაიხილავენ განათლების საკითხებს მეგობრებსა და ახლობლებთან 69
ცხრილი 5 პასუხი კითხვაზე თუ სად სწავლობენ მათი ახლობლების შვილების უმეტესობა სახელმწიფო თუ კერძო სკოლაშიცხრილი#5 პასუხი კითხვაზე თუ სად სწავლობენ მათი ახლობლების შვილების უმეტესობა სახელმწიფო თუ კერძო სკოლაში 69
ცხრილი 6 რომელ ფენას მიაკუთვნებენ გამოკითხული მშობლები საკუთარ ოჯახს ..71
ცხრილი 7 გამოკითხული რესპონდეტების ოჯახების ყოველთვიური შემოსავალი ..71
ცხრილი 8 ოჯახის ცხოვრების ხარისხის შეფასება ოჯახისათვის ხელმისაწვდომი ხარჯების მიხედვით 72
ცხრილი 9 მშობლების განათლება 73
ცხრილი 10 მოსწავლეთა რიცხოვნობა კერძო და საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სქესის მიხედვით (2017 წლის ოქტომბერი) 74
ცხრილი 11 გამოკითხული მშობლების პროცენტულობა რომლებიც სკოლის არჩევის მომენტში არჩევანს აკეთებდნენ კერძო და საჯარო სკოლებს შორის 75
ცხრილი 12 სკოლების შერჩევის კრიტერიუმები 78
ცხრილი 13 მიზეზი რატომ აირჩიეს მშობლებმა კონკრეტული სკოლა 80
ცხრილი 14 38 მაასიათებლის მიხედვით საჯარო, კერძო და იმ სკოლის შეფასება რომელშიც რესპონდენტის შვილი სწავლობს 83
ცხრილი 15 რესპონდენტის მიერ დასახელემული მახასიათელები რით სჯობს კერძო სკოლა საჯაროს 87

ცხრილი 16 რესპონდენტის მიერ დასახელემული მახასიათელები რით სჯობს საკარო სკოლა კერძოს 88
ცხრილი 17 ფაქტორული ანალიზის შედეგად მიღებული ფაქტორების მიმართება კერძო და საჯარო სკოლისათვის 90
ცხრილი 18 მოსწავლის პიროვნული თვისებების ასოციაცია კერძო და საჯარო სკოლასთან 92
ცხრილი 19 როგორ თვლიან რესპონდენტები არსებობს თუ არა საკმარისი ალტერნატივა სასურველი სკოლის ასარჩევად....93
ცხრილი 20 პროცენტული განაწილება იმისა, თუ რა წრეებზე ატარებენ მშობლები შვილებს....96
ცხრილი 21პროცენტული განაწილება, თუ რა დამატებით საგნებში ამზადებენ მშობლები შვილებს....96
ცხრილი 22 მშობლების მოსაზრება სწავლების რომელი ეტაპია ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელშიც მშობელმა უნდა ჩადოს ინვესტიცია 98

1.9 აბრევიატურების ჩამონათვალი

CHAT _ Cultural-Historical Activity theory

NCES_ U. S. Department of Education's National Center for Education Statistics

PIRLS _წიგნიერების საერთაშორისო კვლევა

TIMSS_ მათემატიკის და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების კვლევა

PISA _ მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა

TEDS _ მასწავლებელთა განათლების და განვითარების საერთაშორისო კვლევა

TALIS _ სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა

HL ეფექტი _ ჰეიმან ლოქსლის ეფექტი

SAS _ ოჯახის სოციალური სტატუსი

CHAT _ Cultural-Historical Activity theory

MORA _ ინდონეზიაში „სამინისტრო რელიგიის საკიხებში“

2.1 შესავალი

სკოლის შერჩევის პროცესი თავისი აქტუალურობისა და მრავალფაქტორიანობის გამო მკვლევართა და განათლების სფეროში თეორიტიკოსთა ყურადღების სფეროში მოექცა და კვლევებისა და დისკუსიის საგნად იქცა. როგორც მკვლევარი ფრანსის ფლაუერი აღნიშნავს, „სკოლის შერჩევა განათლების პოლიტიკის ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე წინააღმდეგობრივი საკითხია“ (Fowler, 2002). 1950 წლის შემდგომ, მას მერე რაც მილტონ ფრიდმანმა გამოაქვეყნა თავისი ცნობილი ნარომი „მთავრობის როლი განათლების სისტემაში“. ნაშრომის გამოქვეყნებიდან მიმდინარეობს დისკუსია იმის შესახებ, თუ რა გავლენა აქვს არჩევანს სწავლის ხარისხზე და სოციალურ კაპიტალზე. ამ საკითხის გარშემო საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების შედეგად მიიჩნევა OSCD ქვეყნების 2/3-ში (შედის 37 ქვეყანა) მშობლისათვის არჩევანის შესაძლებლობების გაუმჯობესება. (Musset, 2012).

მოთხოვნა კერძო სკოლებზე წლიდან წლამდე იზრდება. მსოფლიოში UNESCO-ს სტატისტიკის მიხედვით 2000 წელს კერძო სკოლებში განათლებას იღებდა მსოფლიოს მოსწავლეთა 16%, 2000-2009 წლებში ეს მაჩვენებელი 20%-მდე გაიზარდა.

განსაკუთრებული ზრდით გამოირჩევა ლათინური ამერიკის ქვეყნები: კოლუმბია, არგენტინა, ბრაზილია და ჩილე სადაც კერძო სკოლების მოსწავლეების წილი 30-35%-ია. ჩილე ქმნის კარგ მაგალითს, სადაც 1980 წლიდან სახელმწიფოს მხრიდან კერძო სკოლები სახელმწიფო სკოლების მსგავსად, ზუსტად თანაბრად ფინანსდება. შედეგად, ბოლო 10 წელიწადში კერძო სკოლების რიცხვი ქვეყანაში 1000-ით გაიზარდა, ხოლო დედაქალაქში (სანტიაგოში) კერძო სკოლების მოსწავლეთა პროცენტული წილი 55%-ს აღწევს.

კერძო სკოლების სექტორი ასევე სწრაფად ვითარდება პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, როგორიცაა: რუსეთი, პოლონეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა. რამდენადაც, ტოტალური რეჟიმისა და სოციალისტური იდეოლოგიის გამო, გვიან 80-იან

წლებამდე კერძო სკოლები ამ ქვეყნებში საერთოდ არ არსებობდა. რუსეთში კერძო სკოლების არსებობა 1991 წლიდან გახდა შესაძლებელი, მას მერე რაც მიიღეს რუსეთის ფედერაციის განათლების ახალი კანონი. პოსტსოციალისტური პოლონეთი კერძო სკოლების განსაკუთრებული ზრდით გამოირჩევა. 1990 წელს 20 კერძო სკოლა იყო პოლონეთში, 1991 წელს 200 ერთეულით გაიზარდა და 1992 წელს 430-ს მიაღწია (Glenn 1995), ჩეხეთის რესპუბლიკაში 1996 წლისთვის 900-მე კერძო სკოლა ფუნქციონირებდა რომლებიც ემსახურებოდა 100000 მოსწავლეს (Svecova 2000).

აზიაში კერძო სკოლების წილი კიდევ უფრო მაღალია. ამ მხრივ გამოირჩევა იაპონია, კორეა და ტაივანი. საშუალო განათლებას კერძო სკოლებში იღებს იაპონიის მოსწავლეთა 80% და კორეის მოსწავლეთა 79%-ს, 1998-1999 წლებში კერძო კოლეჯებში სწავლობდა მოსწავლეთა მთელი რაოდენობის 51%. (სტატისტიკის ბიური 1999 წელი)

საქართველოს განათლების სისტემაში 2084 საჯარო და 243 კერძო სკოლა ფუნქციონირებს, მოსწავლეთა რაოდენობა კი დაახლოებით 550 000-ია. საქართველოს მთავრობა ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობებით ყველა მოსწავლე (ტაბატაძე, გორგაძე, 2014)

სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს იკვლიოს მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ მშობლის არჩევანს სკოლის შერჩევის პროცესში. კვლევა აანალიზებს, თუ რა პრობლემები უდგას მშობელს, როდესაც გადაწყვეტილებას იღებს მიიყვანოს შვილი კერძო თუ სახელმწიფო სკოლაში, როგორია მშობლის მიერ აღქმული რეალობა და როგორ ხდება ამ რეალობის მორგება ფინანსურ და სხვა ტიპის შესაძლებლობებთან, სურვილებთან, მიზნებთან და მოთხოვნებთან, რომელსაც მშობელი საშუალო განათლების ინსტიტუციას უყენებს.

2.2. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომის ამ ნაწილში განვიხილავ სამეცნიერო წყაროებს, ლიტერატურასა და დიკუსიას, რომელიც წარმოებს სკოლის არჩევანისათვის მნიშვნელოვან ფაქტორებზე, ასევე შეისწავლის მშობლის არჩევანთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებსა და გარემოებებს.

პირველი საკითხი, რომელსაც უნდა შევეხოთ სკოლებზე დისკუსიისას, კერძო განათლების დეფინიციაა. ლევინმა (Levin 2001) გამოყო სამი მახასიათებელი, რომლითაც კერძო განათლება განსხვავდება სახელმწიფო/საჯარო განათლებისაგან. ესენია: დაფინანსება, სპონსორობა და მართვა/კონტროლი. მეორეს მხრივ, სახელმწიფო სკოლები ფინანსდება სახელმწიფო ფონდებიდან. მათი მართვა/ოპერორება კონტროლდება სახელმწიფოს მიერ. რიჩარდ ელდრიჩი (Aldrich, 2004) თვლის, რომ ტერმინების - „საზოგადოებრივის“ და „კერძოს“ მნიშვნელობა იცვლება წლების განმავლობაში და ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ მათი გამოყენებისას, რამდენადაც, ქვეყნების მიხედვით მათი მნიშვნელობა შეიძლება სხვადახვა იყოს. მაგალითად მე-19 საუკუნეში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ტერმინი “საზოგადოებრივი“ ნიშნავდა ნებისმიერ შენატანს რაც ემსახურებოდა საზოგადოებრივ კეთილდღეობას (Randall 1994), დიდ ბრიტანეთში მე-19 საუკუნეში „Nine great public schools of England“ რეალურად იყო სკოლები, რომლებიც ფინანსდებოდა საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ და რეალურად წარმოადგენდა კერძო სკოლებს. კერძო სკოლები ხშირად იღებენ დაფინანსებას სახელმწიფოსგან. ამის მაგალითია ჩარტერული სკოლები აშშ-ში. ასეთივე მაგალითი გვაქვს ჰონგ-კონგის სასკოლო განათლების სისტემაში, ამის მაგალითია საქართველოში არსებული ვაუჩერული დაფინანსების სისტემაც. ასეთი მაგალითები ართულებს კერძო სკოლების უნივერსალური განმარტების არსებობას.

საკითხები, რომლებზეც მიმდინარეობს დისკუსია: უნდა ქონდეს თუ არა მშობელს სკოლის არჩევის თავისუფლება? თუ კი, რა დონეზე? და უნდა შეუწყოს თუ არა ხელი

სახელმწიფომ განათლების სფეროში კონკურენციის გაზრდას? თუ კი, როგორ/რა გზით?

განათლების სისტემაში კერძო-სახელმწიფო პარტნიორიბას აქვს მრავალი ფორმა, როგორიცაა ვაუჩერული სისტემა, აშშ-ში არსებული ე.წ. ჩარტერული სკოლები, აკადემიები ბრიტანეთში და უნივერსალური კერძო სკოლები ნიდერლანდებში და ა.შ. ჰოქსბი, როკოფი (Hoxby and Rockoff (2004) და ლევისი, პატრინოსი (Lewis, L., Patrinos, H. A. 2012). საუბრობენ კერძო-სახელმწიფოს ალიანსის დადებით და უარყოფით მხარეებზე. პირველი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც დადებით მხარედ მიიჩნევა, არჩევანის მრავალფეროვნებაა, რაც ხელს უწყობს სკოლებში თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების არსებობას. ვაუჩერული სისტემა ასევე ხელს უწყობს საბაზრო პრინციპის განვითარებას განათლების სფეროში, რამდენადაც თვითოეული მოსწავლე სკოლისათვის დაკავშირებულია შემოსავალთან, გაფართოებასთან, ფინანსურ მოგებასთან და ბიზნესისათვის წარმოადგენს წარმატების წყაროს (Randall 1994). ასეთ სისტემას ამერიკელები ეძახიან "vote with their feet." (არჩევანი გადაადგილებით) მაგრამ ლევისის აზრით, ვაუჩერულმა სისტემამ საფრთხის ქვეშ არ უნდა დააყენოს სკოლის ავტონომია, რამდენადაც, ავტონომია არის აკადემიური წარმატების გასაღები/მთავარი ფაქტორი, რაც უფრო ავტონომიურია სკოლა, მით ძლიერია სასკოლო განათლების საბაზრო კონკურენციის საფუძველი (Lewis and Patrinos, 2012). მეორეს მხრივ, უნდა ითქვას ისიც, რომ კერძო სექტორი აღრმავებს ნაპრალს სოციალურ ფენებს შორის, კერძოსკოლადამთავრებული მოსწავლეები პრივილეგირებულები არიან სახელმწიფო სექტორდამთავრებულებთან შედარებით საკუთარი ეკონომიკური და სოციალური ბექგრაუნდით, რაც უფრო სტრატიფიცირებულია საზოგადოება მით უფრო ფართეა ეს ნაპრალი_OECD's (2012).

2.2.1 განვითარებადი ქვეყნების განსხვავებული გარემოებები

როგორც შესავალში ავღნიშნეთ, კერძო განათლების სისტემა მსოფლიოში განსაკუთრებით განვითარდა ბოლო 20-25 წლის განმავლობაში. ერთი შეხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ კერძო სკოლების სიმრავლე საუბრობს საზოგადოების

შემოსავლების ზრდასა და ელიტური სკოლების რაოდენობის აღმასვლაზე, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის.

განვითარებად ქვეყნებში, ასევე იზრდება კერძო სკოლების რაოდენობა, მაგრამ არა იმის გამო, რომ მოსახლეობის შესმოსავალი იზრდება, არამედ ამის მიზეზია ის, რომ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს თავისი მოსახლეობისათვის ბაზისური განათლების უფლებას: 1. ვერ უზრუნველყოფს საჭირო სივრცითა და ინფრასტუქტურით, 2. სახელმწიფო სკოლებში სწავლების დაბალი ხარისხია 3. ვერ უზრუნველყოფს მოთხოვნის მრავალფეროვნებას და მშობლების სურვილებს 4. ვერ უზრუნველყოფს სწავლებას საერთაშორისო ენებზე 5. ვერ ითვალისწინებს მოსწავლრთა რელიგიურ პრეფერენციებს.

თულიმ (Tooley 2005) აღმოაჩინა, რომ განვითარებად ქვეყნებში მეტი დაბალი ფასის კერძო სკოლა ფუნქციონირებს სოფლებში, რამდენადაც სახელმწიფო სკოლები დიდი დაცილებით არიან ლოკალიზებული ერთმანეთისაგან და მთელ რიგ სოფლებს არ აქვთ მისაწვდომობა (მაგალითად ინდონეზიაში West Java-ის ერთერთ სკოლაში ბავშვებს მთიან რაიონში 5 საათი უწევთ სიარული სახელმწიფო სკოლამდე და უახლოესი სკოლა 10 კილომეტრშია). ამის გამო, კერძო განათლების როლი განვითარებად ქვეყნებში განსხვავდება განვითარებული ქვეყნებისაგან. განვითარებად ქვეყნებში, კერძო განათლების სისტემა წარმოადგენს **აკადემიური და სოციალური დაცულობის გარანტს/საშუალებას.** ზოგიერთ ქვეყანაში, კერძო განათლება ხარისხიანი განათლების მიღების ერთადერთი საშუალებაა, რამდენადაც სახელმწიფო ვერ ქმნის ყველასათვის ბაზისური განათლების მიწოდების პირობას. კერძო განათლება ავსებს იმ სიცარიელეს, რომელსაც ტოვებს სახელმწიფო განათლების სისტემა.

კამერონი, ჩილე, კოლუმბია, ჰაიტი, და ბევრი სხვა სახელმწიფო, იმის გამო რომ ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის ბაზისურ განათლებას, შემოიღო ვაუჩერების სისტემა, რომლითაც მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ ისწავლონ კერძო სკოლებში.

ფილიპინებზე, ტრინიდად და ტაბაგოში მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება იყიდოს ადგილები კერძო სკოლებში იმისათვის, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ განათლების მიღების შესაძლებლობა. კოლუმბიაში სახელმწიფო დებს კონტრაქტებს კერძო სკოლებთან დაბალშემოსავლიანი ოჯახების მოსწავლეებისათვის. (Angrist et al., 2002, Bettinger, 2005, Cox and Jimenez, 1990, Uribe et al., 2006 and Villa and Duarte, 2005).

სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირების ზომა კერძო სკოლებისათვის, რომლებიც ემსახურება დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის განათლებას, განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. არსებობს ორი ძირითადი მიზეზი, რის გამოც განვითარებად ქვეყნებში კერძო სექტორი ფართოვდება. პირველი მიზეზია, განათლებაში სახელწმიფო თანხების არაადეკვატური გადანაწილება, მეორე მიზეზია, სახელმწიფო განათლების დაბალი ხარისხი ან არასაკმარისი ინფრასტრუქტურა და მოუწესრიგებელი მენეჯმენტი. ფილიპრონი (Phillipson et al. 2008) ასახელებს სხვა მიზეზებსაც, ესენია: სახელმწიფო სკოლებში ფარული ხარჯები, სწავლების ენის არჩევანის შეუძლებლობა და რელიგირი სწავლების საკითხები.

თუკი, შემოსავლიანი ოჯახები ირჩევენ კერძო სექტორს ხარისხიანი განათლების მისაღებად, იგივე ტენდენცია შეინიშნება დაბალშემოსავლიან მოსახლეობაშიც.

2.2.2 რა პრინციპული განსხვავებაა სახელწიფო და კერძო სკოლებს შორის?

ჩაბი და მოე (Chubb and Moe) ითვლებიან კერძო/საჯარო სკოლის კვლევის კლასიკოსებად, რომელთა კვლევები და ნაშრომები მოხსენიებულია განათლების სისტემის მკვლევართა ნაშრომების უმეტესობაში. ისინი თავიანთ ნაშრომში („Politics, Markets, and the Organization of Schools“, 1990) აღწერენ კერო და სახელმწიფო სკოლას შორის ძირითად განსხვავებებს.

განათლების მკვლევარებს შორის არსებობს შეთანხმება, რომ განათლება ღია სისტემაა და წარმოადგენს გარემოს პროდუქტს. გარემო პირდაპირ აისახება მასში სხვადასხვა

ფაქტორების სახით (Scott and Meyer 1984; Weick 1976). სხვადასხვა გარემოება შობს განსხვავებული ხასიათის სკოლის მახასიათებლებს. თუ რაიმე არასასურველია, ამის მიზეზი არა სკოლაში, არამედ გარემოში უნდა ვეძებოთ.

მიუხედავად ამ დებულებისა, კერძო და სახელმწიფო სკოლა, ყველა ქვეყანაში განსხვავდება ერთმანეთისაგან რაც ჩაბის და მოეს მიერ აღწერილ შემდეგ გარემოებებში გამოიხატება, ეს გარემოებები პირდაპირ განსაზღვრავენ სკოლის ეფექტურობას.

კონტროლის სისტემა. სახელწიფო სკოლა სახელწიფოს პოლიტიკის პროდუქტია სახელწიფო სკოლები კონტროლდება სახელწიფო ადმინისტრაციისა და დემოკრატილი კონტროლის იერარქიული სისტემის მიერ. პოლიტიკა, რომლიც იწარმოება სახელწიფო სკოლებთან მიმართებაში, წარმოადგენს ადმინისტრაციის სხვადასხვა იერარქიული რგოლის ინტერესების ბრძოლისა და შეჯერების შედეგს. კონფლიქტი და დისჰარმონია სისტემის საფუძველია. სკოლის ავტონომიისკენ მისწრაფება ბიუროკრატებისათვის ნიშნავს ძალაუფლების დაკარგვას, რაც შეუძლებელია სახემწიფოსათვის. მშობელი და მოსწავლე ამ ძალიან მძლავრი იერარქიის ქვედა რგოლს წაროადგენენ და თითქმის არ აქვთ გავლენა სასწავლო პროცესზე.

კერძო სკოლები, დემოკრატიული კონტროლის იერარქიის მიღმა არიან. საზოგადოების მხრიდან კერძო სკოლების კონტროლი ხდება მხოლოდ არაპირდაპირ _ საბაზრო მოთხოვნის სფუძველზე. კერძო სკოლები ქმნიან საკუთარ ღირებულებებს სტანდარტებს და მეთოდებს. მშობელი და მოსწავლე წარმოადგებს გამუზომლად ცენტრალურ ფიგურებს, სახლმწიფო სკოლასთან შედარებით.

„უკმაყოფილოს შეუძლია წავიდეს“_ კერძო სკოლით უკმაყოფილო მომხმარებელს შეუძლია წავიდეს და სხვაგან ეძიოს საკუთარი სურვილების, მოთხოვნების და ღირებულებების შესაბამისი ინსტიტუცია, რისი საშუალებაც სახელმწიფო სკოლის

მოსწავლეს არ აქვს, რამდენადაც, სხვა სახელწიფო სკოლაში გადასვლით, იღებს თვისებრივად იგივეს, ან მსგავსს იმისას რისგანაც წავიდა.

დირექტორის და თანამშრომლების როლი განსხვავებულია, კერძოდ:

- კერძო სკოლა ავტონომიური და თავისუფალია თანამშრომლების აყვანა/განთავისუფლების საკითხში. საჯარო სკოლაში მსგავსი გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად თითქმის შეუძლებელია.
- სხვადასხვა ფორმალობის გათვალისწინებით, დოკუმენტაციის შედგენის დრო სახელმწიფო სკოლაში დაახლოებით 3-ჯერ აღემატება კერძო სკოლისას.
- კერძო სკოლის დირექტორებს მეტი ძალაუფება აქვთ მასწავლებლების მოტივირებისათვის და მეტად შეუძლიათ თავიანთი უფლებამოსილების დელეგირება სტაფის სხვა წევრებზე
- დირექტორები კერძო სკოლებში, მეტად აღიქმებიან თანამშრომლების მხრიდან როგორც ლიდერები, რომლებმაც უკეთ იციან სკოლის პრობლემები და უკეთ უმკლავდებიან მათ. მეტად ეფექტურები არიან სკოლის მართვაში, ვიდრე სახელწიფო სკოლის დირექტორები. მათ უკეთესი ურთიერთობები აქვთ თანამშრომლებთან, მათი ერთობლივი მუშაობა უფრო მეტად თანამშრომლობის პრინციპზეა აგებული ვიდრე კონკურენციის, სახელმწიფო სკოლაში კი თანამშრომლობითი გარემო ნაკლებია.

მშობლებისათვის ამ ორი ტიპის სკოლაში განსხვავებული გარემოა. კერძო სკოლებში უკეთესი გარემოა მშობლებისათვის. კერძო სკოლა ახდენს მშობლების მონაწილეობის მოტივირებას და სთავაზობს პირობებს მაღალი ჩართულობისათვის, რაც სახელწიფო სკოლაში არ არის პრიორიტეტი, რამდენადაც სახელწმიფო სექტორში მშობელი ითვლება პრობლემების და კონფლიქტების წყაროდ, ანუ არ ხდება თანამშრომლობა მშობელთან უკეთესი შედეგის მისაღწევად.

აკადემიური შედეგებისკან სწრაფვა განსხვავებულია. ზემოთ ხსენებულის შედეგად, კერძო სკოლა უფრო მეტად არის ორიენტირებული აკადემიურ შედეგებზე, ვიდრე

სახელმწიფო სკოლა. სახელმწიფო სკოლაში აკადემიური წარმატება სხვა მიზნების ფონზე ნაკლებად პრიორიტეტულია.

მსოფლიოში კერძო სწავლების სწრაფმა განვითარებამ, დღის წესრიგში დააყენა რამოდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. ეს საკითხები შეიძლება დაჯგუფდეს ოთხ ძირითად კატეგორიად. (Levin 2001):

1. ფინანსური ეფექტურობა
2. ანგარიშვალდებულება
3. სკოლათა მრავალფეროვნება და მშობლის არჩევანი
4. სამართლიანობა

ფინანსური ეფექტურობა

კერძო სწავლების სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება, არის მრავალ ქვეყანაში ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი. ამ მხრივ დიდი განსხვავებაა ქვეყნებს შორის. სახელმწიფო სუბსიდირება ითვლება სახელმწიფოს მხრიდან კერძო სწავლებისათვის მნიშვნელოვან ხელისშემწყობ ფაქტორად.

როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში ჩატარებული კვლევები ამტკიცებენ, რომ კერძო სკოლების მაღალეფექტურობას სახელმწიფო სკოლებთან შედარებით, როგორც სკოლის აკადემიურ მიღწევებთან, ასევე ორგანიზაციულ მენეჯმენტთან დაკავშირებით. (ამ მხრივ აღსანიშნავია განვითარებად ქვეყნებში Colman (1982), chubb Moe (1990) წლებში ჩატარებული კვლევები და Cox & Jimenez (1991) Jimenez & Lochheed (1995), Jimenez & Lochheed, Luna & Paqueo (1991), Jimenez & Lochheed & Wattanawaha (1988) განვითარებულ ქვეყნებში

ანგარიშვალდებულება

სხვადასხვა ქვეყანაში სახელმწიფო სკოლების მხრიდან სახელმწიფოს მიმართ ანგარიშვალდებულების სხვადასხვა სისტემა გამოიყენება. არსებობს საერთო

შეხედულება იმის შესახებ, რომ კერძო სკოლები მეტად არიან ანგარიშვალდებულები მშობლებისა და სპონსორების წინაშე (რომლებზეც ისინი ფინანსურად არიან დამოკიდებული), ვიდრე სახელმწიფოს მიმართ, თუმცა, როგორც ავღნიშნეთ, მთელ რიგ შემთხვევაში, სახელმწიფო შეიძლება იყოს კერძო სკოლების დაფინანსების ერთ-ერთი წყარო. ასევე არსებობს შეხედულება იმის შესახებ, რომ კერძო სკოლები უფრო მეტად ითვალისწინებენ საკუთარი მოსწავლეების მოთხოვნებსა და საჭიროებებს ვიდრე სახელმწიფო სკოლები.

სკოლათა მრავალფეროვნება და მშობლის არჩევანი

არჩევანის თავისუფლება მშობელს აძლევს იმის საშუალებას, შეარჩიოს სკოლა რომელიც მეტად შეესაბამება მის სურვილებსა და მოთხოვნებს ასევე გაითვალისწინოს ოჯახის შესაძლებლობები გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით. კვლევები რომლების ჩატარებულია Chubb & Moe (1990) Coons & Sugarman (1978), Friedman (1980) ამტკიცებს, რომ არჩევანის თავისუფლება ზრდის ანგარიშვალდებულებას, რაც ხელს უწყობს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. არსებობს მოსაზრება, რომ არჩევანის თავისუფლება ზრდის სოციალურ და რასობრტივ სეგრეგაციას.

სამართლიანობა

სამართლიანობის თემა ერთ-ერთი მთავარია, რომელზეც მიმდინარეობს მუდმივი დებატები კერძო სკოლებთან დაკავშირებით. მკვლევარების ნაწილი თვლის, რომ კერძო სკოლების არსებობა ზრდის სოციალურ და რასობრივ სეგრეგაციას. მეორე ნაწილი თვლის, რომ კერძო სკოლებში სამართლიანობის პრონციპი და თანაბარუფლებიანობა მეტად დაცულია ვიდრე სახელმწიფო სკოლებში. (Griggs (1985) Tooley (1999), Lin (1999), Coleman (1975)

2.2.3 სკოლის თავისუფალი არჩევანის მოდელი

სკოლის არჩევის პროცესი იქცა აქტიური დებატების თემად 1950 წლის შემდეგ, მას მერე რაც მილტონ ფრიდმანმა გამოაქვეყნა პუბლიკაცია სათაურით „სახელმწიფოს როლი განათლებაში“ (Friedman, 1955 110-133) და შესთავაზა ამერიკის შეერთებული შტატების განათლების სისტემას დაფინანსების ვაუჩერული სისტემა. ფრიდმანი და სხვა ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის მომხრეები თვლიდნენ, რომ იმისათვის რომ ეკონომიკა და განათლების სისტემა იყოს მაქსიმალურად პროდუქტიული და ეფექტური, სახელმწიფო გავლენა მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი და მასზე უნდა მოქმედებდეს თავისუფალი საბაზრო პრინციპები. მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმის თავისუფალი ფორმით არსებობა, თვითონ შექმნის განვითარების საფუძველს. ერთადერთი რაც ბაზარს უნდა არეგულირებდეს, არის ჯანმრთელი და სახელმწიფოს გავლენებისაგან თავისუფალი კონკურენციის გარემო. მილსის „განათლების მრავალფეროვნების“ (“diversity of educations”) იდეა გაცოცხლდა სკოლის არჩევის უფლების (school choice) განვითარებასთან ერთად, რომელიც ანგლოსაქსურ სამყაროში მოხდა. Milton Friedman’s (1955) ვაუჩერზე დაყრდნობით არჩევანის და განათლების სფეროში კონკურენციის წახალისების იდეებმა მთელი თეორიული სწავლება განავითარა და საფუძველი ჩაუყარა ინოვაციური რეფორმების პოლიტიკას აშშ-ში და შემდგომ მთელს მსოფლიოში.

ზოგადად, განვითარებად ქვეყნებში, და არა მხოლოდ იქ, შეინიშნება მშობელთა მზარდი წარმოდგენა, რომ საჯარო სკოლები ვერ დააკმაყოფილებს მათი შვილების მოთხოვნებს და მიზნებს (Blake 2021). ბევრ მშობელს ეპარება ეჭვი, რომ მთავრობას აქვს უნარი უზრუნველყოს განათლების სისტემის სათანადო სტანდრატები.

სკოლის არჩევანის უფლება მუდმივი განხილვის საგანია. გუდვინის (Goodwin 2009) მიხედვით, სკოლის არჩევანის მოწინააღმდეგეთა არგუმენტები შეიძლება დავიყვანოთ სამამდე:

1. ბაზარი არასრულყოფილია და ვერ აგვარებს გარკვეულ საკითხებს;

2. არჩევანი არაეფექტურია, როდესაც საქმე ეხება სოციალურ სამართლიანობას. ის ხაზს უსვამს და აღრმავებს არსებულ უთანასწორობას და სოციალურ სეგრეგაციას;
3. არჩევანი არ არის ეფექტური იარაღი სწავლების სტანდარტის ასამაღლებლად.

აქედან პირველი ზოგადიდეოლოგიური არგუმენტია, ამიტომ ამ სტატიაში ჩვენ ყურადღებას დანარჩენ ორზე გავამახვილებთ.

არჩევნის უფლების მომხრეების აზრით სკოლის შერჩევა არაფრით არ განსხვავდება სხვა გადაწყვეტილებებისგან, რომელსაც მომხმარებელი იღებს საბაზრო ურთიერთობების პირობებში. შესაბამისად მშობელს, როგორც კლიენტს, უნდა ჰქონდეს არჩევანის ფართო შესაძლებლობა და უფლება. ამავე დროს, მომხრეები საუბრობენ არა მხოლოდ მშობელთა უფლებასა და თავისუფლებაზე, არამედ მათი აზრით არჩევნის თავისუფლება ასევე წარმოადგენს სტიმულს სკოლების გაუმჯობესებისთვის. (Davies and Aurini 2011 460)

გარდა ამისა, მშობლები კარგად იცნობენ თავის შვილებს, იციან მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, მათი ინტერესები, შესაძლებლობები და მოთხოვნები. ლოგიკურად, სკოლის შერჩევის პროცესში, სწორედ მშობელია საუკეთესო შემრჩევი და გადაწყვეტილების მიმღები. ამის პარალელურად, თუ სახელმწიფო უზრუნველყოფს ფინანსურ დახმარებას, მაშინ დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებსაც ექნებათ საშუალება შეარჩიონ მათთვის სასურველი სკოლა. (Friedman, 2002; Friedman & Friedman, 1980).

ფლოუერი (Fowler 2002) აღნიშნავს, რომ სკოლის არჩევანის შესაძლებლობა აქვს მხოლოდ ფინანსურად ძლიერ ოჯახებს, რომლებსაც შეუძლიათ ან გადაიხადონ კერძო სკოლის გადასახადი ან საცხოვრებლად გადავიდენ უკეთეს სკოლასთან და იქ შეიყვანონ შვილი სკოლაში. საშუალოზე დაბალი შემოსავლის ოჯახებისთვის არჩევანის მიცემა მხოლოდ რეფორმირებულ სისტემას შეუძლია, რომელშიც არსებობს არჩევანის უზრუნველმყოფი საჯარო ფინანსები.

სკოლის არჩევის უზრუნველყოფა, სხვადასხვა ხერხებით ხდება - "სკოლების ტიპების მრავალფეროვნებით და მისი გაფართოებით, სკოლების შესახებ ინფორმაციის საჯაროობით და მშობელთა არჩევანის შესაძლებლობების გაფართოებით " (Davies and Aurini 2011 460) სკოლის არჩევისთვის საჭირო საჯარო თანხების უზრუნველსაყოფად შეიძლება გამოვიყენოთ: ღია პროგრამები, საჯარო სკოლების შიგნით სპეციალური სკოლების შექმნა, დამოუკიდებელი სკოლების ნაწილობრივი დაფინანსება, ჩარტერული სკოლების, ვაუჩერების პროგრამები, კანონები, რომლებიც ხელს უწყობენ სახლში სწავლებას და საგადასახადო კრედიტები კერძო სკოლებში სწავლისთვის. ყველა ეს ინიციატივა განსაკუთრებულად პოპულარული იყო აშშ-ში მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის განმავლობაში. შემდგომ მათ მაგალითს სხვა ქვეყნებმაც მიბაძეს. (Belfield and Levin 2002; Hess 2009; Merrifield 2008), (e.g., Hepburn 2001; Robson and Hepburn 200) (Davies and Aurini 2011 p. 460)

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში დაწყებული რეფორმა, იზიარებდა სულისკვეთებას, რომ სკოლის არჩევის უფლება, გამოიწვეს ბიუროკრატიული კონტროლის შემცირებასა და დეცენტარალიზაციას, ასევე უზრუნველყოფს მთლიანად სასკოლო სისტემის გაუმჯობესებას (Clune, 1993).
ზოგადად, სკოლის არჩევანი შეიცავს ორ ასპექტს, ესენია: ა. პოლიტიკა ან რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს კერძო და საჯარო სკოლის თანაბარ უფლებიანობას და ბ. საჯარო ფინანსები, რომელიც უზრუნველყოფს მშობლის არჩევანს, როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლის სასარგებლოდ (Robershhaw, etc 2022).

ლიტერატურაში სკოლის არჩევის საკითხზე საუბრისას ფოკუს სამ საკითხზე ახდენენ:
ა. სკოლის არჩევის შედეგები, რომელიც როგორც წესი იზომება მოსწავლეების შეფასებების მიხედვით;
ბ. სკოლების მიერ მიწოდების უზრუნველყოფა, ანუ როგორ პასუხობს სკოლა ბაზრის მოთხოვნებს
გ. არჩევისას რას ანიჭებენ მშობლები უპირატესობას და აქედან გამომდინარე როგორია მათი ქმედებები. სწორედ ამ ასპექტებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

2.2.4 მშობლის მიერ სკოლის არჩევის პროცესი

როდესაც საუბარია მშობლების როლზე სკოლის არჩევაში ორი ფუნდამენტალური კითხვა უნდა დაისვას:

1. აქვთ თუ არა მშობლებს მოტივაცია მიიღონ მონაწილეობა ამ პროცესში და გამოიყენონ ბაზარზე არსებული შესაძლებლობები
2. სკოლის შერჩევის დროს რას აქცევენ მშობლები ყურადღებას. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ორი რამაა გასარკვევი: ა. რას ითხოვენ ისინი სკოლისგან და ბ. აქვთ თუ არა მათ უნარი, ჩვევები და საშუალება, შეაფასონ ცალკეული სკოლის ხარისხი და მიიღონ რაციონალური გადაწყვეტილება შვილისათვის სკოლის შერჩევისას? თუ ამას მათ მაგივრად უკეთ გააკეთებს სახელმწიფო?

სკოლის არჩევნის თეორიის მომხრეები ვარაუდობენ, რომ მშობლების უმეტესობას სურს არჩევანის მრავალფეროვნება, მოტივირებულია ეძებოს უკეთესი აკადემიური ხარისხი, შესაბამისად ეძებს და იყენებს არსებულ ინფორმაციას სკოლის არჩევის პროცესში. ამის საწინააღმდეგოდ, ოპონენტები ამტკიცებენ, რომ ბევრი მშობელი დაინტერესებულია სკოლის ექსკლუზიურობით და არა პედაგოგიური ხარისხით. შესაბამისად, მათი აზრით, ასეთი მშობლები ნაკლებად ითვალისწინებენ სკოლის რეიტინგს და მოსწავლეების საშუალო შეფასებას (Davies and Aurini 2011 461)

სკოლის არჩევანის არსებობის მომხრეები ხაზს უსვამენ, რომ კერძო სკოლების, როგორც ალტერნატივის გაჩენა, პარალელურად აძლიერებს საჯარო სექტორსაც, რადგან ზრდის მშობლეთა ჩართულობას, სწავლის დონით კმაყოფილებას, ერთიანობის გრძნობას და შედეგად მოსწავლეთა მიღწევებს. (Chubb & Moe, 1990; Driscoll & Kerchner, 1999; Smrerkar & Goldring, 1999). მათი აზრით, ეს სისტემა წარმოშობს კონკურენციას სკოლებს შორის და შედეგად სკოლები იძულებულნი არიან იყვნენ უფრო პასუხისმგებლიანი მშობელის და მოსწავლის მოთხოვნებისა და ინტერესების მიმართ. შესაბამისად, ისინი ოჯახებს სთავაზობენ განსხვავებულ

პროგრამებს მათი მოთხოვნების საპასუხოდ. (Bosetti 2007 387) მართლაც, ერთი მხრივ მოსწავლეების და მათი მშობლების ინდივიდუალურმა მოთხოვნებმა და მეორეს მხრივ, სკოლებს შორის არსებულმა კონკურენციამ, უნდა აიძულოს სკოლები უფრო პასუხისმგებლობით მოეკიდნონ კლიენტების (მშობლების და მოსწავლეების) მოთხოვნებს, რათა მოიპოვონ მეტი მოსწავლე და მასთან მიბმული თანხები.

თუმცა, ოპონენტების აზრით, თუ მშობლებს არ აქვთ სკოლის არჩევის პროცესში მონაწილეობის არც სურვილი და არც ინიციატივა, მაშინ რა თქმა უნდა, არჩევანის სისტემა არ იმუშავებს და ვერ გახდება ტრადიციული საჯარო სკოლის ალტერნატივა. მეორე მხრივ, საჯარო სკოლებს მეტი ფორმალური და ნაცნობი ინსტიტუტები და მექანზმები გააჩნიათ, რომლებიც თეორიულად უნდა დაეხმარონ მშობლებს გადაწყვეტილების მიღებაში.

კრიტიკოსები ასევე აღნიშნავენ, რომ სკოლის შერჩევის დროს „მშობლებს აქვს საშუალება შეარჩიონ „კარგი ცხოვრების“ საკუთარი ვერსია და არ გაითვალისწინონ საზოგადოების მოთხოვნები და მიზნები. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს განათლების ერთიანი სისტემის რღვევა. (Erickson 2017; 495).

ამავე დროს „სკოლის არჩევამ შეიძლება გამოიწვიოს ღირებულებების თემების ჩამოყალიბება, რომლებიც თავის მხრივ აყალიბებს „პატარა კუნძულებს“, სადაც ითვალისწინებენ კონკრეტული ჯგუფების ღირებულებებს, ინტერესებს და საჭიროებას. ეს ხელს უწყობს საზოგადოების შემდგომ ფრაგმენტაციას“ (Gewirtz et al., 1995; Fuller et al., 1996), ეს ტენდენცია ანიჭებს უპირატესობას საშუალო ფენას, ვისაც გააჩნია ეკონომიკური შესაძლებლობები, სოციალური და კულტურული კაპიტალი რათა მოიპოვოს შესაბამისი ინფორმაცია. (Bosetti 2007 388). სოციალური კაპიტალის განსასაზღვრად გამოვიყენოთ ბურდიეს განმარტება “სოციალური კაპიტალი არის ფაქტობრივი ან პოტენციური რესურსების ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია ურთიერთგაცნობისა და აღიარების მეტ-ნაკლებად ინსტიტუციონალიზებულ და მდგრად ქსელთან” (Bourdieu, 1986, p. 247). ჩვენ შემთხვევაში მშობლების სოციალური

კაპიტალს განსაზღვარვს მისი წრე, რომელიც ეხმარება მას მოიპოვოს საჭირო ინფორმაცია ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად (Corcoran & Jennings, 2020).

თავის მხრივ, ოჯახის კულტურული კაპიტალი არის "სოციალიზაციისა და ჩვენში არსებული განათლების, „მატერიალური ობიექტების ან კულტურული სიკეთეების" და „ინსტიტუციური მიღების ან აღიარების გზით დროთა განმავლობაში შეძენილი ცოდნა და უნარები, რომელიც გამოხატულია აკადემიური კვალიფიკაციისა და სერთიფიკატების სახით.'" (Bourdieu, 1986). ოჯახის სოციო-ეკონომიკური სტატუსი ხშირად განისაზღვრება, როგორც ოჯახის კულტურული კაპიტალის განსაზღვრის კარგი ინდიკატორი (Robershaw and etc. 2022 280)

როდესაც სკოლის არჩევანის დაშვებისას არსებული სოციალური კონფიგურაციის შენარჩუნებასა და სეგრიგაციის გაღმავების საფრთხეზე ვსაუბრობთ, უნდა ვახსენოთ გორარდის და ფითზის (Gorard, Fitz (2006) კვლევა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ 1988 წლის განათლების სისტემის რეფორმის აქტის[1] შესრულებას ინგლსსა და უელსის სკოლებში არც ერთი ზემოაღნიშნული შედეგი არ გამოუწვევია.

როგორც ბოსეტი (Bosetti 2007) აღნიშვნავს, რაციონალური არჩევანის თეორიის მიხედვით, მშობლებმა გადაწყვეტილება უნდა მიიღონ არსებული შესაძლებლობების შესწავლით, თვითეული შესაძლებლობებში არსებული დანახარჯების, ბენეფიტების და წარმატების შანსების აწონ-დაწონვითა, მათი შვილის ინტერესებიდან გამომდინარე შესაძლებლიდან საუკეთესოს შერჩევით. ამავე დროს, თეორის მიხედვით მათ აქვთ უნარი მოითხოვონ შესაბამისი ქმედებები ადგილობრივი სკოლების წარმომადგენლებისა და მასწავლებლებისგან. თუმცა, თანამედროვე

[1] 1988 წელს მიღებულმა განათლების სისტემის რეფორმის აქტი (და შემდგომ პრეცედენტული სამართალი) ყველა ოჯახს აძლევდა უფლებას აერჩია ნებისმიერ სკოლა (თუნდაც მათი ადგილობრივი განათლების უბნის გარეთ) და უარყო სკოლების უფლება ვინმესთვის ავტომატურად ეთქვათ უარი მიღებაზე.

კვლევები აჩვენებს, რომ ლევინისეული რაციონალური არჩევანის თეორია გამოუსადეგარია მშობლების მიერ სკოლის არჩევის პროცესის სრუყოფილად ასახსნელად. (Jabbar & Lenhoff, 2020). რაციონალური გადაწყვეტილების მიღების მოდელი უარყოფს მშობლის სოციალური გარემოს მნიშვნელობას. იმას, თუ როგორ განსხვავდება სხვადასხვა ჯგუფის პრეფერენციები, ან რა როლს თამაშობს ინფორმაციის არ ქონა და/ან არასათანადო ინფორმაციის ქონა სკოლის შერჩევის პროცესზე. ლევინის (Levin, 2009, p. 29) და რობერშოუს (Robershaw and etc. 2022) ერთ-ერთი მიდგომა, რომელიც გამოიყენება სკოლის არჩევანის შესასწავლად, არის ენგესტრიომის (Engeström 2001) მიერ აღწერილი კულტურულ-ისტორიული აქტიურობის თეორია (Cultual-Historical Activity theory (CHAT). სკოლის არჩევის შესწავლა მოიცავს მრავალ ფაქტორს, რომლებსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს ცალკეული ინდივიდის მიერ სკოლის არჩევის პროცესზე. გასათვალისწინებელია ის, რომ ყველა ინდივიდს განსხვავებული შეხედუება აქვს სკოლის არჩევის მიზნებსა და ამოცანებზე. როგორც სულო (Sullo 2011) აღნიშნავს, „არჩევანის თეორია ამტკიცებს, რომ ინდივიდის ქცევა ხუთი გენეტიკური და ოთხი სფიქოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების დაუსრულებელი ძიებითაა გაპირობებული“ (Blake 2021 p. 3).

სკოლის არჩევის შესაძლებლობის კრიტიკოსებისგან ხშირად გაიგონეთ შენიშვნას, რომ მშობელმა შეიძლება არჩევანი გააკეთოს მოხერხებულობის ან სპორტის გამო და უგულველყოს ან ნაკლებად მიაქციოს ყურადღება აკადემიური მიღწევების მაჩვენებლებს (Harris & Larsen, 2015). ერიქსონის (Erickson 2017) აზრით, ძალიან რთულია რაოდენობრივად გაზომო აკადემიური ხარისხი. უფრო მეტიც, ძნელია საერთოდ განსაზღვრო, თუ რას ნიშნავს ის, რადგან მოიცავს გამოცდების შედეგებს, სწავლების ხარისხს, მასწავლებლების კვალიფიკაციას, სასწავლო გარემოს ინფრასტრუქტურას და სასწავლო პროგრამებს. ერიქსონის აზრით, ზოგადად არასწორია დაშვება, რომ მშობლებმა აუცილებლად აკადემიურ ხარისხს უნდა მიაქციონ ყურადღება, რადგან ოჯახების მოთხოვნები და მისწრაფებები განსხვავებულია. სულაც შეიძლება მშობელს სხვა მიზანი ჰქონდეს, (მაგალითად

შვილის სპორული კარიერა) და თვლიდეს, რომ სკოლის ეტაპზე სწავლის პერიოდი მისმა შვილმა განსაკუთრებული ძალისხმევისა და ენეგრიის ხარჯვის გარეშე „ადვილად“ უნდა გაიაროს და პირიქით, ასეთი მშობლის სკოლის შერჩევის კრიტერიუმი სკოლის მხრიდან მოსწავლისადმი დაბალი მოთხოვნა იქნება.

2.2.5 მშობლის არჩევანზე მოქმედი ფაქტორები

ზოგადად, სკოლის არჩევა კომპლექსური საკითხია და რწმენის, პრაქტიკული მოთხოვნილებების და შესაძლელობების ნაკრებს წარმოადგენს. ცნობილია, რომ ვისაც სჯერა ასეთი უფლების აუცილებლობის, იყენებს კიდეც ამ შესაძლებლობას და ითხოვა სკოლის მხრიდან გადაწყვეტილებების მეტ გამჭვირვალობას და ავლენს მეტ აქტიურობას სკოლის ცხოვრებაში. არჩევანის უფლება განსაკუთრებით პოპულარულია მშობლებს შორის, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები შვილების სწავლის პროცესში (Davies and Aurini 2011 463).

განვითარებად ქვეყნებში მშობლები სულ უფრო და უფრო მეტად აცნობიერებენ შვილების მომავლისათვის და ცხოვრებისეული შესაძლებლობების შექმნაში განათლების მზარდ ღირებულებას. რაც თავის მხრივ ზრდის სკოლის არჩევის პროცესის მნიშვნელობასა და წონას. აღსანიშნავია ისიც, რომ მშობლები, რომლებიც აქტიურად არჩევენ შვილისთვის სკოლას, მომავალშიც აქტიურად ერთვებიან შვილის სწავლებაში და უფრო კმაყოფილები არიან სკოლით, ვიდრე ის მშობლები, რომლებიც არ იყენებენ არჩევანის უფლებას და საშუალებებს (Bosetti 2007, 399). არჩევანის შესაძლებლობასა და კმაყოფილებას შორის კავშირს იკვლევდნენ მთელი რიგი მკვლევარები (Lee, Jilke, James 2021) და მათ გააკეთეს ორი დასკვნა: 1. მშობლები უფრო კმაყოფილია როდესაც არსებობს არჩევის საშუალება და მიიჩნევს რომ ასეთ შემთხვევაში პროცესი უფრო სამართლიანია; 2. არჩევანის ობიექტების შემდგომი ზრდა (ექსპერიმენტის შემთვევაში 8-ზე მეტად) მშობელში არ ზრდის არც კმაყოფილების ხარისხს, არც სამართლიანობის განცდას.

კოლმენი (Coleman 1988, p. 238) აღნიშნავს, რომ როდესაც პიროვნებას მისაღები აქვს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, ის იწყებს ინფორმაციის მოძიებას და შეგროვებას.

ანალოგიურად იქცევა მშობელი, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება შვილისათვის სკოლის არჩევის შესახებ. გადაწყვეტილების მიღებისას ის ეყრდნობა პირად ღირებულებებს და განათლების სისტემის ამოცანების მისეულ/სუბიექტურ აღქმას. ინფორმაცია გროვდება მშობლის სოციალური და პროფესიული გარემოს მეშვეობით. შესაბამისად ლოგიკურია, რომ მშობელს, რომლის გარემო არ იძლევა საშუალებს მიწვდეს ფასეულ და რელევანტულ ინფორმაციას შეზღუდულია გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი (Goldring, Hausman 1999). სწორედ არჩევის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციო-ეკონმიკური ფაქტორები, კერძოდ კი მშობლის განათლების დონე და შემოსავალი (Bosetti 2007 388-89).

ბევრი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ინფორმირებული არჩევნის გაკეთების შესაძლებლობის ხარისხი დამოკიდებულია ოჯახის სოციო-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ პარამეტრებზე.

კერძოდ, როგორც ჩანს, სოციოეკონომიკური სტატუსი უზრუნველყოფს არჩევანში ჩართვის საჭირო ცოდნას და ფინანსებს. კვლევები აჩვენებს, რომ დომინანტური რასობრივი და ეთნიკური ჯგუფები უფრო მოტივირებულნი არიან ვიდრე უმცირესობების წარმომადგენლები. (Lauen 2007).

Davies and Aurini (2011) კვლევები აჩვენებს: ა. მშობლების უმეტესი ნაწილი მხარს უჭერს არჩევანის არსებობის უფლებას; ბ. არჩევანის უფლების გამოყენება დამოკიდებულია დემოგრაფიულ და სოციო-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე - უმაღლესი განათლების მქონე მშობლები რეალურად უფრო იყენებენ არჩევანის უფლებას. ამავე დროს, ნაკლებად განათლბული მშობლები, ისევე როგორც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, უფრო მეტად გამოხატავდნენ არჩევანისა და პასუხისმგებლობის მხარდამჭერ პოზიციებს ანუ შესაძლებლობების არსებობის შემთხვევაში ისინიც გამოიყენებდნენ არჩევის უფლებას. გ. მშობლის ჩართულობა განსაზღვრავს მისი ქცევას და არჩევანს. ყველაზე თანმიმდევრულია თავის შვილის სწავლების პროცესში აქტიურად ჩართული მშობელი (Davies and Aurini 2011 472)

ბოსეტის (Bosetti 2007) კვლევის მიხედვით, განათლებული, მაღალი შემოსავლის მქონე დასაქმებული მშობლები, უფრო აქტიურად იყენებენ არჩევანის უფლებას. ამავე დროს კვლევები აჩვენებენ, რომ მაღალი შემოსავლის მქონე ოჯახები უპირატესობას ანიჭებენ კერძო სკოლებს (Bosetti and Pyryt 2007) და საჭიროების შემთხვევაში მზად არიან გადავიდნენ ამისათვის „ძვირ“ საცხოვრებელ უბანში (Goyette 2008) (Davies and Aurini 2011 462).

ბოსეტის (Bosetti 2007) კვლევამ ასევე აჩვენა, ოჯახური მდგომარეობა თამაშობს მიშვნელოვან როლს ბავშვისთვის სკოლის არჩევისას, განსაკუთრებით კერძო რელიგიური სკოლების არჩევის შემთხვევაში. გამოკითხულთა მშობლების უმეტესობა დაქორწინებული იყო, ყველაზე მაღალია ეს მონაცემები მშობლებს შორის, რომელთაც აირჩიეს რელიგიური კერძო სკოლა (95%), მაშინ როდესაც ალტერნატიული და სეკულარული კერძო სკოლის მშობლები უფრო ხშირად იყვნენ გაყრილები ან მარტოხელები. საინტერესოა, რომ კერძო რელიგიური სკოლის მოსწავლეების მშობლებს საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლებთან შედარებით იგივე ან უფრო დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსი აქვთ. (Bosetti 2007, 392) ეს იმის მანიშნებელია, რომ რელიგიური სკოლის არჩევისას მშობლებისთვის პრიორიტეტულია ღირებულები და ამისთვის მზად არიან გარკვეული ფასი გადაიხადონ და „მსხვერპლზე“ წავიდნენ შვილების მომავლისთვის.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ მშობლების სოციალური სტატუსი ასევე განსაზღვრავს აღქმას, თუ რისთვისაა საჭირო განათლება. ჰეტჩერი (Hatcher 1998, p. 10) ხსნის, რომ „მუშათა კლასის წარმომადგენლებს უბრალო საშუალო სკოლის დამთავრებით შეუძლიათ შეინარჩუნონ თავისი სტატუსი, უფრო მეტიც დაიმატონ აღმავალი მობილურობა. მაშინ როდესაც საშუალო ფენის წარმომადგენლების შემთხვევაში სტატუსის დაქვეითების რისკი უფრო მაღალია და შესაბამისად იზრდება ხარისხიანი განათლების მიღების აუცილებლობის საჭიროება. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში სკოლაზე დადებული ფსონი უფრო მაღალია. შედეგად ამ

ფენის მშობლები უფრო დაინტერესებულები არიან აქტიურად ჩაერთონ საგანმანათლებლო ბაზარში“ (Bosetti 2007 393).

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ სკოლის შერჩევის ანალიზისას, ერთ-ერთ ფაქტორად შვილის სქესიც უნდა განვიხილოთ. მათი აზრით, ტრადიციულ საზოგადოებაში მშობლები განსხვავებულად უდგებიან ბიჭების და გოგონების განათლებას. ბელანის და ორტიზ-გერვასის (Belanni და Ortiz-Gervasi (2022) კვლევა აჩვენებს, რომ იტალიაში „დაბალი შემოსავლის და განათლების მქონე მშობლები უფრო მეტ დროს უთმობენ ვაჟების სასწავლო პროცესში ჩართულობას, ვიდრე გოგონების შემთხვევაში. სქესის მიხედვით განსხვავების ეს ეფექტი იგრძნობა, როგორც საშუალო, ისე განათლების უმაღლეს საფეხურებზე“ ისინი ამ განსხვავებას ხსნიან განსხვავებული მოლიდინით, რომელსაც მშობლები შვილებს უკავშირებენ. მშობლის აზრით, ბიჭებს კარიერული წინსვლის მეტი შანსი აქვთ, მაშინ როდესაც ქალიშვილებმა ძირითადად „კარგად“ დაოჯახებაზე უნდა იზრუნონ. ეს განსხვავებული მოლოდინი წარმოქმნის განსხვავებულ დამოკიდებულებას სკოლის შერჩევის დროს. იგივე ტენდენციებს, ოღონდ ინდოეთის მაგალითზე გვამცნობს საჰოს მიერ ჩატარებული კვლევები (Sahoo (2017). მისი კვლვევისა და ანალიზის მიხედვით, ოჯახებს ურჩევნიათ იზრუნონ ვაჟებისთვის უფრო ძვირიანი განათლების უზრუნველყოფაზე, რადგან მათი აზრით ფასი განსაზღვრავს ხარისხს და ბიჭის შემთხვევაში მაღალი დანახარჯი უდრო მეტად „ამართლებს“.

ყველაზე კარგად ეს ტენდენცია გამოიხატება სკოლის ტიპის შერჩევისას - თუ ოჯახი შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობის გამო, იძულებულია აირჩიოს შვილებიდან რომელი ასწავლოს კერძო (ანუ „ხარისხიან“) სკოლაში და რომელი სახელმწიფოში, ძირითადად არჩევანს ვაჟების სასარგებლოდ აკეთებს, ხოლო ქალიშვილები საჯარო (ანუ ნაკლებად „ხარისხიანი“) სკოლებით კმაყოფლიდებიან. იგივე ხდება, თუკი ოჯახის წინაშე დგება არჩევანი, თუ საერთოდ ვის მისცეს სასკოლო განათლება გოგონას თუ ბიჭს.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მშობლისთვის გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი, სკოლების შესახებ შეგროვილი ინფორმაციაა. ინფორმაციის შეგროვების ძირითადი წყაროები მეგობრებთან, ახლობლებთან და სხვა მშობლებთან საუბრებია, ასევე ინფორმაციას იღებენ მასწავლებლებლებისაგან და სკოლების ადმინისტრაციისგან. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს სოციალური და კულტურული კაპიტალის როლს და მნიშვნელობას მშობლის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისთვის. სწორედ ამიტომ, სკოლის არჩევანის თეორიის მოწინააღმდეგეები მიიჩნევენ, რომ დაბალი სოციალური სტატუსის მქონე მშობლებს დიდი ალბათობით, არ მიუწვდება ხელი საჭირო და ადექვატურ ინფორმაციაზე. შესაბამისად, მათ არ აქვთ შესაძლებლობა ან მოტივაცია, რომ თავი შეიკავონ სახლთან ახლოს მდებარე სკოლაში შვილების შეყვანისგან და დამატებითი დრო და ენერგია დახარჯონ უკეთესი სკოლის მოძებნაზე. შედეგად ბოსეტის (Bosetti 2007) კვლევის მიხედვით, საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლების თითქმის ნახევარმა სკოლის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილება სათანადო ინფორმაციის მიღებამდე მიიღეს და ეს მნიშვნელოვნად აღემატება ალტერნატიული და კერძო სკოლების არჩევის მონაცემებს (შესაბამისად 21% და 7%).

ბოსეტის (Bosetti-ს 2007) კვლევის შედეგები რომ შევაჯამოთ, კერძო/სეკულარული სკოლის მშობლებისთვის მნიშვნელოვანია: კლასების ზომა, ღირებულებები, სწავლების სტილი და აკადემიური რეპუტაცია, კერძო/რელიგიური სკოლების შემთხვევაში წინა პლანზე გადმოდის ღირებულებები და აკადემიური რეპუტაცია, ხოლო საჯარო სკოლებისთვის სახლთან სიახლოვე, რომელსაც დიდი ჩამორჩენით მოსდევს აკადემიური რეპუტაცია, პედაგოგიური კონტინგენტის კვალიფიკაცია და სწავლების სტილი. სხვანაირად რომ ვთქვათ, კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლები ცდილობენ მოარგონ სკოლის არჩევა მათი შვილების ინდივიდუალზმსა და მოთხოვნებს, მაშინ როდესაც საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლები არსებულ ყოფასა და რეალობას, გამონაკლისს წარმოადგნენ საშუალოზე დაბალი შემოსავლის რელიგიური მშობლები, რომლებისთვისაც რწმენა მნიშვნელოვანია და როგორც

ზემოთ ავღნიშნეთ, მზად არიან გარკვეული მსხვერპლის ფასად უზრუნველყონ შვილების, მათი გაგებით, სათანადო აღზრდით კერძო რელიგიურ სკოლებში.

საჯარო სკოლაში შვილების გაგზავნა, მნიშვნელოვანწილად, სხვა ალტერნატივის არ არსებობს ან არცოდნის შედეგია. როგორც წესი, საჯარო სკოლის მშობლების დიდი ნაწილი აცხადებს, რომ სიამოვნებით შეუცვლიდნენ სკოლას თუ ამის ფინანსურ საშუალებას სახელმწიფო უზრუნველყოფდა და ალტერნატივად კერძო სკოლას მიიჩნევდნენ (Bosetti 2007, 399).

როგორც ბლეიქი (Blake 2021) აღნიშნავს, ხშირად მშობლებს აქვთ არარეალური მოლოდინები და შედეგად აკეთებენ არასწორ არჩევანს. ასეთი არჩევანი იმ შემთხვევაში კეთდება, თუ მშობელს არ აქვს განათლების სისტემის სათანადო ცოდნა/გამოცდილება და/ან შეზღუდულია ფინანსებში. ცხადია, რომ ოჯახის დაბალი შემოსავალი ამცირებს არჩევანის შესაძლებლობას და ეს შედეგები სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა გზით სკოლის არჩევის პრინციპის ფინანსური ხელშეწყობით დაიძლევა, რადგან „სასწავლო ვაუჩერის ან სტიპენდიის გარეშე ამ ტიპის მშობლების არჩევანი მხოლოდ ჩარტერული ან საჯარო სექტორში არსებულ ალტერნატიულ სკოლებით იქნებოდა შემოფარგლული“ (Blake 2021)

„ეს კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ სკოლის ტიპის არჩევისას მნიშვნელოვანია ის გაგება, რომელსაც მშობლები დებენ განათლების სისტემასა და იმაში თუ რა ცოდნა, ღირებულებები და უნარები უნდა განუვითაროს სკოლამ მათ შვილებს“. Wells (2000) როგორც წესი, მშობლები თანხმდებიან, რომ სკოლის ძირითადი ფუნქციაა მიაწოდოს ბავშვს აკადემიური ცოდნა, კარგი სამუშაო უნარები, თვითდისციპლინა და კრიტიკული აზროვნება, თუმცა სხვადასხვა ჯგუფებს განსხვავებული პრიორიტეტები აქვთ რაც საბოლოოდ მათ არჩევანს განსაზღვრავს.

რომ შევაჯამოთ, მშობლის მიერ სკოლის შერჩევის შესახებ ინფორმირებულ გადაწყვეტილებას განსაზღვრავს - ოჯახის მახასიათებელები: სოციო-ეკონომიკური

სტატუსი (განათლება, შემოსავალი და ა.შ.); სხვა დემოგრაფიული მახასიათებლები, ბავშვების საგანმანათლებო მოთხოვნები; მშობლის ინფორმირებულობა (არსებული სკოლის ტიპები, არსებული სკოლის არჩევის პროგრამები და შესაძლებლობები;) (Robershaw and etc. 2022).

ერიქსონი (Erickson 2017) ხაზს უსვამს ლიტერატურაში არსებულ სამ პატერნზე: „(1) არჩევანის დროს მშობლების მიერ განცხადებულ სკოლების მახასიათებლებში თანმიმდევრულობის განსაზღვრა შესაძლებელია; (2) მშობლები აფასებენ აკადემიურ ხარისხს, მაგრამ ეს ყოველთვის არაა მთავარი კრიტერიუმი; (3) მშობლები სკოლის არჩევისას ახდენენ თავისი პრეფერენციების პრიორიტიზაციას“

როგორც ფლოუერი (Fowler 2002) აღნიშნავს, „სკოლის არჩევნის თავისუფლება გაგრძელდება და გაღრმავდება, მიუხედავად იმისა, მოგვწონს ეს ჩვენ თუ არა. მშობლებს მოსწონთ თავიანთი შვილებისთვის სკოლების არჩევის შესაძლებლობა და ამ იდეის მიმართ საზოგადოებრივი მხარდაჭერა წლიდან წლემდე იზრდება”.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ განათლების უზრუნველყოფა მშობლის პასუხისგებლობაა, ასევე მშობლის პასუხისგებლობაა შვილის ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე, განვითარებასა და წარმატებაზე ზრუნვა. შესაბამისად, მშობლი ცდილობს შვილს საუკეთესო სასწავლო გარემო შეუქმნას. არსებული სამეცნიერო ლიტერატურა თანხმდება ათ ძირითად ფაქტორზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მშობლის მიერ სკოლის არჩევის გადაწყვეტილების მიღებაზე: 1. მშობლის სოციალური სტატუსი, 2. შემოსავალი, 3. სკოლის სილაბუსი, 4. სკოლის გარემო/ინფრასტრუქტურა, 5. სკოლის რეიტინგი/მიღწევები, 6. ადგილმდებარეობა, 7. მასწავლებლების კვალიფიკაცია, 8. სკოლის იმიჯი/რეპუტაცია, 9. რელიგია/მორალური ღირებულებები, 10. სასურველი სოციალური გარემო და სოციალური გამოცდილება.

კიდევ ერთხელ უფრო ფართოდ შევეხებით თვითოეულ მათგანს, ამისათვის არსებული მახასიათებლები დავაჯგუფეთ რამოდენიმე ქვეჯგუფად:

2.2.6 სკოლის არჩევანზე მოქმედი მოსწავლის ოჯახთან დაკავშირებული ფაქტორები

მშობლების სოციალური სტატუსი

განათლების სფეროში მკვლევარის ქათსამბის (Catsambis 1998) მოსაზრებებზე დაყრდნობით, სოციალური სტატუსი, როგორც ინდიკატორი, თავისთავში მეიცავს: 1. მშობლების განათლებას, 2. შემოსავალს, 3. ოჯახის ქონებას/საკუთრებას 4. რასობრივ/ეთნიკურ კუთვნილებას. 5. მნიშვნელოვანია მშობლების დასაქმების სტატუსი (სამსახურებრივი პოზიცია) და 6. ოჯახის სოციალური კავშირების სიმრავლე.

Rehman, Khan, Triq, and Tasleem, (2010), აზრით, რაც უფრო მაღალია მშობლების სოციალური სტატუსი, მით არჩევანში მეტად არის გათვალისწინებული „პრესტიჟული“ სასწავლებლის ფაქტორი, რაც განსაზღვრავს არჩევანის გაკეთებას კერძო სკოლებს შორის და თითქმის გამორიცხავს სახელმწიფო სკოლის არჩევანს.

ოჯახის სოციალური კავშირები

გოლდრინგი და როულის (Goldring and Rowley 2006) მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ ოჯახის სოციალური კავშირების სიმრავლე და ინფორმაციის მისაწვდომობა სოციალური სტატუსის ნაწილია, რაც განსაზღვრავს **მშობლისათვის ინფორმირებული არჩევანის შესაძლებლობას.** რაც მეტია ოჯახის სოციალური კავშირები და მრავალფეროვანია ინფორმაციის მიღების საშუალებები, მით უფრო გაცნობიერებულია მშობლების არჩევანი და მაღალია არჩევანით კმაყოფილება.

მშობლის ჩართულობა შვილის სწავლის პროცესში, როგორც სკოლის არჩევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი

ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია მშობლის ჩართულობა შვილის სწავლის პროცესში. ჩართულობაში ამ შემთხვევაში იგულისხმება მშობლის აქტიური დახმარება და

კონტროლი სახლში დავალებების შესრულებისას მიჩიგანის განათლების დეპარტამენტის (Michigan Department of Education, 2001) კვლევებმა დაადასტურეს, რომ მშობლის მონაწილეობა წარმოადგენს მოსწავლის აკადემიური წარმატების მნიშვნელოვან წინაპირობას. ხშირ შემთხვევებში, მშობელს არ სურს მონაწილეობა, ან არ აქვს ამის საშუალება. ვან დანკის (Van Dunk E.et.al, 1998) კვლევის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში მშობელი არჩევს ისეთ სკოლას სადაც მშობლის მონაწილეობის საჭიროება მინიმუმამდეა შემცირებული.

ეკონომიკური ფაქტორი - გადასახადი, ოჯახის შემოსავალი, ოჯახის ზომა როგორც არჩევანის ფაქტორი

მშობლისათვის, კერძო სკოლის შერჩვა, დაკავშირებულია ხარჯთან/გადასახადთან რომელსაც მშობლები იხდიან წლიურად ან კვარტალურად. შესაბამისად, კერძო სკოლებში ხდება გარკვეული სოციალური სელექცია. საქართველოში ნაკლებად არსებობს დაბალშემოსავლიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა საქველმოქმედო დაფინანსების ან სტიპენდიების პრაქტიკა, ამიტომ მოსწავლეები დაბალი შემოსავლის ოჯახებიდან თითქმის არ ხვდებიან კერძო სკოლებში.

ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა განისაზღვრება როგორც შემოსავლებით, ასევე ხარჯებით, ოჯახში ერთი მოსწავლის და რამდენიმე მოსწავლის არსებობა სრულიად განსხვავებულს ხდის ოჯახის ხარჯვის სტრუქტურას. შესაბამისად, სწავლის საფასური, რომლის გადახდაც შესაძლებელია ოჯახში ერთი მოსწავლის არსებობის პირობებში, შეიძლება შეუძლებელი გახდეს ოჯახში ერთზე მეტი სასკოლო ასაკის მოსწავლისათვის.

2006 წელს (Johnson, 2006) ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ შემოსავლიან ოჯახებს მეტი თავისუფლება აქვთ სკოლის არჩევანში, შესაბამისად მეტ მოთხოვნებს უყენებენ სკოლას არჩევანის პროცესში. ტერიტორიული ფაქტორი ნაკლებად გამოდის

როგორც წამყვანი ფაქტორი და მეტი მნიშვნელობა ენიჭება სწავლების ხარისხს გარემოს და ა.შ.

ნაკლებად შემოსავლიანი ოჯახებისათვის, ტერიტორიულ ფაქტორი ხშირ შემთხვევაში სხვა ფაქტორთა შორის მთავარია, შესაბამისად, სკოლის არჩევის პროცესში ნაკლებად მონაწილეობს საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული მოთხოვნა/მიწოდების მექანიმი. ლიბერალური მოდელი სწორედ იმ გზებს იხილავს, თუ როგორ მოხდეს, დაბალშემოსავლიანი ოჯახების ჩართვა არჩევანის ეფექტურ სისტემაში. ეს პროცესი შეამცირებს ეთნიკურ სეგრეგაციას, სკოლის არჩევის პროცესს უფრო ეფექტურს და სამართლიანს გახდის.

სხვა ფაქტორები

რელიგიის ან მორალური ღირებულებების როლი სკოლის არჩევანში

ისტორიულად, ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც განსაზღვრავდა მოთხოვნას კერძო სწავლებაზე, იყო რელიგიის ფაქტორი. თითქმის ყველა ქვეყანაში, კერძო სწავლება დამატებით ფოკუსირებული იყო რელიგიისადმი სახელმწიფო სექტორის განსხვავებულ ხედვასა და დამოკიდებულებაზე. ამერიკის სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, პრაქტიკულად ყველა კერძო სკოლას აშშ-ში რელიგიური ორგანიზაციები აფინანსებენ (მაგალითად კათოლიკური სკოლები). თუნდაც ეს ფაქტორი მიუთითებს მის მნიშვნელობას ფაქტორებს შორის, რომლითაც მშობლები კერძო სკოლების არჩევისას ოპერირებენ.

აშშ-ში საჯარო სკოლებმა უნდა დაიცვას სახელმწიფო სტანდარტები იმასთან დაკავშირებით, თუ რა ასწავლონ და როგორ უნდა იყოს ეს სწავლება წარმოდგენილი. კონკრეტული საგნები, როგორებიცაა რელიგიური და სექსუალური გაკვეთილები ტაბუდადებულია. მრავალწლიანმა სასამრთლო პრაქტიკამ განსაზღვრა ლიმიტები და ჩარჩოები, თუ რა შეიძლება ისწავლებოდეს და როგორ უნდა იყოს ეს წარმოდგენილი საჯარო სკოლებში.

საჯარო სკოლისაგან განსხვავებით, კერძო სკოლაში ასწავლიან იმას, რაც მნიშვნელოვნად მიაჩნიათ და აწვდიან ამას ისე, როგორც სურთ. ამიტომაც არის, რომ მშობლები ირჩევენ ამა თუ იმ სპეციფიურ სკოლას, რომელსაც აქვს ისეთი განთლების პროგრამა და განათლების ფილოსოფია, რომელიც მათთვის უფრო ახლო და კომფორტულია.

განვითარებად ქვეყნებში, მაგალითად ინდონეზიაში არსებობს „სამინისტრო რელიგიის საკიხებში“ (MORA), რომელიც მენტორობას უწევს ქვეყნის კერძო სკოლების 90 პროცენტს. აღნიშნულ სამინისტროს აქვს შემუშავებული რელიგიის სწავლების კურუკულუმი, რომელშიც ასახულია ინსტრუქციები რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებით. რელიგიის სწავლება ინდონეზიაში განსაზღვრავს კერძო სექტორის მიმართ მაღალ მოთხოვნას.

ვან პელტის აზრით (Van Pelt 2007), მშობლების დიდი ნაწილისათვის, რომლებიც ირჩევენ კერძო სკოლებს, დიდი მნიშვნელობა აქვთ რელიგიის სწავლებას. მათი არჩევანი ხშირად შეჭიდულია მორალურ, ღირებულებით და რელიგიურ ფასეულობებთან. ვილკინსონის აზრით (Wilkinson 2004) რელიგიური ფაქტორი იმ მნიშვნელობასთან შედარებით, რა მნიშვნელობითაც არის წარმოდგენილი შერჩევის პროცესში, მკვლევარების მიერ არასაკმარისად ნაკვლევია. მეორეს მხრივ, ოჯახების რელიგიური და ღირებულებითი მოტივაციები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მკვლევარისთვის მათ უნიფიცირება საკმაოდ რთულ მიზანს წარმოადგენს.

სკოლის გარემო და ინფრასრუქტურა

სმიტის აზრით (Smith (2000), „სკოლის შენობა და ინფრასტრუქტურა უნდა ქმნიდეს მოსწავლისათვის კონცენტაციისა და სწავლისათვის საუკეთესო გარემოს. სკოლა ეს არ არის მხოლოდ ადგილი სადაც მიიღწევა მოსწავლეთა მაღალი აკადემიური შედეგები, არამედ მისი ელემენტები უნდა იყოს მოხერხებული, უსაფრთხო და სასიამოვნო“.

რეჰმანის (Rehman et. al., 2010) მიხედვით სასკოლო გარემო პირდაპირ აისახება მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე. (NCES)-ს (U. S. Department of Education's National Center for Education Statistics) კვლევის მიხედვით რომელიც ჩაატარეს პეტერსონმა და ლაუდეტმა (Peterson and Llaudet, 2006) აშშ-ში კერძო სკოლის აკადემიური შედეგები ყოველთვის უფრო მაღალია ვიდრე სახელმწიფო სკოლების (Peterson and Llaudet, 2006) study, students attending private schools, რაზეც მნიშვნელოვან გავლენას სკოლის გარემო ქმნის.

სკოლის აკადემიური შედეგები

როგორც ზემოთ ითქვა, სკოლის არჩევა პირდაპირ არის დაკავშირებული სკოლის აკადემიურ შედეგებთან NCES-ს (U. S. Department of Education's National Center for Education Statistics) მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაამტკიცა ამ კავშირის სიმყარე. ამერიკელი მშობლებისთვის, კერძო სკოლის არჩევისას, ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი სტატისტიკაცაა - კერძო სკოლადამთავრებულთა 90 პროცენტი სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებს, საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებიდან კი უნივერსიტეტებში მხოლოდ 66 პროცენტი ხვდება.

ეს საკითხი საკმაოდ დიდ დავას იწვევს განათლების სფეროს აკადემიურ წრეებში, რამდენადაც კერძო სკოლების უმეტესობა ახდენს **მოსწავლეთა შერჩევას აკადემიური უნარების მიხედვით**, რაც ქმნის პირობას, რომ კერძო სკოლებში უფრო „უნარიანი" მოსწავლეები სწავლობენ. მეორეს მხრივ, კერძო სკოლების უმეტესობაში მშობელი იხდის სწავლის საფასურს, რაც **სოციალური შერჩევის/სეგრეგაციის** პირობაა. შესაბამისად მეცნიერების ნაწილი მიიჩნევს რომ უნარებისა და სოციალური შერჩევის შედეგად მიღებული გენერალური ერთობლიობა თავისი საწყისი პოზიციით უკვე განსხვავებულია სახელმწიფო სკოლების მოსწავლეთა გენერალური ერთობლიობისგან. შესაბამისად, მიღებული შედეგების რა წილი მოდის ამ ფაქტორზე და რა წილს უზრუნველყოფს კერძო სკოლის სწავლების ხარისხს, ძნელი დასადგენია.

ერთი რამ მნიშვნელოვანია, რომ კერძო სკოლების აკადემიური შედეგები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მშობლების მიერ სკოლის შერჩევის პროცესზე, რაც არის ამ შემთხვევაში ჩვენი კვლევის საგანი და ინტერესი.

კლასში მოსწავლეთა რაოდენობა

კლასში მოსწავლეთა რაოდენობა და მოსწავლისადმი ინდივიდუალური ყურადღება, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია სკოლის არჩევანის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის. კვლევები ადასტურებს, რომ მცირე ზომის კლასებში უკეთესი შედეგები მიიღწევა, მასწავლებელი-მოსწავლის შედარებით „ახლო/უშუალო სამუშაო ურთოერთობების შედეგად“. (Klonsky 1995; Raywid 1995; Lee and Smith 1997), რაც, კვლევების მიხედვით, მასწავლებელს უფრო მეტად მოტივირებულს ხდის შექმნას მოსწავლესთან თანამშრომლობის გარემო (Lee and Smith 1993), გახადოს სწავლის პროცესი უფრო ანალიტიკური და შემოქმედებითი, ვიდრე სტანდარტული და დასწავლაზე ორიენტრებული (Newmann and Wehlage (1995).

საშუალოდ, მთელს მსოფლიოში, კერძო სკოლები უფრო მცირე ზომისაა. მათში შედარებით პატარა ჯგუფებია და მასწავლებელი/მოსწავლის კოეფიციენტი უფრო მაღალია (student/teacher ratios) სახელწიფო სკოლებთან შედარებით.

ადგილმდებარეობა

გოდლრინგის და როულის მიერ 2006 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად თუ შევადარებთ პოპულარულ და არაპოპულარულ სკოლებს, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან როლს, სკოლის ადგილმდებარობა თამაშობს. (Goldring and Rowley, (2006). მოსახერხებელი ადგილმდებარეობა, სკოლის შენობის იტორია და სკოლის გარშემო ინფრასტრუქტურა, განმსაზღვრელია მშობლისათვის სკოლის არჩევის პროცესში (Flatley (2001).

მიუხედავად სკოლის არჩევანის დიდი შესაძლებლობისა, შემოსავლიანი მშობლები ხშირად აკეთებენ არჩევანს საცხოვრებელი ტერიტორიიდან გამომდინარე. მეორეს

მხრივ, საცხოვრებელი ტერიტორიის არჩევა ხშირად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განათლების შესაძლებლობის არჩევანს სთავაზობს მათი საცხოვრებელი გარემო. (Johnson, 2006). ნაკლებშემოსავლიანი ოჯახებს და ეკონომიური პრობლმების მქონე მშობლებს, ნაკლებად აქვთ საცხოვრებელი გარემოს ასეთივე არჩევანი, რაც ასევე ზღუდავს მათ საგანმანათლებლო ინსტიტუციის არჩევანს, ეს ფაქტორი არათანაბარ პირობებში აყენებს მოსწავლეებს შემოსავლიან და ნაკლებშემოსავლიანი ოჯახებიდან. (Coons and Sugarman, 1977; Hoxby, 1998; Schneider et al., 2000).

მასწავლებელთა პროფესიონალიზმი

ქვეყნებს შორის ძალიან განსხვავდება კერძო და სახელმწიფო სკოლების მასწავლებელთა მოტივირებულობა და პროფესიონალიზმი.

მაგალითად აშშ-ში, სახელნწიფო სკოლებში, მასწავლებლების ანაზღაურება საშუალოდ მეტია, ვიდრე კერძო სკოლებში. სახელმწიფო სკოლებში აქვთ ძალიან მაღალი კომპენსაციები, განსაკუთრებით კომპენსაციები გაიზარდა 2000 წლის შემდეგ, მიზეზი იყო მასწავლებლებისათვის ჯანდაცვის და საპენსიო მაღალი გადასახადები, რის გამოც მასწავლებლები ტოვებდნენ სამუშაოს.

კერძო სკოლებში, ზოგადად კომპენსაციები უფრო დაბალია ვიდრე სახელმწიფო სკოლებში, მაგრამ კერძო სკოლებს შორის ძალიან დიდი განსხვავებებია. კომპენსაციების რაოდენობასა და სამუშაო პირობებში და დამოკიდებულია სკოლების ფინანსურ რესურსებზე.

აშშ-ში მასწავლებელი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტია. ქვეყანაში ეს პროფესია პრესტიჟულია, ამიტომ კონკურენციაც დიდია. ამერიკული სასკოლო განათლების მაღალ ხარისხს მნიშვნელოვანწილად სწორედ მასწავლებელთა პროფესიონალიზმი განაპირობებს.

განვითარებად ქვეყნებში ეს ასე არ არის, სახელმწიფოს მხრიდან სკოლების დაფინანსების სიმწირე განსაზღვრავს მასწავლებელთა დაბალ ანაზღაურებას შესაბამისად დაბალ მოტივაციასა და პროფესიონალიზმს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალური დოკუმენტში „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“ (2015 წელი), შეგვიძლია შემდეგი რამ წავიკითხოთ:

“მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების დღემდე მოქმედი სისტემა ვერ აღმოჩნდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ეფექტური საშუალება. ამასთან, ნაკლებად ხდება ახალი, მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, რაც განპირობებულია მასწავლებელთა შრომის დაბალი ანაზღაურებით, პროფესიის დაბალი პრესტიჟითა და სელექციის არაკონკურენტული, მოუქნელი მექანიზმით. ასევე, შეიმჩნევა მასწავლებლობის მსურველ სტუდენტთა რაოდენობის კლების დინამიკა, დაბალია იმ აბიტურიენტების საგამოცდო შედეგები და სტუდენტების აკადემიური მოსწრება, რომელთაც განზრახული აქვთ მასწავლებლის პროფესიაში შესვლა. მთელი რიგი რეგიონების საჯარო სკოლებში შეიმჩნევა გარკვეულ საგნებში კვალიფიციურ სპეციალისტთა დეფიციტი. ასევე, რიგ სკოლებში (განსაკუთრებით რეგიონებში) რამდენიმე საგანს ერთი და იგივე პედაგოგი ასწავლის, რომელიც საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ერთი საგნის სპეციალისტია. რაც, ბუნებრივია, ამცირებს სწავლა/სწავლების ხარისხს, პრესტიჟს უკარგავს სკოლას და ზოგადად, მასწავლებლის პროფესიას. მოქმედმა სისტემამ ვერ უზრუნველყო მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა ეფექტურობა.“

საქართველოში საჯარო სკოლებში პრობლემა ის კი არ არის, რომ საშუალოდ მასწავლებელთა ხელფასი ძალიან დაბალია, პრობლემა უფრო მეტად იმაშია, რომ სახელფასო პოლიტიკა ძალიან ერთგვაროვანი და ხისტია. „ცუდ “ და „კარგ“ მასწავლებლებს ერთი და უნიფიცირებული სახელფასო პოლიტიკა და გადახდის ერთგვაროვანი სისტემა აქვთ, სადაც კვალიფიკაციაზე მეტად სხვადასხვა ლიცენზირების სისტემა მოქმედებს და პროფესიული პედაგოგიური საქმიანობაში

დამსახურების და კვალიფიკაციის მიხედვით განსხვავებლი ანაზღაურება არ არის გათვალიწინებული. ამ მხრივ, კერძო სკოლები, ბევრად მოქნილები არიან, შესაბამისად „კარგი“ მასწავლებლების საქმიანობა მეტად დაფასებულია.

სოციალური შერჩევა და სოციალური გამოცდილება შვილებისათვის

სოციალური შერჩევის პროცესი კერძო სკოლებში სადაც მშობელი იხდის სწავლის გადასახადს უდავოა. გადასახადის გადახდა უკვე ნიშნავს ოჯახის ბიუჯეტში სპეციალურად განათლების მიზნებისათვის თანახის გამოყოფას და რა თქმა უნდა, ამ თანხის არსებობას ოჯახის ბიუჯეტში.

სოციალური გამოცდილების ფაქტორის მნიშვნელობას ადასტურებს მრავალი კვლევა. საინტერესო ის ფაქტია, რომ სოციალური გარემო და სოციალური გამოცდილება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სკოლის არჩევისათვის. მას ორი ტიპის ლოგიკა უდევს საფუძვლად:

1. მშობლები რომლებიც კერძო სკოლებს ირჩევენ, ცდილობენ საკუთარ შვილს შეუქმნან სასურველი სოციალური გარემო, რაც ნიშნავს კონკრეტული სოციალური სტატუსის/გამოცდილების მქონე ოჯახების შვილებთან ურთიერთობებს.

2. სახელწიფო სკოლების არჩევანში აღნიშნული ფაქტორი ასევე მნიშვნელოვანია და ამ შემთხვევაში მშობლებს სურთ მათი შვილი არ შემოიღზუდოს კონკრეტული სოციალური გამოცდილების მეგობრებით, არამედ ჰქონდეს ურთიერთობა განსხვავებულ ადამიანებთან, რაც მათი აზრით, აუცილებელია სოციალური გამოცდილების დასაგროვებლად. მაგალითად, ავსტრალიაში ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მშობლების 53% არ შეიცვლიდა სახელმწიფო სკოლას კერძო სკოლაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუკი თანხა არ ექნებოდა გადასახდელი, მიზეზად დასახელდა სწორედ სოციალური გამოცდილება, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნარი მომავალი ცხოვრებისათვის (Beavis A, 2004)

დაცულობა/უსაფრთხოება/დისციპლინა

MORI-ს მიერ დამოუკიდებელი სკოლების საინფორმაციო ცენტრისათვის 1998 წელს დიდ ბრიტანეთში ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა შეესწავლა 1135 მშობლის მიერ კერძო თუ სახელმწიფო სკოლების სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების მიზეზები. გამოვლინდა 3 ძირითადი მიზეზი. ესენია: განათლების ხარისხი 34%, სახელმწიფო სკოლებით უკმაყოფილება 21% და დისციპლინა 21%. დისციპლინის, როგორც შერჩევის ფაქტორის მნიშვნელობა, გამოვლინდა არაერთ კვლევაში. საინტერესოა, განისაზღვროს თუ რა როლს თამაშობს დისციპლინა არჩევანის სისტემაში საქართველოს რეალობაში.

საქართველოში ჩატარებული საექსპერტო კვლევაში მონაწილე რესპონდენტების ნაწილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ დაცულობის/უსაფრთხოების ფაქტორის როლი არჩევანის პროცესში მშობლის არჩევანის სისტემაში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შვილის სქესზე (რომლისათვისაც ხდება სკოლის შერჩევა), ბიჭის მშობლებისათვის დაცულობა/უსაფრთხოება უფრო წამყვანი ფაქტორია შერჩევის პროცესში, ვიდრე გოგონას მშობლებისათვის.

მოსწავლის დადებითი განწყობა/ბედნიერების განცდა სასწავლო ინსტიტუციასთან დაკავშირებით

განათლების დარგში კონსულტანტი ტერი სოლოჩეკი მშობლებს ურჩევს სკოლის არჩევანისას მთავარი ყურადღება დაუთმოს საკუთარი შვილის საჭიროებებს განათლებასთან დაკავშირებით, რაშიც ავტორი გულისხმობს თუ რა დატვირთვის ატანა შეუძლია მოსწავლეს, წინასწარ განისაზღვროს სწალის მოტივაცია და პოტენციალი/მიღწევის შესაძლებლობა. (Teri Solochek, Ph.D., an educational consultant with Irwin, Lehrhoff and Associates in Los Angeles).

მშობლების მიზნები სასკოლო განათლებასთან კავშირში

მშობლის არჩევანში ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი სავარაუდოდ მიზანია - თუ რა არსებულ თუ სამომავლო მიზნებს უკავშირებს მშობელი შვილის სასკოლო განათლებას, რა სურვილები და მოლოდინები აქვს მას და როგორ აისახება მშობლის

მიზნები არჩევანის პროცესზე და იმ პრიორიტეტებზე რაც საფუძვლად უდევს სკოლის არჩევას. საერთაშორისო კვლევითი გამოცდილება აჩვენებს რომ მიზნები ყოველთვის არ არის დაკავშირებული ხარისხიანი განათლების მიღებასთან, მშობელს შეიძლება სრულიად სხვა პრიორიტეტები ჰქონდეს სკოლის არჩევისას.

2.2.7 ჰეიმან-ლოქსლის ეფექტი

1970-იანი წლებიდან და 1980-იანი წლების დასაწყისამდე 13 ინდუსტრიული და 16 განვითარებადი ქვეყნის მონაცემების შედარებისას, ჰეინემანმა და ლოქსლიმ (Heyneman and Loxley's 1983) აღმოაჩინეს, რომ ოჯახის და სკოლის გავლენა მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის/საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ხარისხზე.

ამ აღმოჩენის შედეგად, ჰეიმანმა და ლოქსლიმ შექმნეს მწყობრი თეორია, რომელშიც ოჯახის მახასიათებლები დაუკავშირეს სკოლის მახასიათებლებს და მოსწავლის აკადემიურ წარმატების მაჩვენებლებს.
ამ თეორიის მიხედვით, განვითარებულ ქვეყნებში მოსწავლის აკადემიურ შედეგებზე ოჯახის სოციოეკონომიკური სტატუსი (SAS -socioeconomic status) უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სკოლის გავლენა, ხოლო დაბალშამოსავლიანი ქვეყნებისთვის პირიქით - სკოლის რესურსი და სკოლაში სწავლების ხარისხი უფრო ძლიერი განმსაზღვრელი ფაქტორი აღმოჩნდა, ვიდრე ოჯახთან დაკავშირებული ფაქტორები.

ჰეინემანმა და ლოქსლიმ განაცხადეს „რაც უფო უფრო ღარიბია ქვეყანა, მით უფრო დიდია სკოლისა და სწავლების ხარისხის გავლენა მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე (გვ. 1180). ამ მიგნებებს უწოდებენ „ჰეიმან-ლოქსლის ეფექტს“ (HL ეფექტი). დღემდე აქტიურად მიმდინარეობს დებატები ამ საკითხზე.

ამ მოვლენას შემდეგნაირად ხსნის დევიდ ბარკერი (David P. Baker, Brian Goesling and Gerald K. LeTendre 2002) განვითარებულ ქვეყნებში განათლების პოლიტიკა და არსებული რეგილაციები უზრუნველყოფენ სახელწიფო სკოლის გარკვეულ ხარისხს, რაც ქმნის პირობას იმისა, რომ სახემწიფო და კერძო სკოლებს შორის მიუხდავად განსხვავებისა, ეს განსხვავება ძალიან მნიშვნელოვანი არ არის და განმასხვავებლად გამოდის ოჯახის სოციოეკონომიკური ფაქტორი, ნაკლებადგანვითარებულ ქცეყნებში სკოლის ერთიანი მინიმალური სტადარტი არ არსებობს და შესაბამისად სკოლის ფაქტორი შეიძლება გახდეს გადამწყვეტი და აღემატებოდეს ოჯახთან დაკავშირებული ფაქტორების ჯამს.

მიუხედავად იმისა, რომ ფულერმა და კლარკესმა (Fuller and Clarkes 1994) განვითარებადი ქვეყნის კვლევების მიმოხილვამ კიდევ ერთხელ დაადასტურა HL ეფექტის არსებობა, სხვა კვლევებში ეს ყოველთვის არ იყო აშკარა. ასე მაგალითად რიდელმა (Riddell, 1989) ეჭვქვეშ დააყენა კვლევის მეთოდოლოგია. მისი აზრით, მთვარი პრობლემა მონაცემების იერარქიული ბუნების იგნორირება იყო, რადგან არ ხდებდა სტუდენტების შემთხვევითი მეთოდით შერჩევა, შედეგად ვიღებდით HL ეფექტს იქ სადაც რეალურად არ არსებობს. რიდელმა გამოიყენა მრავალმხრივი მოდელირება ზიმბაბვეს საშუალო სკოლებიდან სტუდენტების აკადემიური მიღწევების გასაანალიზებლად, რაც მოიცავდა სტუდენტთა SAS სტატუსის ცვლას. მან დაადგინა, რომ ზიმბაბვეში HL ეფექტი არ შეინიშნება და მოსწავლეების სოციალურ სტატუსს უფრო ძლიერი კავშირი ჰქონდათ მოსწავლეთა მიღწევებთან, ვიდრე სკოლის ხარისხს.

დისკუსიები HL ეფექტის მეთოდოლოგიურ საკითხებზე გაგრძელდა ჰეინემანის და სხვების (Heyneman, 1989; Riddell, 1989), ბეიკერის და სხვების, (Baker et al. (2002) განცხადებებით, რიდელის მტკიცებულებები არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ ცალსახად უარყოფილი ყოფილიყო 70-იანი და 80 -იანი წლებში HL ეფექტის არსებობა. თავის მხრივ, რიდელმა განაცხადა, რომ განვითარებად ქვეყნებში საშუალო სკოლებს შორის განსხავება იყო 41%-დან 46%-მდე, მაშინ როდესაც განვითარებულ ქვეყნებში ეს ვარიაცია 10–15%-ს შეადგენს (Scheerens, 1999). შესაბამისად ერთი მხრივ რიდელის

მიხედვით განვითარებად ქვეყნებში სწავლის დონის ცვალებადობა სკოლებს შორის და სკოლის შიგნით თითქმის ტოლი იყო, თუმცა სკოლებს შორის ცვალებადობა აღემატება განვითარებულ ქვეყნებში არსებულ იგივე მონაცემებს (Riddell 1997).

წლების შემდეგ, ბეიკერი და სხვა. (2002) და ჰანუშეკმა და ლუიკმა (2003) ჩაატარეს HL ეფექტის შეფასებები 1995 წლის მესამე საერთაშორისო მათემატიკისა და მეცნიერების შესწავლის (TIMSS) მონაცემების გაანალიზების გზით. ორი დამოუკიდებელი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ HL ეფექტი გაქრა და სკოლის ფაქტორი არაა განსხვავებულად მნიშვნელოვანი დაბალი შემოსავლის ქვეყნებში. ჰეინემანმა (Heyneman 2005) ივარაუდა, რომ კვლევების განსხვავებული შედეგები ქვეყნების არჩევამ განაპირობა. კერძდ HL–ს თავდაპირველ კვლევაში გაანალიზდა ცხრა ლათინური ამერიკის ქვეყანის და ცენტრალური ევროპის ერთი სოციალისტური სახელმწიფოს სახელმიფოს მონაცემები. TIMSS– ის მონაცემებიდან აღებული იქნა ლათინური ამერიკის ერთი ქვეყანა და ცენტრალური ევროპის და აზიის რვა ქვეყანა. მნიშვნელოვანი განსხვავება ის იყო, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებს ჰქონდათ ერთ - ერთი ყველაზე ნაკლებად თანაბარი სასკოლო რესურსების განაწილების პრაქტიკა მსოფლიოში, ხოლო ცენტრალური ევროპის და აზიის სოციალისტურ ქვეყნებს ქვეყნებიში (მაგ., რუსეთი, უნგრეთი, ლატვია, რუმინეთი, ლიტვა, სლოვაკეთი, ჩეხეთი და სლოვენია) ჰქონდა ყველაზე გათანაბრებული სისტემა (Heyneman, 2005). შედეგად, რაც უფრო ჰომოგენურია სკოლის ხარისხთან დაკავშირებული რესურსების განაწილება, მით ნაკლებია სკოლებს შორის ცვალებადობა ჩვენთვის საინტერესო ცვლადებისათვის.

ლონგმა (Long 2006) ჩაატარა კვლევა ლათინური ამერიკის 11 ქვეყანაზე და მიღებული შედეგისმიხედვით 57%-იანი ცვალებადობა აღემატებოდა კიდეც კლასიკური კვლევის მონაცემს 51%-ს. განვითარებად ქვეყნებში HL ეფექტის არსებობამ ხაზი გაუსვა საგანმანათლებლო დაწესებულებების პოტენციალს, როგორც სოციალური მობილობის გაზრდის საშუალებას. შესაძლებელია ვივარაუდოდ, რომ HL ინდექსის არსებობა უფრო ლათინური ამერიკის ქვეყნებში არსებული ფენომენია.

გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული კვლევის შემდგომ 1990 წლამდე არ არსებობდა სხვადასხვა ქვეყანაში ერთი სტანდარტით ჩატარებული კვლევა, რომელიც შედეგების გენერირების და მონაცემების შედარების საშუალებას მოგვცემდა, მეორეს მხრივ, არ არსებობს ამ კვლევის ზუსტად გამეორების პრეცენდენტი.

1994 წელს ჩატარებულმა კვლევის ანალიზმა ვერ დაასაბუთა „ჰეიმან-ლოქსლის ეფექტი", მიღებული განსხვავებები არსებობდა, მაგრამ არ იყო სტატისტიკურად მიშვნელოვანი აღნიშნული ცვლადებისათვის. 21 წლის შემდეგ ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ სამ ფაქტორს შორის _ სკოლის ხარისხი, ოჯახის სოციოეკონომიკური (SAS) ფაქტორი და მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონე არ იმყოფება ზემოთაღწერილ მიმართებაში ქვეყის ეკონომიკურ მაჩვენებლებთან _ ავტორთა დასკვნის მიხედვით „ჰეიმან-ლოქსლის ეფექტი" ან არ არსებობდა ან 21 წლის განმავლობაში მან ტრანსფორმაცია განიცადა.

2.2.8 კერძო სკოლების სეგმენტი საქართველოში

განათლების საკითხებში ექსპერტმა ნათია ანდღულაძემ შემდეგნაირად აღწერა საქართველოში კერძო სკოლების ბაზარი: „საქართველოში დღეს მოქმედი კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები, უხეშად რომ ვთქვათ, 3 კატეგორიად იყოფა. პირველ კატეგორიას მიეკუთვნებიან ძვირად ღირებული სკოლები (5000-20000), მეორე კატეგორიას - საშუალო ღირებულების მქონენი (3000-5000 ლარი) და მათ ფონზე - უფრო დაბალფასიანები, სადაც გადასახადი თვეში 100 ლარიდან იწყება და წელიწადში 2000 ლარამდე ადის.

პირველი კატეგორიის მთავარი უპირატესობა გაცვლითი პროგრამები და უცხოეთში სწავლის გაგრძელების პერსპექტივაა. უმაღლესი დონის ინფრასტრუქტურა და კომფორტული სასწავლო გარემოც სერვისის საფასურში შედის.

მეორე კატეგორიის სკოლები კარგი ინფრასტრუქტურით, მაღალანაზღაურებადი

კომპეტენტური პედაგოგებითა და მრავალფეროვანი, დატვირთული სასწავლო პროგრამებით იზიდავენ მომხმარებელს.

მესამე კატეგორიის კერძო სკოლების უმრავლესობის პრობლემა გაუმართავი ინფრასტრუქტურა და შეუფერებელი შენობებია (ბუნებრივია, არსებობს გამონაკლისებიც). თუმცა, მცირებავშვიანი კლასები და მოსწავლეების მიმართ ინდივიდუალური მიდგომა, საჯაროსთან შედარებით, მათაც აშკარად უპირატეს მდგომარეობაში აყენებთ. შეიძლება, იქ პროფესორები არ ასწავლიან, სამაგიეროდ, დამსაქმებელი პედაგოგებს აიძულებს მაქსიმალურად დაიხარჯონ, რაც მოსწავლეზე აშკარად კარგად აისახება. ამ სკოლებს, როგორც წესი, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ირჩევენ.“ (ინტერნეტჟურნალი Mshoblebi.ge 14 ივლისი 2014 წელი)

საქართველოში კერძო სკოლების განვითარება 30 წელზე მეტს ითვლის. ამ პერიოდის განმავლობაში მან განვითარების რამდენიმე საფეხური გაიარა. პირველი კერძო სკოლა საქართველოში 1991 წელს შეიქმნა და მათი რაოდენობა ბოლო ათწლეულის განმავლობაში იზრდებოდა. შესამჩნევი ნახტომი ამ მხრივ 2005-06 წლებში მოხდა. ამ ცვლილების მიზეზი ბევრია, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პერიოდში ეკონომიკური ზრდა და საგანმანათლებლო პოლიტიკაა. სწორედ ამ დროს შემოვიდა სასკოლო განათლების სისტემის მართვის ახალი მოდელი. სახელმწიფომ თავის ფუნქციად აირჩია არა იმდენად სასწავლო დაწესებულების, რამდენადაც მოსწავლის დაფინანსება. სასწავლო ვაუჩერით მიღებულ სახელმწიფო დაფინანსებას მშობელი ამ დროიდან, საკუთარი არჩევანის მიხედვთ, კერძო ან საჯარო სკოლაში ხარჯავს. შედეგად, კერძო სკოლები დღეს დაახლოებით ოც მილიონ ლარს იღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. საგანმანათლებლო პოლიტიკის შედეგი კერძო სკოლების რაოდენობასთან ერთად მათი მოსწავლეების რაოდენობის ზრდაც იყო. 2017 წლის ოქტომბერის მონაცემებით საქართველოი 2085 საჯარო და 226 კერძო სკოლა ფუნქციონირებს. საჯარო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობაა_ 517749 ხოლო კერძო სკოლაში სწალობს 57243 მოსწავლე (განათლების სამინისტროს სტატისტიკის სამსახური, 2017)

ბოლო 20 წლის განმავლობაში მშობლისათვის გაჩნდა არჩევანი „კერძოში მიიყვანოს თუ საჯაროში“. არჩევანმა შემოიტანა საბაზრო პრინციპები და ალტერნატივის სიმრალემ „შეაჩვია“ მშობლები მიდგომოდნენ სკოლის არჩევანის პროცესს მომხმარებლის კრიტერიუმებით _ საკუთარი შესაძლებლობების და მრავალნაირი სურვილისა და მოთხოვნის შესაბამისად მიეღოთ გადაწყვეტილება ყველაზე შესაბამისის სასარგებლოდ (Cookson, 1994).

კერძო სკოლებმა მშობლებს მიცეს არჩევანის თავისუფლების განცდა და საშუალება გაიგონ თუ რას სთავაზობს თვითოეულული კერძო სკოლა საჯარო სკოლებისგან განსხვავებით. თითოეულმა კერძო სკოლამ შეიძინა საკუთარი იმიჯის და განსხვავებულობის მახასიათებები. საშუალება მისცა აერჩია სკოლა საკუთარი იდეოლოგისა და ღირებულებების შესაბამისად (Schneider, Teske, & Marschall, 2000).

არსებობს წყება მიზეზებისა, რატომაც მშობლები უარს ამბობენ უფასო საჯარო სკოლებზე და იხდიან თანხას კერო სკოლებში. ასევე არსებობს იმის ლოგიკური მსჯელობა, თუ რატომ ატარებენ მშობლები შვილებს საჯარო სკოლებში, ან როგორ აღწევენ ორივე შემთხვევაში მათი აზრით საუკეთესო შედეგებს. სადისერტაციო ნაშრომისათვის ჩატარებული კვლევა იძლევა უნიკალურსა და საინტერესო შედეგებს და ამ მსჯელობის ლოგიკური ჯაჭვის მიზეზ-შედეგობრივობის დანახვისათვის.

რეფორმამდე, საზოგადოების წინაშე განათლების სისტემის ანგარიშვალდებულება თითქმის არ არსებობდა. „სისტემა გადატვირთული იყო ბიუროკრატიული შრეებით რომლებსაც ერთმანეთის გადამფარავი უფლებამოსილებები და ანგარიშვალდებულებები ჰქონდა და ხასიათდებოდა თითქმის ყველა საფეხურზე ეფექტური კოორდინირების, ადმინისტრირებისა და ფინანსური მართვის მექანიზმების ნაკლებობით“ (ა . მათითაშვილი)

ვაუჩერების სისტემის შემოღებით იმ სფეროში, რომელიც ტრადიციულად სახელმწიფოს გავლენის ქვეშ იყო საბაზრო ეკონომიკის მეთოდები შემოვიდა. **ვაუჩერების სქემის არსი მშობლებისათვის არჩევანის მიცემაა.**

სასკოლო ვაუჩერებმა გააჩინა კერძო სკოლების დაფინანსების ალტერნატიული წყარო. მაგრამ ძირითადი შემოსავალი, მანამდეც და ახლაც, მაინც მოსწავლეების მიერ გადახდილი სწავლის გადასახადებია. იშვიათ შემთხვევაში სკოლებს ჰყავთ სპონსორები ან პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებიც მათ აფინანსებენ. უმეტესად ეს საწყის ინფრასტრუქტურულ განვითარებას გულისხმობს და იშვიათად სკოლის მიმდინარე ხარჯების (კომუნალური ხარჯები და ხელფასები) დაფინანსებას. ასევე იშვიათია დასავლეთში გავრცელებული წარმოებისა და განათლების სფეროს პარტნიორობის ნიმუშები.

თუმცა ამ პროცესს დადებითი მხარის გარდა უარყოფითიც აქვს. კერძოდ, სახელმწიფო დაფინანსების გაზრდას სახელმწიფოზე დამოკიდებულების გაზრდაც მოჰყვება. რამაც ლოგიკურად მიგვიყვანა შედეგამდე, რომ სახელმწიფო თანდათანობით უფრო და უფრო მეტად ერეოდა კერძო სკოლების ფუნქციონირებაში. ეს გამოიხატება სასწავლო გეგმის უფრო მეტ სტანდარტიზაციაში, ერთიანი გამოცდების გზით სასკოლო ატესტატების გაცემის ახალ სისტემაში და სკოლების ე.წ. ბრენდირების შემოთავაზებული სისტემით. ეს უკანასკნელი კერძო სკოლებს უბიძგებს, საკუთარი წარმატების კრიტერიუმები შეცვალოს (ზოგიერთ შემთხვევაში უარესობისკენ) სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული შეღავათების სანაცვლოდ.

დღეისათვის საქართველოს კერძო სკოლების სისუსტის ძირითად ინდიკატორად საქართველოში მათი სახელმწიფოზე დამოკიდებულება და შიდა ფინანსური მდგრადობისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტების ნაკლებობა შეიძლება ჩაითვალოს.

ვაუჩერული დაფინანსების შემოსვლა მნიშვნელოვანი ცვლილება იყო, რომელმაც ათასობით მოსწავლის შესაძლებლობაზე იმოქმედა. თუმცა ეს უკვე აღარ არის

საკმარისი პირობა კერძო სკოლების შემდგომი განვითარებისა და მათი დამოუკიდებლობის ხარისხის თვისობრივად ამაღლებისთვის. ახლო მომავალში მნიშვნელოვანი იქნება კერძო სკოლებისთვის მათი ფინანსური მდგრადობის ინსტ-რუმენტების განვითარება, რაც, ძირითადად, ბიზნესის სფეროსთან თანამშრომლობი-თა და ინსტიტუციური ფონდების განვითარების გზით იქნება შესაძლებელი.

დღეს საჯარო სკოლებში სწავლობს 500.3 მოსწავლე, ხოლო კერძო სკოლებში 53.600 (საქსტატი)

კერძო სკოლების სეგმენტი განვითარებულია ძირითადად თბილისში (კერძო სკოლების თითქმის 50%) და მსხვილ ქალაქებში (თბილისთან ერთად კერძო სკოლების საერთო რაოდენობის თითქმის 70%) , ხოლო ამ სეგმენტის განვითარება არ ხდება რეგიონებში და რაიონულ დასახლებებში. ეს ტენდენცია ნათლად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებში.

გრაფიკი 1კერძო სკოლების პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით

(წყარო კვლევის ანგარიში „ზოგადი განათლების ვაუჩერული დაფინანსების ეფექტურობის კვლევა თანასწორობის კონტექსტში“ 2014 წელი. ჩატარდა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ)



გრაფიკი 2 კერძო სკოლების გადანაწილება რეგიონულ და ქალაქების ტიპის დასახლებებში

(წყარო კვლევის ანგარიში „ზოგადი განათლების ვაუჩერული დაფინანსების ეფექტურობის კვლევა თანასწორობის კონტექსტში“ 2014 წელი. ჩატარდა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ)



ეს რა თქმა უნდა გეოგრაფიულად ზღუდავს მშობლის არჩევანს. მეორე შეუზღუდვა ფასთან არის დაკავშირეული. ქვემოთ მომემული დიაგრამის (დიგრამა #)მიხევით კერძო სკოლების ყველაზე დიდი რაოდენობა 3000დან 5000 ლარამდე სეგმენტშია კონცენტრირებული, რომელთა 91.2% თბილისშია განთავსებული.

როგორც დიაგრამებიდან ჩანს თბილისში თბილისში არსებული კერძო სკოლების უმეტესობა მაღალი საფასო კატეგირიის კერძო სკოლებია.

გრაფიკი 3კერძო სკოლები სწავლის საფასურის მიხედვით (წელიწადში)

(წყარო კვლევის ანგარიში „ზოგადი განათლების ვაუჩერული დაფინანსების ეფექტურობის კვლევა თანასწორობის კონტექსტში“ 2014 წელი. ჩატარდა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ)



გრაფიკი 4 (წელიწადში) 3000-დან 5000 ლარამდე სწავლის საფასურის მქონე კერძო სკოლების გადანაწილება რეგიონების მიხედვით

(წყარო კვლევის ანგარიში „ზოგადი განათლების ვაუჩერული დაფინანსების ეფექტურობის კვლევა თანასწორობის კონტექსტში“ 2014 წელი. ჩატარდა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ)



გრაფიკი 5 (წელიწადში) 500-დან 1000 ლარამდე სწავლის საფასურის მქონე კერძო სკოლების გადანაწილება რეგიონების მიხედვით

(წყარო კვლევის ანგარიში „ზოგადი განათლების ვაუჩერული დაფინანსების ეფექტურობის კვლევა თანასწორობის კონტექსტში“ 2014 წელი. ჩატარდა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ)



გრაფიკი 6 (წელიწადში) 500-დან 1000 ლარამდე სწავლის საფასურის მქონე კერძო სკოლების გადანაწილება რეგიონების მიხედვით

(წყარო კვლევის ანგარიში „ზოგადი განათლების ვაუჩერული დაფინანსების ეფექტურობის კვლევა თანასწორობის კონტექსტში“ 2014 წელი. ჩატარდა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ)



2.3 საქართველოს სასკოლო განათლების შედეგები გლობალურ კონტექსტში

სახელმწიფო (მშობლები, მასწავლებლები, მთავრობა და ფართო საზოგადოება) დაინტერესებულია ჰქონდეს ინფორმაცია თუ საქართველოს სასკოლო განათლების მიღწევების შესახებ, რისთვისაც არსებობს საერთაშორისო კვლევები, გაზომვისა, აღრიცხვის და შეფასების სისტემები. „ამ სისტემის მიზანია იცოდეს, რამდენად კარგად ამზადებს მოსწავლეებს განათლების სისტემა ზრდასრული ცხოვრებისათვის.

სახელმწიფო შეფასება ეროვნული მასშტაბით არსებული სურათის შესწავლაზეა ორიენტირებული, საერთაშორისო კვლევები კი - ქვეყნის შედეგების გლობალურ კონტექსტში შეფასების საშუალებას გვაძლევს. ეს შეფასებები აღწერს მოსწავლეების სწავლის შედეგებს, მათ დინამიკასა და შეისწავლის ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევებზე". (შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი http://www.naec.ge)

ამ მიზნით, 2015 წელს ორი ფართომასშტაბიანი საერთაშორისო შეფასება ჩატარდა: TIMSS[2] (მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა; სამიზნე ჯგუფი: მე-4 და მე-8 კლასები) და PISA [3](მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო შეფასება; სამიზნე ჯგუფი: 15 წლის მოზარდები);

PISA-ს მონაცემების მიხედვით შედარებულია სულ 70 მონაწილე ქვეყანა ძირითად ქვეყნებში მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით. 70 ქვეყიდან 27 ქვეყანას აქვს მიღწევადობის საშუალოზე მაღალი მაჩვენებელი და 43 ქვეყანას კი საშუალოზე დაბალი. საქართველოს ერთიან მონაცემთა სისტემაში აქვს საშუალოზე დაბალი შეფასება და იკავებს მე-60 ადგილს. შესაბამისად მიღწევების მიხედვით 70 მნაწილე ქვეყნიდან უსწრებს 10 ქვეყანას.

კვლევებმა აჩვენა:

---

[2] TIMSS (Trends in International Mathematics and Science Study) განათლების სფეროში ქვეყნებს შორის შედეგების შეფასებითი კვლევის სისტემა რომელიც ახდენს ქვეყნების რანგირებას ერთიან სისტემაში ტარდება 1960 წლიდან 4 წელიწადში ერთხელ 10 და 14 წლის მოსწალეებზე. მას კურირებას უწევს განათლების სფეროში მიღწევის შეფასების საერთაშორისო ასოციაცა (International Association for the Evaluation of Educational Achievement (IEA)) ტესტირება ტადრება მათემატიასა და მეცნიერებებში

[3] PISA (Programme for International Student Assessment)განათლების სფეროში ქვეყნების მიღწევების შეფასების და რანგირების სისტემა. ტარდება 3 წელიწადში ერთხელ. PISA ტარდება ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის მიერ (Organisation for Economic Cooperation and Development (OECD)). ხდება ტესტირება კითხვაში მათემატიკაში, მეცნიერებებსა და უნარებში.

- სოფლად მაცხოვრებელი მოსწავლეები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ქალაქში მცხოვრებ მოსწავლეებს.
- „კერძო სკოლის მოსწავლეების უპირატესობა თვალსაჩინოა საჯარო სკოლის მოსწავლეებთან შედარებით როგორც საერთაშორისო, ასევე სახელმწიფო შეფასებებში. ეს სხვაობა ძირითადად შენარჩუნებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური და კლასის/სკოლის დონის ცვლადების გათვალისწინების შემთხვევაშიც. კერძო სკოლის მოსწავლეებს, მაგალითად, მათემატიკაში, საერთაშორისო საშუალო ნიშნულზე მაღალი შედეგი აქვთ“ (TIMSS).ბს.
- TIMSS-ის მონაცემების მიხედვით 2007 წლიდან 2015 წლამდე „არსებითად გაიზარდა სხვაობა ქალაქისა და სოფლის მოსწავლეთა მიღწევებს შორის, ასევე კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეების მიღწევებს შორის. რის საფძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ 2007 წლიდან 2015 წლამდე უთანასწორობა სასკოლო განათლებაში გაღრმავდა. ქვეყნისათვის მიღწევების გაუმჯობესების დინამიკაც ძირითადად ქალაქის და კერძო სკოლების გაუმჯობესებითაა გამოწვეული” (TIMSS)

გრაფიკ #7-ში მოცემულია კერძო და საჯარო სკოლების მიღწევის შედარებითი მაჩვენებლები. როგორც მონაცემები გვაჩვენებს, კერძო სკოლების მიღწევები მნიშვნელოვნად აღემატება საჯარო სკოლებისას, ზოგ შემთხვევაში **დაახლოებით ორჯერ**.

გრაფიკი 7 (წელიწადში) 500-დან 1000 ლარამდე სწავლის საფასურის მქონე კერძო სკოლების გადანაწილება რეგიონების მიხედვით



TIMSS-ის მონაცემებს მიხედვით 47 მონაწილექვეყნიდან საქართველო 39-ე ადგილს იკავებს, აქვს საშუალოზე დაბალი მონაცემები და მხოლოდ 8 ქვეყანას უსწრებს

გრაფიკი 8 TIMSS-ის მონაცემებს მიხედვით საქართველოს მიღწევების შედარება ბუნებისმეტყველებაში 47 ქვეყნის მიღწევებთან

ქვეყანა	საშუალო სკალური ქულა		
სინგაპური	590	(3.7)	L
კორეის რესპუბლიკა	589	(2.0)	L
იაპონია	569	(1.8)	L
რუსეთის ფედერაცია	567	(3.2)	L
ჰონკონგი	557	(2.9)	L
ტაივანი	555	(1.8)	L
ფინეთი	554	(2.3)	L
ყაზახეთი	550	(4.4)	L
პოლონეთი	547	(2.4)	L
აშშ	546	(2.2)	L
სლოვენია	543	(2.4)	L
უნგრეთი	542	(3.3)	L
შვედეთი	540	(3.6)	L
ნორვეგია	538	(2.6)	L
ინგლისი	536	(2.4)	L
ბულგარეთი	536	(5.9)	L
ჩეხეთის რესპუბლიკა	534	(2.4)	L
ხორვატია	533	(2.1)	L
ირლანდია	529	(2.4)	L
გერმანია	528	(2.4)	L
ლიტვა	528	(2.5)	L
დანია	527	(2.1)	L
კანადა	525	(2.6)	L
სერბეთი	525	(3.7)	L
ავსტრალია	524	(2.9)	L
სლოვაკეთის რესპ.	520	(2.6)	L
ჩრდილოეთ ირლანდია	520	(2.2)	L
ესპანეთი	518	(2.6)	L
ჰოლანდია	517	(2.7)	L
იტალია	516	(2.6)	L
ბელგია (ფლამანდ.)	512	(2.3)	L
პორტუგალია	508	(2.2)	L
ახალი ზელანდია	506	(2.7)	L
საშუალო მაჩვენებელი	500		
საფრანგეთი	487	(2.7)	~
თურქეთი	483	(3.3)	~
კვიპროსი	481	(2.6)	~
ჩილე	478	(2.7)	~
ბაჰრეინი	459	(2.6)	~
საქართველო	451	(3.7)	~
არაბეთის გაერთ. ემირატები	451	(2.8)	~
ყატარი	436	(4.1)	~
ომანი	431	(3.1)	~
ირანის ისლამ. რესპ.	421	(4.0)	~
ინდონეზია	397	(4.8)	~
საუდის არაბეთი	390	(4.9)	~
მაროკო	352	(4.7)	~
ქუვეითი	337	(6.2)	~

ბუნებისმეტყველებაში მიღწევების განაწილება



ასეთივე მძიმე შედეგია ნაჩვენები მეორე საერთაშორისო კვლევის PISA-ს მონაცემებში, სადაც მიღწევების მიხედვით 70 მონაწილე ქვეყნიდან მე-60 ადგილს იკავებს და მნიშვნელოვნა ჩამოუვარდება საშუალო შეფასებებს.

როგორც ცხრილშია ნაჩვენები, კერძო სკოლა არ იძლევა რეალურად მაღალი ხარისხის განათლებას და არ წამოადგენს მეტნაკლებ გარანტიას მშობლებისათვის განათლებისა და წარმატებისათვის.

გრაფიკი 9 70 ქვეყნის მოსწავლეთა მიღწევების რეიტინგული სია საერთაშორისო კვლევის PISA-ს მონაცემებით



სულ 70 მონაწილე ქვეყანა. 27 ქვეყანა საშუალოზე მაღალი შედეგით 43 საშუალოზე დაბალი შედეგით საქართველო იკავებს მე-60 ადგილს და უსწრებს 10 ქვეყანას

ქვემოთ მოცემული ცხრილი კარგად აჩვენებს ხარისხის თვალსაზრისით განსხვავებას სხვადასხვა ტიპის სკოლებს შორის (მათ შორის კერძო სკოლებისთვისაც), ცხრილიდან ჩანს, რომ კერძო სკოლა მიღწევების თვალსასზრისით მნიშველოვნად აღემატება სხვა სკოლებს.

გრაფიკი 10 TIMSS-ის მონაცემების მიხედვით კერძო და საჯარო, სოფელსა და ქალაქს შორის, ასევე სხვადასხვაენოვან სკოლებს შორის განსხვავება სკოლების მიღწევის მაჩვენებლების მიხედვით





როგორც ვხედავთ, ყველა საერთაშორისო კვლევა (TIMSS, PIRLS, TEDS და PISA) ადასტურებს, რომ კერძო სკოლების მოსწავლეებს უკეთესი აკადემიური მიღწევები აქვთ. სადისერტაციო ნაშრომისათვის ჩატარებული საექსპერტო და სამაგიდე კვლევების ფარგლებში, კერო და საჯარო სკოლებს, ქალაქსა და სოფლის სკოლებს შორის მიღწევების მიხედვით განსხვავებული მდგომარეობა სკოლებში მრავალი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული:

- კერძო სკოლების მნიშვნელოვან ნაწილში არსებობს **მოსწავლის მიღების პოლიტიკა და კრიტერიუმები, აქვთ ტესტირებისა და გასაუბრების სისტემები.** ასევე, კერძო სკოლას აქვს უფლება, აიძულოს მოსწავლე დატოვოს სკოლა და გადავიდეს სხვა სკოლაში, რისი უფლებაც საჯარო სკოლებს არ აქვთ. ამ მიღება

გაშვების კრიტერიუმის ფაქტორის გათალისწინებით, კერძო და საჯარო სკოლების აკადემიური შედეგების შედარება გარკვეული თვალსაზრისით არასამართლიანია, რამდენადაც რესპონდენტების აზრით, თანაბარი სწავლების ხარისხის შემთხვევაშიც კი, ის რომ კერძო სკოლები ახდენენ მოსწავლეთა შერჩევას, უკვე ქმნის მათი წარმატების პირობას.

- **ოჯახების სოციალური სტატუსი და მათი მოტივაცია სწავლისადმი. ოჯახების რესურსები შემოსავლები და მონდომება/მოტივაცია** მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სკოლის აკადემიურ შედეგებს. „ცხადია, რომ კერძო სკოლებში ბავშვები დაწინაურებული სოციალური კლასიდან მიდიან. მათ გარკვეული ფორა აქვთ - შინ უფრო მეტი წიგნი აქვთ, მშობლები მეტად ეხმარებიან.“ (ექსპერტი განათლების დარგში ნათია ანდღულაძე https://www.mshoblebi.ge)
  „სწავლის ღირებულება“ მოსწავლეებსა და მშობლებისათვის „მათი დამოკიდებულება სწავლისადმი, ის რესურსები, რაც სახლშია და რასაც ისინი არდადეგების დროს აკეთებენ, მნიშვნელოვან განსხვავებას გვაჩვენებს მათ საბოლოო შედეგებში. ეს ასევე კავშირშია მშობლების განათლებასთან, აქვთ თუ არა მათ უმაღლესი განათლება? არიან თუ არა მშობლები განათლებაზე ორიენტირებული და განაწყობენ თუ არა თავიანთ შვილებს სწავლისათვის“ (ექსპერტი განათლების დარგში სიმონ ჯანაშია)

ექსპერტების ეს მოსაზრებები გაამყარა სპეციალუად სადისერტაციო ნაშომისათვის ჩატარებულმა რაოდენობრივმა კვლევამ, რომელმაც აჩვენა კერძო და საჯარო სკოლების მოსწავლეთა ოჯახების შემოსავლების განსხვავებული კატეგორიზაცია. სწავლის შედეგები დამოკიდებულია არა მხოლოდ სასკოლო გარემოზე, ასევე მნიშვნელოვანია ოჯახის მხრიდან შექმნილი პირობები და ხელშეწყობა. კვლევის შედეგებიდანვე ჩანს, რომ კერძო სკოლის მოსწალეთა ოჯახები სკოლის გარეთ სწავლებისთვისაც (სხვადასხვა წრეები ან კერძო მასწავლებლებთან გაკვეთილები) საშუალოდ დაახლოებით 2-ჯერ მეტ თანხას ხარჯავენ რასაც ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს საბოლოო შედეგისთვის.

- **დისციპლინა და უსაფრთხოება** რომელიც კერძო სკოლებთან ასოცირდება, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსწავლეების აკადემიურ შედეგებს. ამ თვალსაზრისით, კერძო და საჯარო სკოლები ძალიან განსხვავდებიან ერმანეთისაგან. გამოკითხული ექსპერტების აზრით, კერძო სკოლები აღწევენ თავის წარმატებებს უმეტესწილად დისციპლინისა და მაღალი ხარისხის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზით.

- **პედაგოგების დონე და მოტივაცია.** კერძო სკოლებს, განსაკუთრებით თბილისში აქვთ მაღალი გადასახადი და შესაბამისად, შესაძლებლობა, მოიზიდონ უფრო კვალიფიციური კადრები. კერძო სკოლების მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 44% სწავლობს სწორედ ისეთ სკოლებში, სადაც გადასახადი 3000 ლარი და მეტია. ასეთი სკოლები მაღალ ხელფასს სთავაზობენ მასწავლებლებს და ადვილად შეუძლიათ მათი მოზიდვა/გადმობირება საჯარო სკოლებიდან. გარდა ამისა, მაღალი შემოსავალი საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს პედაგოგთა წახალისებისა და მოტივაციის გაზრდის სისტემა.

  "საჯარო სკოლების მასწავლებლებს დედაქალაქში აქვთ თბილისში არსებულ საშუალო ხელფასზე დაბალი ხელფასი, შესაბამისად, საჯარო სკოლებში კვალიფიციური მასწავლებლის დამაგრების ერთადერთი მექანიზმია რეპეტიტორობა, რაც ხელს უწყობს ჩრდილოვან განათლებას, ხელს უშლის განათლების ხარისხის გაუმჯობესებას საჯარო სკოლებში". (სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევა_ ზოგადი განათლების ვაუჩერული დაფინანსების ეფექტურობის კვლევა თანასწორობის კონტექსტში 2014);

- **სკოლის ინფრასტრუქტირა.** შემოსავალის არსებობა, შესყიდვებისა და მენეჯმენტის მოქნილი სისტემა აძლევს საშუალებას კერძო სკოლებს განავითაროს

როგორც ფიზიკური, ისე ტექნიკურ-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, რაც ასევე ხელს უწყობს სწავლების დონის ამაღლებას.

ასევე აღსანიშნავია, რომ კერძო სექტორში ბევრად უფრო ნაკლები მოსწავლეა რაც კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირების და რეგულირების საშუალებას იძლევა. ეს აადვილებს, როგორც პედაგოგების მიშაობას, ისე დისციპლინისა და ინფრასრქტურის დაცვას. ქვემოთ მოცემულია საქსტატის მონაცემები _ მოსწავლეთა რაოდენობების დინამიკა წლების და სკოლის ტიპების მიხედვით (ათასებში)

გრაფიკი 11 კერძო და საჯარო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა წლების მიხედვით



სკოლის არჩევანის არსებული შეზღუდვები საქართველოში

მშობლის არჩევანზე მსჯელობისას, საინტერესოა განვიხილოთ რამდენად რეალურად თავისუფალია მშობლის არჩევანი და არსებობს თუ არა მშობლის არჩევანის შემზღუდველი ფაქტორები.

როგორც სამაგიდე კვლევამ და ექსპერტთა გამოკითხვამ აჩვენა, საქართველოში მშობელთათვის სკოლის არჩევანის შესაძლებლობა შეზღუდულია შემდეგ გარემოებათა გამო:

- სკოლების გეოგრაფიული განლაგება;

- კერძო სკოლების განვითარების რეგიონული დინამიკა და მაღალი გადასახადები დედაქალაქში;

- სწავლების ენის მიხედვით სკოლის არჩევანის შეზღუდვა ეთნიკური უმცირესობების კომპაქტური განსახლების რეგიონებში;

- მოსწავლეთა რეგისტრაციის პროცედურები, რაც დამოკიდებულია მშობელთა განათლებისა და ინფორმირებულობის ხარისხზე.

ზემოთ მოყვანილი დიაგრამები გვიჩვენებს, რომ კერძო სკოლების დაფინანსების სისტემა და განვითარების სპეციფიკა რეგიონულ ჭრილში არ იძლევა მათი არჩევის შესაძლებლობას, არც ტერიტორიული და არც ფინანსური თვალსაზრისით. კერძო სკოლები ძირითადად განვითარებულია დიდ ქალაქებში და ნაკლებად პატარა ქალაქებსა და რაიონული ტიპის დასახლებებში. შესაბამისად, რაიონული ტიპის დასახლებებში კერძო სკოლების არჩევანის შესაძლებლობა მინიმიზებულია, თუ არ ჩავთვლით საპატრიარქოს უფასო ან შემოწირულობაზე მყოფ სკოლებს.

ფინანსური თვალსაზრისით კერძო სკოლების არჩევანი შეზღუდულია მაღალი გადასახადების გამო, განსაკუთრებით თბილისში. თბილისში მშობლებს მაღალი გადასახადების გამო არ ეძლევათ საშუალება არჩევანი გააკეთონ კერძო სკოლებზე, მიუხედავად იმისა, რომ მათ შეუძლიათ გამოიყენონ სახელმწიფო ვაუჩერი ამ ტიპის სკოლაშიც.

საქართველოში საჯარო სკოლების გეოგრაფიული განლაგება და მცირეკონტინგენტიანი სკოლების არსებობა ნაკლებად იძლევა არჩევანის საშუალებას, რადგან ტერიტორიულად განლაგების გამო რეგიონებში მოსწავლეებს ხშირად უწევთ რამდენიმე კილომეტრის გავლა სკოლამდე. ზოგიერთ რაიონში სკოლების არჩევანი რეალიზებული იქნებოდა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პირობებში თუმცა დღევანდელი რეალობაში, ტრანსპორტირების გაუმართავი ინფრასტრუქტურის პირობებში, მცირეკონტინგენტიან და სოფლის სკოლების არჩევანი შეზღუდულია.

სკოლების არჩევანი მეტნაკლებად შეზღუდულია და დამოკიდებულია მშობელთა განათლებასა და ინფორმირებულობაზე, განსაკუთრებით პირველკლასელთა რეგისტრაციის წესის გამო. დღეს მოქმედი წესის მიხედვით, მშობლები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ვადაში ახდენენ პირველკლასელთა რეგისტრაციას მათთვის სასურველ სკოლაში. სკოლები გამოყოფენ შესაბამის ადგილებს პირველკლასელთათვის. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრინციპი - ვინც სწრაფად მოახდენს დარეგისტრირებას, ის მოხვდება სასურველ სკოლაში. თუკი ადგილები შეივსება, მშობელი ვეღარ ახერხებს შვილის რეგისტრაციას სასურველ სკოლაში და იძულებულია აირჩიოს ის სკოლა, სადაც ადგილებია დარჩენილი (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2014). შესაბამისად, შვილის დარეგისტრირება დამოკიდებულია მშობლების ინფორმირებულობასა და უნარზე, სწრაფად დაარეგისტრიროს შვილი. აღნიშნული პროცედურა ზღუდავს მშობელს, შვილი დაარეგისტრიროს სასურველ სკოლაში და სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ვაუჩერი გამოიყენოს საკუთარი არჩევანის და სურვილის შესაბამისად.

2.3 კვლევითი კონტექსტი და მეთოდოლოგია

2.3.1 კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანია აღწეროს სკოლის არჩევის პროცესი, კვლევა ფოკუსირებულია მშობლის მიერ ორი სექტორის კერძო და საჯარო სკოლის არჩევის ფაქტორებისა და მათი ურთიერთკავშირების დანახვაზე. პირველ რიგში, კვლევის მიზანია აღწეროს მშობლის აღქმა, რას ეფუძნება მშობლისათვის სკოლასთან დაკავშირებული წარმატების აღქმა, რა შინაარსობრივი შემადგენელი არის სიტყვებში _ „სკოლა მომავალი წარმატების საფუძველი“. რა წილი უკავია სოციალურ შემადგენელს ანუ სოციალურ ფაქტორს? ასევე სკოლის პრესტიჟის მნიშვნელობა სკოლის არჩევისას, როგორაა დაკავშირებული მშობლისათვის სკოლის პრესტიჟი შვილის მომავალ წარმატებასთან.

მთავარ კვლევით კითხვებს წარმოადგენდა: 1. რამდენად არიან დაინტერესებულები მშობლები აქტიურად ჩაერთონ ბავშვის სკოლის არჩევის პროცესში და დაუთმონ მას დრო? 2. რა ფაქტორებს ითვალისწინებენ მშობლები სკოლის არჩევისას და საიდან იღებენ ინფორმაციას? 3. ახდენს თუ არა ოჯახის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა და ბავშვის სქესი ამ პროცესზე გავლენას.

კვლევით ამოცანებიდან გამომდინარე, შემუშავებული იქნა სტრუქტურირებული კითხვარი. კითხვარის შედგენისას გათვალისწინებული იქნა საერთაშორისო გამოცდილება, სფეროს ექსპერტების რჩევები[4] და შენიშვნები და საქართველოში ჩატარებული კვლევების შედეგები.[5] (კითხვარის სრული ვერსია იხ. დამატება #1)

---

[4] სფეროს ექსპერტებთან წინასწარ ჩატარდა 10 ჩაღრმავებული ინტერვიუ, სადაც განხილული იქნა საქართველოში არსებული მდგომარეობა, პრობლემები და საკვლევი საკითხები. შემდგომში მათთან განხილული იქნა კითხვარის დრაფტი.

[5] შევისწავლეთ შემდეგი კვლევები: კავკასიური ბარომეტრი-2010-16 წლები (www.caucasusbarometer.org), “ზოგადი განათლების ვაუჩერული დაფინანსების ეფექტურობის კვლევა თანასწორობის კონტექსტში“ 2014 წელი; ჩატარდა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება“ (G-PAC) ფარგლებში. (USAID) დაფინანსებით; ზოგადი განათლებაზე გაწეული დანახარჯები და სწავლის შედეგები 2013-16; კერძო სკოლების კვლევა საქართველოში 2016 **დაამატე რამე თუ გაგახსენდება**.

დამუშავებული ლიტერატურიდან გამომდინარე, შევიმუშავეთ რამოდენიმე დაშვება/ჰიპოთეზა:

1. მშობლები ინფორმაციას იღებენ ძირითადად თავისი სოციალური გარემოდან, შედეგად კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლების ინფორმირებულობის ხარისხი სკოლის სხვადასხვა ასპექტის შესახებ განუზომლად მაღალია, საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლებთან შედარებით;
2. კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლები მეტად მოტივირებულები არიან ინფორმაციის შეგროვებასთან დაკავშირებით და შესაბამისად მეტად იღებენ მონაწილეობას სკოლის არჩევის პროცესში;
3. რაც მეტია მშობლების განათლების ხარისხი და მეტია ოჯახის შემოსავალი, მით მეტია ალბათობა იმისა რომ მშობელი შვილს კერძო სკოლაში მიიყვანს, რადგან კერძო სკოლა უკეთეს განათლებასთან არის ასოცირებული;
4. არჩევანის სტრუქტურა საკმაოდ რთულია და ხშირად სოციალური ფაქტორი უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე სკოლის აკადემიური შედეგები, რადგან ვერც კერძო და ვერც საჯარო სკოლა ვერ აკმაყოფილებს ბოლომდე მშობლის მოთხოვნებს
5. კერძო საჯაროს შორის არჩევანის გაკეთებისას, შვილის სქესს აქვს მნიშვნელობა, განსაკუთრებით რამოდენიმე შვილის შემთხვევაში

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა მოიცავდა რამოდენიმე ეტაპს

ეტაპი #1 საკაბინეტო კვლევა

მიზნად ისახავდა:

- საქართველოს განათლების სისტემის და კერძოდ სასკოლო განათლების განვითარების ეტაპების მიზნების ამოცანების და შედეგების შესაწავლას
- არსებული სტატისტიკური მასალის მოძიებასა და ანალიზს

- არსებული კვლევის შედეგების მოძიებას
- ეტაპობრივად არსებული საკანონმდებლო ბაზის და საკანონმდებლო ნორმატივების შესწავლას
- არსებული პუბლიკაციების მოძიებასა და შესწავლას

ეტაპი #2 საექსპერტო კვლევა

მიზნად ისახავდა სფეროში ჩართული ექპერტებთან ინტერვიუების ჩატარებასა და ანალიზს. ამ მიზით შეირჩა არასტრუქტურირებული სიღრმისეული ინტევიუს მეთოდი
სულ გამოიკითხა 10 ექპერტი
მიზნად ისახავდა:

- ექსპერტის მიერ არსებული სიტუაციის შეფასებას
- განათლების სფეროში განვლილი 20 წლის მოვლენების შეფასებასა და ინტერპრეტაციას
- საჯარო და კერძო სასკოლო განათლების სივრცეში მიდინარე ცვლილებების მიმართ საექპერტო ხედვის და არგუმენტაციის ჩამოყალიბებას
- არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, მომავალში მოვლენათა განვითარების პროგნოზირებას

ეტაპი #3 კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლების რაოდეობრივი კვლევა

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის პირისპირ ინტერვიუს მეთოდით სრულად სტრუქტრირებული ინსტრუმენტის - კითხვარის ფორმატით. ინტერვუს საშუალო ხანგრძივობა _ 1 საათი.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის ძირითადი შეზღუდვაა, რომ რესურსებისა და დროის ლიმიტის გამო, კვლევის არეალი მოიცავს მხოლოდ თბილისს, თბილისის შედეგები არ იძლება საშუალებას სხვა დიდი ქალაქების და სოფების შესახებ დასკვნების გაკეთების. თუმცა, ის ფაქტორი, რომ თბილისში მოქცეულია კერძო სკოლების 50%-ზე მეტი გარკვეულწილად აბათილებს ამ პრობლემას.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები ძალზე საინტერესო და ხშირ შემთხვევაში დამაფიქრებელია, სრულფასოვნად შედეგების აღქმისათვის რაოდენობრივი კვლევის შემდგომ თვისებრივი მეთოდების გამოყენება კიდევ უფრო ღრმა და საფუძვლიანი ანალიზის საშუალებას მოგვცემდა და სასარგებლო იქნებოდა ზოგიერთი შედეგის ასახსნელად.[6] იმედი გვაქვს, რომ ეს შეზღუდვა მომავალი კვლევებით შეივსება.

2.3.2 **რაოდენობითი კვლევის შერჩევის დიზაინი**

რესპონდენტების შერჩევის დიზაინი

გამოკვლევისათვის გამოყენებულ იქნება სამსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა წინასწარი სტრატიფიკაციით.

პირველ ეტაპზე, თბილისი დაიყო ორ სტრატად: 1. კერძო სკოლები - 121 სკოლა და 2. საჯარო სკოლები - 174 სკოლა. თითოეულ სტრატაში შეირჩევა 25 სკოლა. სკოლების შერჩევა განხორციელდება ზომის პროპორციული ალბათობის (PPS) მეთოდის გამოყენებით. წინასწარ სკოლების დალაგდება რაიონების (10 რაიონი) მიხედვით, რაც უზრუნველყოფს შერჩეული სკოლების მაქსიმალურ განფენილობას და ყოველ რაიონში შერჩეული სკოლების რაოდენობა

[6] მაგალითად: მშობლების მოტივაცია, როდესაც ისინი განსხვავებულად უდგებია ვაჟის და ქალიშვილის სკოლის არჩევანს; კერძო სკოლის არჩევის მოტივაცია, როდესაც დამატებით თანხებს იხდიან კერძო მასწავლებლისთვის და დადამატებითი გაკვეთილებისთვის და ა.შ.

დაახლოებით პროპორციულია ამ რაიონში მოსწავლეების რაოდენობის. i-ური სტრატის j-ური სკოლის შერჩევაში მოხვედრის ალბათობა გამოითხლება ფორმულით:

$$P_{ij}^{(1)} = \frac{25m_{ij}}{M_i},$$

სადაც M_i არის მოსწავლეების რაოდენობა i-ურ სტრატაში, ხოლო m_{ij} მოსწავლეების რაოდენობა i-ური სტრატის j-ურ სკოლაში.

მეორე ეტაპზე შეირჩა კლასი. ყოველ შერჩეულ სკოლაში შეირჩა 12 კლასი - თითო კლასი ყოველ ასაკობრივ დონეზე. თუ სკოლაში არის რამდენიმე პარალელი, მაშინ მათ შორის ერთ-ერთი შეირჩა მარტივი შემთხვევითი შერჩევით.

მესამე ეტაპზე შერჩეულ კლასში მოსწავლის შერჩევა განხორციელდა სკოლის ჟურნალიდან მარტივი შემთხვევითი შერჩევის-ლატარიის მეთოდის გამოყენებით. თუ შერჩეულ მოსწავლე არ იყო სკოლაში ან უარს გამოაცხადა ინტერვიუზე, შეირჩა მისი მომდევნო მოსწავლე სიაში. ვინაიდან სკოლის სხვადასხვა კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა დაახლოებით ერთი და იგივეა, ამიტომ i-ური სტრატის j-ურ სკოლაში ყოველი მოსწავლის შერჩევაში მოხვედრის ალბათობა იყო დაახლოებით ერთი და იგივე და გამოითვალა ფორმულით:

$$P_{ij}^{(2)} = \frac{12}{m_{ij}}.$$

სადაც m_{ij} არის მოსწავლეების რაოდენობა i-ური სტრატის j-ურ სკოლაში.

საბოლოოდ, i-ური სტრატის ყოველ მოსწავლის შერჩევაში მოხვედრის ალბათობა იყო

$$P_i = P_{ij}^{(1)} P_{ij}^{(2)} = \frac{25m_{ij}}{M_i} \frac{12}{m_{ij}} = \frac{300}{M_i}.$$

მონაცემთა ანალიზის პროესში i-ური სტრატის ყოველ მოსწავლეს მიეწერა წონა W_i, რომელიც ტოლია მისი შერჩევაში მოხვედრის ალბათობის შებრუნებული სიდიდის.

$$W_i = \frac{1}{P_i} = \frac{M_i}{300}, \quad i=1,2,$$

სადაც M_i არის მოსწავლეების რაოდენობა i-ურ სტრატაში.
სულ გამოიკითხა 600 რესპონდენტი. ცდომილება შეადგენდა 5%.

2.4 კვლევის შედეგები

კვლევის შედეგები განხილულია შემდეგი მთავარი თემების გარშემო:

(1) **მშობლის მიერ სკოლის შერჩევის გადაწყვეტილებაზე ფიქრის დაწყების პერიოდი**

იმისათვის, რომ გაგვეგო რამდენად მნიშვნელოვანი საკითხია შვილებისთვის სკოლის სწორად შერჩევა, როგორც სახელმწიფო სკოლის, ისე კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლებს დაესვათ კითხვა - შვილის რა ასაკისათვის დაიწყეს ფიქრი სკოლის შეჩევასთან დაკავშირებით. შედეგები ნათლად გაჩვენებს, რომ კერძო და სახელმწიფო სკოლის მოსწავლეთა მშობლებს შორის არის განსხვავება. 1 წლამდე ასაკისათვის კერძო სკოლის მშობლების 75% და სახელმწიფო სკოლის მოსწავლეთა მშობლების 25% ფიქრობდნენ, რომელი სკოლა აერჩიათ საკუთარი შვილისათვის. საშუალო ასაკი როდესაც პირველად დაიწყეს სკოლის არჩევაზე ფიქრი, კერძო სკოლის მშობლებისათვის არის შვილის 1დან 2 წლამდე ასაკი, ხოლო სახელმწიფო სკოლისათვის ეს ასაკი 3-დან 4 წლამდეა.
ზემოთაღწერილი მონაცემი საუბრობს მშობლის მოტივაციაზე და დაინტერესებაზე არჩევისათვის საჭირო ინფორმაციის მიმართ. რა თქმა უნდა, როდესაც არსებობს ინფორმაციით დაინტერესება გამოჩნდება ამ ინფორმაციის მიღების წყაროებიც.

ქვემოთ განხილული შედეგები ამ ლოგიკის გაგრძელებაა და ჩანს რამდენად მეტად არიან კერძო სკოლის მშობლები ინფორმიებულები სახელმწიფო სკოლის მოსწავლეების მშობლებთან შედარებით.

(2) **მშობლების ინფორმირებულობის ხარისხი და მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრავს მათ არჩევანს**

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც აჩვენებს მშობელთა დაინტერესებას მათი ინფორმირებულობის ხარისხია. როგორც მიღებულმა მონაცემებმა აჩვენა, იმ მშობლების ინფორმირებულობის ხარისხი სკოლის სხვადასხვა ასპექტის შესახებ, რომლებლაც გადაწყვიტეს შვილის კერძო სკოლაში მიყვანა, განუზომლად მაღალია საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლებთან შედარებით.

ცხრილი 1 მახასიათებლები რის მიხედვითაც მიიღეს მშობლებმა გადაწყვეტილება სკოლის არჩევანთან დაკავშირებით

	კერძო			საჯარო		
	დიახ	ნაწილობრივ	არა	დიახ	ნაწილობრივ	არა
სკოლის გადასახადი	93.6%	5.6%	.8%	90.0%	6.2%	3.7%
სკოლის იმიჯი/რეპუტაცია	92.4%	7.6%		83.8%	15.0%	1.2%
სკოლის აკადემიური წარმატებები	81.2%	17.6%	1.2%	61.7%	32.4%	5.9%
სკოლის ინფრასტრუქტურა	78.4%	20.8%	0.8%	65.1%	31.5%	3.4%
პერსონალის/მასწავლებლების კვალიფიკაცია	80.0%	18.4%	1.6%	59.8%	34.6%	5.6%
სასწავლო დღის ხანგრძლივობა	86.8%	12.0%	1.2%	76.3%	20.2%	3.4%
კლასში ბავშვების რაოდენობა	79.2%	18.4%	2.4%	58.9%	35.5%	5.6%

მოსწავლეებისადმი დამოკიდებულება	79.2%	18.4%	2.4%	59.5%	32.1%	8.4%
ტრანსპორტირება	81.2%	12.0%	6.8%	79.4%	8.7%	11.8%
კვება	76.8%	17.6%	5.6%	67.6%	19.6%	12.8%
დამატებითი სწავლებები (მუსიკა, ცეკვა, სიმღერა)	75.6%	19.2%	5.2%	57.3%	29.9%	12.8%
დავალებების სკოლაში მომზადება, სწავლების პროცესში მშობლის ჩართულობის საჭიროება	81.6%	14.8%	3.6%	56.7%	31.8%	11.5%
რელიგიური საგნების განსაკუთრებული სწავლება	56.8%	22.4%	20.8%	39.9%	30.2%	29.9%
ფარული ხარჯების არსებობა	48.8%	24.4%	26.8%	41.1%	34.9%	24.0%
სპორტული აქტივიბები	70.4%	22.4%	7.2%	43.0%	41.7%	15.3%
ჯანმრთელობის ხელშეწყობა						
კონკრეტული სოციალური წრის ადამიანებთან ურთიერთობა	62.8%	23.6%	13.6%	41.7%	33.0%	25.2%
უსაფრთხო გარემო	95.2%	4.4%	.4%	74.5%	22.7%	2.8%

მშობლების ორი ჯგუფის (კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლები) საშუალო მაჩვენებლები რომ შევადაროთ, არჩევის მომენტისათვის, სკოლის შესახებ ინფორმირების ხარისხს შორის განსხვავება მნიშვნელოვანია: კერძო - 78.5% საჯარო - 63.9%.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მხოლოდ „სრული“ ინფორმაციის სვეტი - ანუ კერძო და სახელმწიფო სკოლის მოსწავლეების მშობლების რამდენ პროცენტს ჰქოდა მოცემულ ფაქტორზე სრული ინფორმაცია. ცხრილის მესამე სვეტში მოცემულია კერძო სკოლის მოსწავლეების მშობლების და სახელმწიფოს სკოლის მოსწავლეების მშობლების მაჩვენებლების სხვაობა. კერძო და სახელწმიფო სკოლის მოსწავლეთა მშობლების მიერ

ინფორმაციის ფლობის თვალსაზრისით დიდი განსხვავებაა (19% და მეტი) შემდეგ მახასიათებლებში:

- სკოლის აკადემიური წარმატებები
- სკოლის პერსონალის/მასწავლებლების კვალიფიკაცია
- კლასში ბავშვების რაოდენობა
- მოსწავლეებისადმი დამოკიდებულება
- დავალებების სკოლაში მომზადება, სწავლების პროცესში მშობლის ჩართულობის საჭიროება
- სპორტული აქტივიბები ჯანმრთელობის ხელშეწყობა
- უსაფრთხო გარემო

ცხრილი 2 ფაქტორები, რომლის შესახებაც მშობლები ფლობდნენ ინფორმაციას სკოლის არჩევამდე

ფლობდით თუ არა სრულად ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე?

	კერძო (დიახ)	საჯარო (დაიხ)	სხვაობა
სკოლის გადასახადი	93.6%	90.0%	3.6%
სკოლის იმიჯი/რეპუტაცია	92.4%	83.8%	8.6%
სკოლის აკადემიური წარმატებები	81.2%	61.7%	19.5%
სკოლის ინფრასტრუქტურა	78.4%	65.1%	13.3%
სკოლის პერსონალის/მასწავლებლების კვალიფიკაცია	80.0%	59.8%	20.1%
სასწავლო დღის ხანგრძლივობა	86.8%	76.3%	10.4%
კლასში ბავშვების რაოდენობა	79.2%	58.9%	20.3%
მოსწავლეებისადმი დამოკიდებულება	79.2%	59.5%	19.6%
ტრანსპორტირება	81.2%	79.4%	1.76%

კვება	76.8%	67.6%	9.2%
დამატებითი სწავლებები (მუსიკა, ცეკვა, სიმღერა)	75.6%	57.3%	18.2%
დავალებების სკოლაში მომზადება,სწავლების პროცესში მშობლის ჩართულობის საჭიროება	81.6%	56.7%	24.9%
რელიგიური საგნების განსაკუთრებული სწავლება	56.8%	39.9%	16.9%
ფარული ხარჯების არსებობა	48.8%	41.1%	7.6%
სპორტული აქტივიბები ჯანმრთელობის ხელშეწყობა	70.4%	43.0%	27.4%
კონკრეტული სოციალური წრის ადამიანებთან ურთიერთობა	62.8%	41.7%	21.0%
უსაფრთხო გარემო	95.2%	74.5%	20.7%

ასეთი განსხვავება კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლების ინფორმირებულობაში სკოლის სხვადასხვა ფაქტორების შესახებ თავისთავად რამოდენიმე ფაქტორის ერთობლივი შედეგია:

(3) ინფორმაციის მისწავდომობა/ინტერესი

კვლევამ მნიშვნელოვანი განსხვავება გვიჩვენა კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლებს შორის ინფორმაციის მიმართ დაინტერესების/მისაწვდომობის თვალსაზრისით. კერძო სკოლების მოსწავლეების მშობლების დაინტერესება უფრო მაღალია ინფორმაციის ნებისმიერ წყაროზე, იქნება ეს ტელევიზია (ყოველდღე კერძო - 28,3, საჯარო - 24.0), რადიო (კერძო -ყოველდღე 3.8, საჯარო-3.1), განსაკუთრებით კი ინტერნეტის შემთხვევაში (ყოველდღე კერძო -43.5%, საჯარო-34.6) განათლების სფეროში სიახლეების შესახებ.

კითხვაზე: რამდენად ხშირად კითხულობთ ინტერნეტით, განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეების შესახებ? მივიღეთ შემდეგი პროცენტული განაწილება

ცხრილი 3 რა სიხშირით იღებენ მშობლები ინფორმაციას განათლების სფეროში სიახლეების შესახებ

	კერძო სკოლის მოსწავლეების მშობლები	საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლები
ყოველდღე	43.5%	34.6%
კვირაში რამდენჯერმე	14.9%	18.1%
კვირაში ერთხელ	8.1%	8.4%
თვეში რამოდენიმეჯერ	14.1%	12.5%
თვეში ერთხელ ან ორჯერ	8.9%	12.1%
წელიწადში რამოდენიმეჯერ	6.0%	4.0%
არასდროს	4.4%	10.3%

(4) სკოლების მიერ გაწეული მომსახურებისადმი მოთხოვნის განსხვავებული ხარისხი

კერძო სკოლის მომხმარებლები უფრო მეტად მომთხოვნები არიან საკუთარი სკოლის მიმართ (რაც არაერთხელ და სხვადასხვა ასპექტში დასტურდება კვლევის მონაცემებით), რაც ბუნებრივიცაა, რამდენადაც კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლები იხდიან თანხას, შესაბამისად მათი დამოკიდებულება უფრო მომთხოვნია სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის მიმართ სხვადასხვა ასპექტში, მათ შორის ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარეობს კერძო სკოლის მოსწავლეების მშობლები განუზომლად ინფორმირებულები არიან სახელმწიფო სკოლის მშობლებთან შედარებით.

(5) სოციალური გარემო, როგორც განათლების შესახებ ინფორმაციის წყარო

გარდა მედიისა, ინფორმაციის მიღებისათვის მნიშვნელოვანია სოციალური გარემო. როგორც კვლევამ აჩვენა, რესპონდენტებისათვის ახლობლებთან აქტუალური გასნახილველი თემაა განათლება და განათლების სისტემა. აღსანიშნავია, რომ აქტუალურობის თვალსაზრისით თემა ერთნაირად აქტუალურია როგორც კერძო, ისე საჯასო სკოლის მოსწავლეების მშობლებისთვის. თემით დაინტერესების თვალსაზრისით ამ ორ ჯგუფს შორის განსხვავება თითქმის არ არის.

ცხრილი 4 რა სიხშირით გაიხილავენ განათლების საკითხებს მეგობრებსა და ახლობლებთან

	კერძო სკოლის მოსწავლეების მშობლები	საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლები
ყოველდღე	20.8%	20.2%
კვირაში რამდენჯერმე	28.0%	31.5%
კვირაში ერთხელ	13.2%	13.7%
თვეში რამოდენიმეჯერ	20.8%	19.9%
თვეში ერთხელ ან ორჯერ	10.8%	10.3%
წელიწადში რამოდენიმეჯერ	4.8%	3.7%
არასდროს	1.6%	.6%

თუმცა, განსხვავება მნიშვნელოვანია და ყურადღებას იქცევს კითხვის შედეგები: „სად სწავლობენ თქვენი ახლობლების შვილების უმეტესობა?“

ცხრილი 5 პასუხი კითხვაზე თუ სად სწავლობენ მათი ახლობლების შვილების უმეტესობა სახელმწიფო თუ კერძო სკოლაშიცხრილი#5 პასუხი კითხვაზე თუ სად სწავლობენ მათი ახლობლების შვილების უმეტესობა სახელმწიფო თუ კერძო სკოლაში

	კერძო სკოლის მოსწავლეების მშობლები	საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლები
კერძო სკოლაში	60.0%	7.5%
სახელმწიფო სკოლაში	40.0%	92.5%

მონაცემების მიხედვით, მათ ვინც კერძო სკოლაზე გააკეთა არჩევანი, მათი ახლობების 60% შვილებს კერძო სკოლაში ატარებენ, ხოლო ვინც შვილს საჯარო სკოლაში ატარებს, ურთერთობს ადამიანებთან, რომლებიც შვილებს ასევე საჯარო სკოლაში ატარებენ_92.5%

შესაბამისად, შეგვიძლია ვისაუბროთ 1. საზოგადოების მკვეთრ სეგმენტირებაზე, სადაც საზოგადოება გამიჯნულია და საკუთარი სოციალური გარემო აქვს შექმნილი, რომლებისთვისაც კერძო/სახელმწიფო განათლების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებები აქვს. 2. განათლების თემა ძალიან აქტუალურია ორივე „ჯგუფისათვის“ და ახლობლებთან ყოველდღიური განსახილველი თემაა (კერძო 20,8 და საჯარო 20,5 ყოველდღე საუბრობს განათლების საკითხებზე ახლობლებთან). რამდენადაც, ისინი ძირითადად „თავისი“ ჯგუფის ადამიანებთან ურთიერთობენ, ჯგუფის შიგნით ხდება ერთმანეთის ინფორმირება.

ასეთ მკაცრ სეგმენტირებას აჩვენებს კიდევ ერთი მონაცემი: კითხვაზე, “სკოლის არჩევანის მომენტში არჩევანს აკეთებდით სახელმწიფო სკოლებს შორის კერძო სკოლებს შორის, თუ როგორც სახელმწოფო, ასევე კერძო სკოლებს შორის”, მშობლებმა შენდეგნაირად გასცეს პასუხი: კერძო სკოლების მოსწავლეების მშობლების 63.5% არჩევანს აკეთებდა მხოლოდ კერძო სკოლებს შორის, ხოლო საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლების 72.3%, არჩევანს აკეთებდა მხოლოდ საჯარო სკოლებს შორის.

საზოგადოებაში არსებული ფრაგმენტაცია იძენს რიცხვით მაჩვენებელს, თუკი ჩვენ გადავიყვანთ მას სოციალურ/ეკონომიკური სტატუსსა და შემოსავლების კატეგორიებში. კვლევის კითხვების დემოგრაფიულმა ბლოკმა აჩვენა მნიშვნელოვანი განსხვავება კერძო და სახელწმიფო სკოლის მშობლების შემოსავლებს შორის, რასაც კარგად ჩანს შემდეგი მონაცემებიდან:

ცხრილი 6 რომელ ფენას მიაკუთვნებენ გამოკითხული მშობლები საკუთარ ოჯახს

	კერძო სკოლის მოსწავლეების მშობლები	საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლები
მაღალშემოსავლიანი	3.2%	.9%
შემოსავლიანი	20.9%	9.0%
საშუალო შემოსავლიანი	68.7%	60.7%
დაბალშემოსავლიანი	7.2%	28.7%
ღარიბი		.6%

ცხრილი 7 გამოკითხული რესპონდეტების ოჯახების ყოველთვიური შემოსავალი

	კერძო სკოლის მოსწავლეების მშობლები	საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლები
51-100 ლარი		.3%
101-200 ლარი		.3%
201-300 ლარი	.4%	1.6%

301-500 ლარი	0.4%	2.8%
501-700 ლარი	3.6%	10.9%
701-1000 ლარი	4.8%	25.9%
1001-1500 ლარი	13.6%	22.1%
1501-2000 ლარი	19.2%	14.6%
2001-3000 ლარი	25.6%	7.5%
3001-5000 ლარი	9.6%	1.9%
5000 ლარზე მეტი	3.6%	.3%
(არ ვიცი/უარი პასუხზე)	19.2%	11.8%

იგივე შედეგებს მივიღებთ, თუ განვიხილავთ ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობას, ოჯახისათვის ხელმისაწვდომი ხარჯების განხილვით.

ცხრილი 8 ოჯახის ცხოვრების ხარისხის შეფასება ოჯახისათვის ხელმისაწვდომი ხარჯების მიხედვით

	კერძოში ვინც სწავლობს მათი შეფასება	სახელმწიფოში ვინც სწავლობს მათი შეფასება
შემოსავალი არ გვყოფნის კვებაზე	.4%	2.2%
შემოსავალი საუკეთესო შემთხვევაში გვყოფნის მხოლოდ კვებაზე	1.6%	10.0%
შენისავალი გვყოფნის კვებაზე და ტანსაცმელზე	34.4%	57.3%
შემოსავლით შეგვიძლია ყოველღიური ხარჯების გარდა ხარჯი გავწიოთ დასვენებისთვის, გართობისთვის	57.1%	29.3%
შემოსავალი სრულიად უზრუნველყოფს ოჯახის ყველა მოთხოვნილებას	6.5%	1.2%

(6) **მშობლის განათლების დონე**

ლიტერატურიდან და საერთაშორისო კვლევების გამოცდილებით ვიცით, რომ ინფორმაციაზე მისაწვდომობა მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული მშობლების განათლებასთან - რაც უფრო მაღალია განათლება, მით მეტია შესაძლებლობები და უნარები მოიპოვოს საჭირო ინფორმაცია, როგორც სოციალური კავშირებიდან, ისე საინფორმაციო წყაროებიდან. ამიტომ, ჩვენ შევადარეთ ერთმანეთს კერძო და საჯაროს სკოლების მოსწავლეების მშობლების განათლების ხარისხი - როგორც მოსალოდნელი იყო კერძო სკოლების მშობლების განათლების ხარისხი უფრო მაღალია სახელმწიფო სკოლის მშობლებთან შედარებით.

ცხრილი 9 მშობლების განათლება

	კერძო სკოლის მოსწავლეების მშობლები	საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლები
არასრული საშუალო/საშუალო	2.8%	8.7%
პროფტექნიკუმი/ტექნიკუმი/საშუალო სპეციალური	7.2%	13.0%
არასრული უმაღლესი	3.1%	7.0%
უმაღლესი	86.9%	73.1%

შესაბამისად, კვლევამ მნიშვნელოვანი განსხვავება გვიჩვენა კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლებს შორის ინფორმაციის მისაწვდომობის თვალსაზრისით. კერძო სკოლების მოსწავლეების მშობლების როგორც ინფორმაციით დაინტერესება, ისე სხვადახვა მედიის მიმართ მისაწვდომობა უფრო მაღალია.

ინფორმაციის მისაწვდომობა ორი ფაქტორის ჯამია, ეს არის მიღწეული განათლების დონე და შემოსავალი. როგორც კვლევიდან ჩანს, ამ ორივე ფაქტორში არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავევა კერძო და სახელმწიფო სკოლის მოსწავლეთა მშობლებს შორის.

(7) **სკოლის შერჩევაზე მოქმედი სხვა ფაქტორები: ბავშვების რაოდენობა და სქესი**

ახლა განვიხილოთ სხვა ფაქტორები, რომლებსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს სკოლის შერჩევის პროცესზე, კერძოდ კი ბავშვების რაოდენობა და სქესი.

ქვემოთ მოცემულია განათლების სამინისტროს ოფიციალური მონაცემი _ მოსწავლეთა რიცხოვნობა კერძო და საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სქესის მიხედვით (2017 წლის ოქტომბერი)

ცხრილი 10 მოსწავლეთა რიცხოვნობა კერძო და საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სქესის მიხედვით (2017 წლის ოქტომბერი)

სკოლის სტატუსი	გოგო	ბიჭი	გოგო%	ბიჭი%
კერძო	25683	31560	44.9%	55.1%
საჯარო	248187	269562	47.9%	52.1%

მონაცემებიდან ჩანს, რომ როგორც კერძო, ასევე საჯარო სკოლაში ბიჭების რაოდენობა სჭარბობს გოგონების რაოდენობას. კერძო სკოლაში ეს განსხვავება უფრო მეტად საგრძნობია. თუკი საჯარო სკოლის მოსწალეთა შორის გოგონათა რაოდენობა 4.1%-ით ჩამორჩება ბიჭების რაოდენობას, კერძო სკოლის შეთხვევაში ეს განსხვავება 10.3%-ია. რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სკოლის არჩევის პროცესში (აირჩიოს კერძო თუ საჯარო) სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანია შვილის სქესიც. მცირედით მეტია ალბათობა, იმისა რომ ბიჭს კერძო სკოლაში მიიყვანენ ვიდრე გოგონას.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ არსებობს მცირე კავშირი ოჯახში 18 წლამდე ასაკის შვილების რაოდეობასა და მშობლის არჩევანს შორის. შვილების რაოდეობის ზრდა მცირედ დადებით კორელაციაშია საჯარო სკოლის არჩევანთან. ეს ჩანს კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეთა ოჯახებში საშუალოდ შვილების რაოდენობით. კერძო სკოლის მოსწავლეთა ოჯახებში 18

წლამდე ასაკის შვილების საშუალო რაოდენობაა - 1.74-ია, მაშინ როდესაც საჯარო სკოლის მოსწავლეთა ოჯახებისთვის - 1.82-ია.

შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1. კერძო სკოლების მოსწავლეების მშობლების როგორც ინფორაციით დაინტერესება, ისე სხვადახვა მედიის მისაწვდომობა უფრო მაღალია. 2. გამოჩნდა დამატებითი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს სკოლის არჩევანს:

- სკოლების მიერ გაწეული მომსახურებისადმი მოთხოვნის განსხვავებული ხარისხი
- მშობლების სოციალური გარემო
- მშობლების განათლება
- მშობლების შემოსავლები
- შვილის სქესი

ამის შემდეგ შეგვიძლია გადავდგათ შემდეგი ნაბიჯი და გავაანალიზოთ სკოლის შერჩევის კრიტერიუმები და პრინციპები.

(8) სკოლის შერჩევის კრიტერიუმები და პრინციპები.

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ კვლევის შედეგების თანახმად, ფაქტობრივად არ არასობობს კონკურენცია კერძო და საჯარო სკოლებს შორის. კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლების უმეტესობა აცხადებენ, რომ თავიდანვე არჩევდნენ მხოლოდ კერძო ან მხოლოდ საჯარო სკოლებს.

ცხრილი 11 გამოკითხული მშობლების პროცენტულობა რომლებიც სკოლის არჩევის მომენტში არჩევანს აკეთებდნენ კერძო და საჯარო სკოლებს შორის

სკოლის არჩევის მომენტში მშობლები როგორ აკეთებდნენ არჩევანს: მხოლოდ კერძო სკოლებს შორის, მოლოდ სახელმწიფო სკოლებს შორის, როგორც კერძო ისე სახელმწიფო სკოლებს შორის?

	კერძო სკოლის მოსწავლეების მშობლები	საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლები
მხოლოდ კერძო სკოლებს შორის	63.5%	3.1%
მხოლოდ სახელმწიფო სკოლებს შორის	2.8%	72.3%
როგორც კერძო ასევე სახელმწიფო სკოლებს შორის	33.7%	24.6%

მონაცემებიდან გამომდინარე, კერძო და საჯარო სკოლებს შორის დაბალია კონკურენცია. ძირითადად კონკურენტული გარემოა კერძო და საჯარო სკოლების სექტორების შიგნით. საჯარო სკოლა ვერ უწევს კონკურენციას კერძო სკოლას. საჯარო სკოლის დაბალკონკურენტულობა ჩანს მშობლების მიერ სხვადასხვა ფაქტორების შეფასებებში. მრავალფაქტორული დისპერსიული ანალიზის საშუალებით მოხდა კერძო ან საჯარო სკოლის არჩევის გადაწყვეტილების ახსნა. სულ ჩვენს მიერ წარმოდგენილი 38 ცვლადის მიხედვით, ოჯახში სკოლის ასაკის ბავშვების რაოდეობის, დამატებითი სწავლების, ოჯახის წევრების განათლების და ოჯახის შემოსავლილს გათვალისწიებით აიხსნა არჩევანის **<u>სტრუქტურის 82%.</u>**

ანალიზის შედეგად დადგინდა ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ **კერძო სკოლის** არჩევანს. ფაქტორები დალაგებულია მნიშვნელოვნების მიხედვით.

- კერძო სკოლის არჩევანს ფაქტორებს შორის ყველაზე მეტად განსაზღვრავს „ოჯახის (მაღალი) მატერიალური მდგომარეობა“ და ხსნის კერძო სკოლის სასარგებლოდ არჩევანის 24%-ს.

- მეორე მნიშვნელობის ფაქტორი კერძო სკოლის არჩევანის სასარგებლოდ „კლასში მოსწავლეთა რაოდენობაა“ და ხსნის არჩევანის 10.9%-ს.

- შემდეგი ფაქტორია _ „დავალებების სკოლაში მომზადება,სწავლების პროცესში მშობლის ჩართულობის მინიმალური საჭიროება“ _ ხსნის არჩევანის 7.3%-ს.

- „სასწავლო დღის ხანგრძლივობა“ _ ხსნის 3.4%-ს

- კომფორტი/მატერიალური ბაზა _ ხსნის 3.4%-ს

- „რელიგიური საგნების განსაკუთრებული სწავლება“ _ ხსნის 3.1%-ს

- „ტრანსპორტირება“ _ ხსნის 3.1%-ს

- „სკოლის აკადემიური წარმატებები“ _ 2.7%-ს

- „მოსწავლეების მიმართ ინდივიდუალური მიდგომა“ _ ხსნის 1.9%-ს

- „მოსწავლე არ საჭიროებს დამატებით სწავლას“_ ხსნის 1.6%-ს

- „უსაფრთხო გარემო“_ ხსნის 1.6%-ს

- გახანგრძლივებული სწავლება_ ხსნის 1.6%-ს

- „კონკრეტული სოციალური წრის ადამიანებთან ურთიერთობა“_ ხსნის 1.5%-ს

- მასწავლებლების ცოდნა/გამოცდილება/პროფესიონალიზმი _ ხსნის 1.5%-ს

- კვება _ ხსნის 1.3%-ს

- დანარჩენი ფაქტორები თავისი მნიშვნელობით 1.0%-ზე ნაკლებია და შესაბამისად ცალკე არ განიხილება.

ქვემოთ მოცემულია ფაქტორები რომლებიც განსაზღვრავენ **საჯარო სკოლის** არჩევანს. ფაქტორები დალაგებულია მნიშვნელოვნების მიხედვით.

- საჯარო სკოლის არჩევანს ყველაზე მეტად ხსნის ფაქტორი _ სკოლის ადგილმდებარეობა 3.5%-ით

- სწავლების ახალი მეთოდების დანერგვა 2.4%

- აღზრდა/პიროვნების ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა 2.3%

- ითვალისწინებენ მშობლების სურვილებს 1.9%

- მასწავლებლების ცოდნა/გამოცდილება/პროფესიონალიზმი 1.5%

ასევე არჩევანი დაკავშირებულია შემდეგ ფაქტორებთან _ მშობელი დამატებით ამზადებს უცხო ენაში (2.0%) და მათემატიკაში (2.7%)

შემდგომში 38 ფაქტორი დავაჯგუფეთ 10 მაკრო-ფაქტორში სტატისტიკური მნიშვნელობის მიხედვით (0.5 და მეტი) და შედეგები მოყვანილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში#

ცხრილი 12 სკოლების შერჩევის კრიტერიუმები

	კერძო სკოლისთვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმები	საჯარო სკოლისთვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმები
სკოლების კომფორტი, ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა	0.56	-0.51
მასწავლებლების კვალიფიკაცია	0.22	-0.20
მოსწავლეთა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობა	0.24	-0.22
მოსწავლეებს სოციალური და ადამიანური ურთიერთობების განვითარება	0.04	-0.04
დამატებითი რეპეტიტორების არ ყოლა	0.12	-0.11
მშობლების ჩართულობა და მათზე ორიენტაცია	0.12	-0.11
მსწავლეების უფლებები	0.00	0.00
სპორტი და ცხოვრების ჯანსაღი წესი	-0.02	0.02
გახანგძლივებული სწავლა/საშინაო დავალებების სკოლაში კეთების შესაძლებლობა	0.4	0.0
მშობლების შემოსავალი და სოციო-ეკონომიკური სტატუსი	0.56	-0.51

ცხრილში მოცემული შეფასებებიდან, რაც უფრო მაღალია შეფასება, მით მაღალია ამ ფაქტორის მნიშვნელობა სკოლის შერჩევის პროცესში. 0.1ზე მაღალი შეფასების ფაქტორი

მნიშვნელოვანია მშობლის არჩევანისათვის. მოცემული რიცხვები აჩვენებს, რამდენად მაღალია (ან დაბალი) ფაქტორი საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. მაგალითად: ფაქტორი #1 კომფორტი - „მატერიალურ ტექნიკური ბაზა“, კერძო სკოლების შეფასება ამ ფაქტორის მიხედვით საშუალოზე მაღალია 0.56 ქულით (10 ბალიან სკალაზე), ხოლო საჯარო სკოლის შეფასება იგივე ფაქტორისათვის დაბალია საშუალოზე 0.51 ქულით.

შესაბამისად, შედეგებიდან ჩანს, რომ კერძო სკოლების შემთხვევაში ყველაზე მეტად სკოლის შეფასებას განსაზღვრავს სკოლის მატერიალურ ტექნიკური ბაზა _ 0.56. მნიშვნელოვნებით შემდეგია მასწავლებელი/მოსწავლის ურთიერთობა 0.24, ასევე გაკვეთილების სკოლაში მომზადება/გახანგრძლივებული სწავლება 0.22, არ საჭიროებს დამატებთ სწავლებას 0.12 და მშობლების ჩართულობა/ მშობლებზე ორიენტაცია 0,12. საჯარო სკოლის მონაცემები აჩვენებს, რომ ფაქტორთა უმეტესობის შეფასება საშუალო მაჩვენებლებზე დაბალია.

საინტერესოა ზემოთაღნიშნული პასუხები შევადაროთ, კითხვის მონაცემებს, თუ რატომ აირჩიეს კონკრეტულად თავისი სკოლა

რატომ აირჩიეთ თქვენს მიერ დასახელებული სკოლა?

ცხრილი 13 მიზეზი რატომ აირჩიეს მშობლებმა კონკრეტული სკოლა

	კერძო სკოლის მოსწავლეების მშობლები	საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლები
სწავლის კარგი პირობების გამო	57.0%	31.0%
მაღალი ხარისხის სწავლების გამო	49.2%	23.3%
უსაფრთხო გარემოა	29.5%	10.0%
კომფორტულია მშობლისთვის სთავაზობს დამატებით მომსახრებებს,	28.3%	5.3%

ტრანპოსრტს, გახანგრძლივებულ სწავლებას		
პრესტიჟულია	11.5%	3.0%
ახლოს არის ტერიტორიულად	9.0%	31.7%
ეკონომიურად მისაწვდომია	7.0%	50.7%
კარგი მეგობრები ეყოლება, რადგან ამ სკოლაში ძირითადად კარგი ოჯახიშვილები სწავლობენ	7.0%	2.7%

როგორც მონაცემები გვიჩვენებს, რომ კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლებისათვის, არჩევანის გაკეთებისას წამყვანი ფაქტორი იყო სწავლის კარგი პირობები - 57.0%, მაღალი ხარისხის სწავლება - 49,2%, უსაფრთხო გარემო - 29.2%, კომფორტი/დამატებითი მომსახურებების შეთავაზება, როგორიცაა ტრანსპორტირება/გახანგრძლივებული სწავლება - 28.3%.

საჯარო სკოლის მშობლისთვის არჩევანის გასაკეთებლად ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ეკონომიური მისაწვდომობა - 50.7%, ტერიტორიული სიახლოვე - 31.7%, სწავლისათვის კარგი პირობები - 31,0%, მაღალი ხარისხის სწავლება - 23.3%.

მშობლებთან ჩატარებული თვისებრივი კვლევის ფარგლებში მშობლებს ვთხოვეთ აღეწერათ საკუთარი არჩევანი სკოლის არჩევის მომენტისათვის. კერძო სკოლის მოსწავლეების მშობლებმა გამოყვეს 2 მნიშვნელოვნი ფაქტორი რამაც განსაზღვრა მათი არჩევანი:

(9) კმაყოფილების/ბედნიერების შეგრძნება.

ეს ფაქტორი ძირითადად დაკავშირებული იყო სოციალურ ურთიერთობებთან, მასში შედიოდა:

მოსწავლეებისადმი მასწავლებების და პესონალის „პატივისცემა“ მოსწავლის, როგორც პიროვნების მიმართ.

„მაღალი ხარისხის პერსონალურ ურთერთობას“ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, რასაც მშობლები აღწერდნენ, როგორც ურთიერთობებში *„ნაკლები ფუნქციონალურობა და მეტი პერსონალურობა“* , *„მეტ ინტერესსა და ჩართულობას მოსწავლის პრობლემების მიმართ“*და *„მეტ ყურადღებას და დაფასებას მოსწავლის მიღწევების აღნიშვნაში“*

ამ შედეგის მიღწევა, რესპონდენტების აზრით, შესაძლებელია კლასში მოსწავლეთა მცირე რაოდენობის შემთხვევაში და მხოლოდ მასწავლებლის მაღალი მოტივაციის შემთხვევაში.

(10) უსაფრთხოება.

კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლები შემდეგნაირად აღწერენ საკუთარ ემოციას/დამოკიდებულებას კერძო სკოლის მიმართ. ისინი თვლიან რომ კერძო სკოლა მათ ანიჭებს „უსაფრთხოების/დაცულობის“ განცდას _ ასე აღწერს ერთ-ერთი მშობელი საკუთარ დამოკიდებულებას _ *„მშვიდად ვარ, რამდენადაც დარწმუნებული ვარ საკუთარი შილის უსაფრთხოებაში _ როგორც ფიზიკურ ასევე ემოციურ საკითხში, ვთვლი, რომ სკოლა მიდგას გვერდში საკუთარი შვილის აღზრდის საქმეში და უზრუნველყოფს მის წარმატებულ მომავალს“*

საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლების შემთხვევაში ასეთი დომინანტი ფაქტორები არ გამოვლენილა.

(11) საჯარო, კერძო და „საკუთარი“ სკოლის შედარებითი შეფასება

მშობლებს შევთავაზეთ, იმის მიუხედავად რომელ სკოლაში ატარებენ საკუთარ შვილებს, 10 ბალიანი სკალით შეეფასებინათ „ზოგადად საჯარო სკოლების“ და „ზოგადად კერძო

სკოლების“ იგივე 38 ასპექტები და შემდეგ შეედარებინათ მათ მიერ არჩეულ სკოლასთან. ასევე გამოვითვალეთ 38 მახასიათებლის საშუალო შეფასებები ზემოთ აღწერილი ყველა კატეგორიისათვის.

ცხრილი 14 38 მაასიათებლის მიხედვით საჯარო, კერძო და იმ სკოლის შეფასება რომელშიც რესპონდენტის შვილი სწავლობს

		M23. ზოგადად საჯარო სკოლა		M24. ზოგადად კერძო სკოლა		M25. თქვენი სკოლა	
		კერძო სკოლების მოსწავლეთა მშობლები	საჯარო სკოლების მოსწავლეთა მშობლები	კერძო სკოლების მოსწავლეთა მშობლები	საჯარო სკოლების მოსწავლეთა მშობლები	კერძო სკოლების მოსწავლეთა მშობლებია	საჯარო სკოლების მოსწავლეთა მშობლები
1	პრესტიჟულობა /სკოლის რეპუტაცია	6.67	7.10	8.95	8.83	9.27	7.76
2	ხარისხიანი განათლება	6.65	7.24	8.87	8.28	9.16	7.68
3	შენობა/ნაგებობები	7.19	7.46	8.84	8.89	9.05	7.78
4	კომფორტი/მატერიალური ბაზა	7.03	7.08	8.90	8.89	9.09	7.47
5	სკოლის ტექნიკური აღჭურვილობა	7.26	7.05	8.97	8.82	9.10	7.48
6	მასწავლებლების დამოკიდებულება მოსწავლეებთან	7.05	7.56	9.07	8.76	9.41	8.04
7	მასწავლებლების ასაკი	7.47	7.17	8.94	8.38	9.17	7.62
8	გახანგრძლივებული სწავლება	6.58	6.51	9.07	9.00	9.17	6.62
9	მოსწავლე არ საჭიროებს დამატებით სწავლას სკოლის გარეთ	5.40	5.42	8.41	7.84	8.52	5.89
10	მოსწავლე არ საჭიროებს დამატებით მომზადებას სხვადასხვა საგნებში	5.38	5.39	8.27	7.47	8.34	5.95

11	სპორტდარბაზები სპორტული ინვენტარი	6.82	6.29	8.59	8.19	8.64	6.75
12	მასწავლებლების ცოდნა/გამოცდილება/პროფესიონალიზმი	7.32	7.51	8.84	8.44	9.10	7.86
13	სპორტული აქტივიბები ჯანმრთელობის ხელშეწყობა	6.91	6.47	8.48	7.96	8.64	6.77
14	უსაფრთხოება	7.89	8.24	9.37	9.08	9.58	8.35
15	დისციპლინა	7.06	7.59	9.11	8.79	9.39	8.06
16	დასვენების ორგანიზება	6.73	6.56	8.50	8.09	8.67	6.91
17	კლასში მოსწავლეების ოპტიმალური რაოდენობა	4.94	5.46	9.14	8.90	9.24	5.85
18	მოსწავლეების მიმართ ინდივიდუალური მიდგომა	5.61	6.14	8.83	8.49	9.00	6.75
19	უშუალო დამოკიდებულება მოსწავლესა და მასწავლებელს შორის	6.28	6.87	8.89	8.45	9.10	7.31
20	სწავლების ახალი მეთოდების დანერგვა	6.06	6.01	8.61	8.14	8.76	6.52
21	აღზრდა/პიროვნების ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა	6.50	7.01	8.69	7.97	9.06	7.36
22	ეროვნული რელიგიური და სხვა ტიპის უმცირესობების უფლებების პატივისცემა	7.30	7.25	8.52	7.76	8.81	7.50
23	მოსწავლეების უფლებების პატივისცემა	6.95	7.29	8.96	8.46	9.22	7.64
24	დამატებითი სწავლება	5.57	5.55	8.80	8.31	8.97	5.94
25	უცხო ენების ხარისხიანი სწავლება	5.88	5.85	8.95	8.61	8.81	6.30
26	სწავლა უცხო ენაზე	3.97	3.61	7.58	6.90	5.97	3.42
27	ხელოვლების/მუსიკის და სხვა წრეების სწავლების ხარისხი	6.03	5.78	7.97	7.49	8.12	5.95

28	ავითარებს სხვადასხვა მნიშვნელოვან სოციალურ უნარებს	6.69	6.53	8.48	7.65	8.73	6.85
29	აჩვევენ შრომისმოყვარეობას და პრობლემების დაძლევას	6.65	6.54	8.60	7.57	8.88	6.98
30	მოსწავლე სკოლაში თავს გრძნობს კონფორტულად/ სიამოვნებით დადიან სკოლაში	6.73	6.84	8.87	8.11	9.31	7.41
31	უმაღლესისთვის მომზადება	5.84	5.58	8.57	7.81	8.58	6.08
32	ითვალისწინებენ მშობლების სურვილებს	6.23	6.05	8.50	8.14	8.62	6.51
33	მშობლების მაღალი ჩართულობა სწავლის პროცესში	6.83	6.57	8.56	8.07	8.74	7.04
34	სკოლაში ფსიქოლოგიური ატმოსფერო	6.43	6.74	8.92	8.23	9.24	7.27
35	ქმნის ყველა პირობას მომავალი წარმატებისათვის	6.16	6.27	8.60	8.05	8.84	6.70
36	ამ სკოლაში კარგი ოჯახისშვილები სწავლობენ	6.29	6.45	8.61	8.36	8.65	6.88
37	ამ სკოლაში სწავლისათვის აუცილებელია მატერიალური კეთილდღეობა	4.28	4.22	9.17	9.13	8.64	4.51
38	უცხოეთში სწავლის გაგრძელებისათვის საჭირო ცოდნისა და პირობების შექმნა	4.96	4.47	8.53	7.49	8.45	4.95
	საშუალო	6.36	6.41	8.72	8.26	8.84	6.81

ყურადსაღებია შედეგი ტენდენციები: კერძო სკოლის საშუალო შეფასება მნიშვნელოვნად მაღალია საჯარო სკოლის შეფასებასთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რომელ სკოლაში ატარებს მშობელი საკუთარ შვილს (კერძოში თუ საჯაროში), ასევე მიუხედავად იმისა, თუ რომელი სკოლის მშობელი აფასებს, კერძო სკოლა ყოველთვის უფრო მაღალ შეფასებას იღებს

ვიდრე საჯარო. კერძოდ : საჯარო სკოლის საშუალო შეფასება (6,36 -კერძო სკოლის მოსწავეთა მშობლები, 6,41- საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლები, 6,81-საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლების შეფასება საკუთარი სკოლის შესახებ)

კერძო სკოლის შეფასება (8,72- კერძო სკოლის მოსწავეთა მშობლები, 8,26- საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლები, 8,84-კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლების შეფასება საკუთარი სკოლის შესახებ)

გრაფიკი 12კერძო და საჯარო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა წლების მიხედვით



თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს რომ, როგორც კერძო სკოლის, ისე საჯარო სკოლის მშობლები „საკუთარ“ სკოლას თითქმის ყველა მახასიათებლის მიხედვით უფრო მაღალ შეფასებას აძლევენ მსგავსი კატეგორიის სკოლებთან შედრებით. თუკი 10 ბალიანი სისტემით კერძო

სკოლის მოსწავლეების მშობლები „ზოგადად კერძო სკოლას“ საშუალოდ 8,26 ქულით აფასებენ, „საკუთარ სკოლას“ აფასებენ 8.84 ქულით.

საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლები „ზოგადად საჯარო სკოლებს“ აფასებენ 6.36 ქულით ხოლო „საკუთარ სკოლას _ 6.81 ქულით“. შეფასებების ასეთი ტენდენცია გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ რომ, როგორც კერძო, ასევე საჯარო სკოლის მშობლები, კმაყოფილი არიან საკუთარი არჩევანით. მათ კმაყოფილებას ადასტურებს სხვა მონაცემებიც, რომლებსაც ამავე ნაშრომში ქვემოთ ცალკე დაეთმობა ადგილი.

ამავე დროს, ისმის ლოგიკური კითხვა, რატომ იხდიან კერძოს სკოლის მოსწავლეების მშობლები ფულს (ხშირად საკმაოდ ბევრს საკუთარ შემოსავლებთან მიმართებაში) თუ არ არიან დარწმუნებულები, რომ მიიღებენ მაღალი ხარისხის განათლებას. პასუხი შეიძლება ვიპოვოთ ზემოთ ჩამოთვლილ პრიორიტეტებში - მშობლებს უპირველეს ყოვლისა აინტერესებთ უსაფრთხოება, შემდეგ შვილების ემოციური კომფორტი და მხოლოდ ამის შემდეგ განათლების ხარისხი და მომავლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენა. აქ ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ჩვენი კვლევის შედეგების მსგავსება ლიტერატურის მიმოხილვაში აღწერილ კისიდა და ვოლფის (Kisida and Wolf, 2015) დაშვებებთან.

თეორიულად შესაძლებელია, რომ რესპონდენტებისთვის შეთავაზებულ სხვადასხვა ფაქტორების შესწავლისას (38 ფაქტორი, რომლებიც აღწერილია „კვლევის შედეგებში“) ჩვენ უნებლიედ გამოვტოვეთ კრიტერიუმები, რომლებიც აგვიხსნიდა, რატომ ირჩევენ მშობლები საჯარო სკოლებს, მაშინაც კი თუკი აქვთ არჩევანი?

ამ დაშვების შესამოწმებლად კითხვარში ჩავდეთ ორი ღია კითხვა: „რა მახასიათებლებით სჯობს ზოგადად კერძო სკოლა საჯაროს?“ და „რა მახასიათებლებით სჯობს ზოგადად საჯარო სკოლა კერძოს?“ პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

ცხრილი 15 რესპონდენტის მიერ დასახელებული მახასიათელები რით სჯობს კერძო სკოლა საჯაროს

რით სჯობს კერძო საჯაროს

უფრო ხარისხიანი განათლებაა	48.4%
კლასებში მოსწავლეთა მცირე რაოდენობაა	35.6%
უფრო მეტად უსაფრთხო გარემოა	24.2%
მოსწავლეების მიმართ მასწავლებლებს უკეთესი დამოკიდებულება აქვთ	18.9%
გახანგრძლივებული სწავლებაა	10.8%

ცხრილი 16 რესპონდენტის მიერ დასახელებული მახასიათელები რით სჯობს საკარო სკოლა კერძოს

ცხრილი #16 რით სჯობს საჯარო კერძოს	
გადასახადი არაა	77.2%
ტეროტორიულად ახლოსაა	19.4%

ღია კითხვების შედეგებს ახალი, ჩვენს მიერ შეუსწავლელი ფაქტორი არ გამოუვლენია. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საჯარო სკოლების მოსწავლეების მშობელთა უმეტესობა უბრალოდ ვერ შეწვდა კერძო სკოლების გადასახადს და შესამისად მათი მიერ საჯარო სკოლის არჩევა უბრალოდ იძულებითი ნაბიჯია.

(12) კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლის და მასწავლებლის პერსონიფიცირებული თვისებები

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში შევეცადეთ ჩამოგვეყალიბებინა საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლის და მასწავლებლის პერსონიფიცრებული თვისებები _ ანუ რა თვისებებს მიაწერენ მშობლები კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეს და მასწავლებელს

მრავალფაქტორული რეგრესიული ანალიზის საშუალებით დაჯგუფდა მახასიათებლები რომლებიც შემდგომ შეფასდა ორივე ტიპის სკოლისათვის.

მოსწავლეთა პერსონიფიცირება

ფაქტორი #1 _ ერთად დაჯგუფდა შემდეგი ფაქტორები:

მიზანდასახულობა

მეგობრულობა

მადლიერება

მშობლებთან კარგი ურთიერთობა

როგორც ქვემოთმოცემული ცხილიდან ჩანს ეს თვისებები მეტად ასოცირდება საჯარო სკოლის მოსწავლესთან

#1 ფაქატორის პირობითი დასახელება _ დადებითი კომუნიკაცია

ფაქტორი #2 _ ერთად დაჯგუფდა შემდეგი ფაქტორები:

- ცოდნა
- თანამედროვეობა
- სწავლის მოტივი
- შრომისუნარიანობა
- შესაბამისობა საერთაშორისო მოთხოვნებთან

ეს თვისებები მეტად ასოცირდება კერძო სკოლის მოსწავლესთან

ფაქტორი #3 _ ერთად დაჯგუფდა შემდეგი ფაქტორები:

- გამოხატვის თავისუფლება
- კრეატიულობა

- გულწრფელობა
- შინაგანი სილაღე
- თავდაჯერებულობა

ეს თვისებები მეტად ასოცირდება კერძო სკოლის მოსწავლესთან

ფაქტორი #4 _ ერთად დაჯგუფდა შემდეგი ფაქტორები:

- ჯანმრთელობა
- გარეგნული სილამაზე

ეს თვისებები მეტად ასოცირდება კერძო სკოლის მოსწავლესთან

ფაქტორი #5 _ ერთად დაჯგუფდა შემდეგი ფაქტორები:

- კონფლიქტურობა
- მაღალი შფოთვის დონე

ფაქტორი #6 _ სწრაფვა წარმატებისაკენ

ეს თვისება მეტად ასოცირდება კერძო სკოლის მოსწავლესთან

ფაქტორი #7_ ამბიციურობა _ ეს თვისება მეტად ასოცირდება საჯარო სკოლის მოსწავლესთან ფაქტორული ანალიზის შედეგად მივიღეთ ფაქტორების შემდეგნაირი მიმართება კერძო და საჯარო სკოლისათვის

ცხრილი 17 ფაქტორული ანალიზის შედეგად მიღებული ფაქტორების მიმართება კერძო და საჯარო სკოლისათვის

	სკოლის ტიპი

	კერძო სკოლის მოსწავლე	საჯარო სკოლის მოსწალე	Total
FAC1	-0.10	0.10	0.00
FAC2	0.35	-0.35	0.00
FAC3	0.16	-0.16	0.00
FAC4	0.12	-0.12	0.00
FAC5	-0.09	0.09	0.00
FAC6	0.11	-0.11	0.00
FAC7	0.25	-0.25	0.00

განსხვავება სტატისტკურად მნიშვნელოვანია ყველა ფაქტორისათვის

მასწავლებელთა პერსონიფიცირებული თვისებები

ანალოგიურად გაანალიზდა, კერძო და საჯარო სკოლის მასწავლებლის პერსონიფიცირებული თვისებები. ფაქტორები დაჯგუფდა 2 ჯგუფად.

ჯგუფი #1

- სამართიანი
- ყურადღებიანი
- ლოიალური
- ბავშვებთან ურთიერთობის მცოდნე და მოყვარე
- თავაზიანი
- კეთილგანწყობილი
- მომთმენია თუკი მოსწავლეს რაიმე არ ესმის
- ენდობა მოსწავლეებს
- მოსწავლეებს სიამოვნებთ მასთან ურთიერთობა
- განვითარებული აქვს თანაგანცდის უნარი

- ცდილობს გაიგოს რას ფიქრობს მოსწავლე კონკრეტულ საკითხზე

ზემოთჩამოთვლილი თვისებები მიეწერება კერძო სკოლის მასწავლებელს

ფაქტორი #2

- მოსწავლეებს მისი ეშინიათ
- აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას
- ფიზიკურად სჯის
- უხეშია ურთიერთობაში

ზემოთჩამოთვლილი თვისებები მიეწერება საჯარო სკოლის მასწავლებელს

ცხრილი 18 მოსწავლის პიროვნული თვისებების ასოციაცია კერძო და საჯარო სკოლასთან

	სკოლის ტიპი		
	კერძო სკოლის მასწავლებელი	საჯარო სკოლის მასწავლებელი	სულ
FAC1	0.45	-0.40	0.00
FAC2	-0.09	0.08	0.00

განსხვავება სტატისტკურად მნიშვნელოვანია ორივე ფაქტორისათვის. მოცემული რიცხვები აჩვენებს, რამდენად მაღალია (ან დაბალი) ფაქტორი საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. მაგალითად : ფაქტორი #1 კერძო სკოლების შეფასება ამ ფაქტორისათვის საშუალოზე მაღალია 0.45 ქულით (10 ბალიან სკალაზე), ხოლო საჯარო სკოლის შეფასება იგივე ფაქტორისათვის დაბალია საშუალოზე 0.40 ქულით.

(13) არჩევანის მრავალფეროვნება

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც შეიძლება განსაზღვარვდეს სკოლის არჩევით კმაყოფილებას, არჩევანის მრავალფეროვნებაა. ისმის კითხვა - „არის თუ არა საქართველოში საკმარისი არჩევანი სკოლებს შორის?“ და „რამდენად არის თავისუფალი არჩევანისათვის საკმარისი მრავალფეროვნება?“

კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლები უფრო მეტად თვლიან რომ საქართველოში არის საკმარისი არჩევანი სკოლებს შორის, ვიდრე საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლები.
ამ შედეგს ნათლად აჩვენებს ქვემოთ მოცემული ცხრილი

ცხრილი 19 როგორ თვლიან რესპონდენტები არსებობს თუ არა საკმარისი ალტერნატივა სასურველი სკოლის ასარჩევად

არსებობს თუ არა კერძო სკოლების საკმარისი ალტერნატივა თქვენთვის სასურველი სკოლის ასარჩევად?	კერძო სკოლის მოსწავლეების მშობლები	საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლები
კი საქართველოში საკმარისი არჩევანია	64.7%	37.1%
არა არჩევანი საკმაოდ მწირია	21.3%	25.9%
არ ვიცი	14.1%	37.1%

(14) რამდენად კმაყოფილები არიან მშობლები საკუთარი არჩევანით?

ქვემოთ მოცემულ ცხრგრაფიკზე (გრაფიკი #13) ნაჩვენებია რამდენად დარწმუნებულები არიან რესპონდენტები საკუთარი არჩევანის სისწორის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით. ჩანს, რამდენად დიდი განსხვავებაა კერძო და საჯარო სკოლის მშობლების პასუხებს შორის. გრაფიკი აჩვენებს პასუხს - „სრულიად დარწმუებლი ვარ“.

ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მახასიათებლებს შორის კერძო სკოლებისათვის აქვს ფაქტორს - „უსაფრთხო გარემო“. კერძო სკოლის მშობლები ყველაზე მეტად დარწმუნებულები არიან

საკუთარი შვილის უსაფრთხოებაში (86.8%). ხოლო, საჯარო სკოლას მშობლები ყველაზე მეტად დარწმუნებულები (სხვა მახასიათებლებთან შედარებით) არიან იმაში, რომ მათი შვილი „სკოლაში თავს კარგად გრძნობს“(61.1%).

გრაფიკი 13 მშობლების საკუთარი არჩევანით კმაყოფილების პროცენული განაწილება



მონაცემები აჩვენებს, რომ პასუხი „უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლებით“, როგორც კერძო, ასევე საჯარო სკოლის მშობლების რწმენებში მე-3-ე ადგილზეა (თუმცა პროცენტული განსხვავება ძალიან მნიშვნელოვანია კერძო სკოლის შემთხვევაში ხარსხიან განათლებაში დარწმუბულია 58.8%, საჯაროს შემთხვევაში 31.8%)

(15) **არის თუ არა კერძო სკოლაში სწავლება ხარისხიანი განათლების გარანტი?**

როგორც კერძო სკოლის, ისე საჯარო სკოლის მოსწალეთა მშობლების უმეტესობა (კერძო სკოლის მოსწალეთა მშობლების 68.8%, და საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლების 88.2%) თვლის, რომ კერძო სკოლაში შვილის სწავლება მშობლისათვის არ ქმნის იმის გარანტიას, რომ

მას, შედეგის მისაღწევად, არ დასჭირდება დამატებით კერძო მასწავლებლების დახმარება.

მეტიც, კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლების 43.2% და საჯარო სკოლის მოსწალეთა მშობლების 57.0% თვლის, რომ ხარისხიანი სასკოლო განათლების მიღება რეპეტიტორების დახმარების გარეშე **შეუძლებელია**.

როგორც კერძო, ასევე საჯარო სკოლის მშობლების უმეტესობა (კერძო 67.6% და საჯარო 81.9%) თვლის რომ მომავალში ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებლად შვილს კერძო მასწავლებლებს დაახმარს.

მონაცემებიდან ჩანს, რომ ვერც საჯარო და ვერც კერძო სკოლა ასრულებს სრულად საკუთარ ვალდებულებებს.

რესპონდენტების აზრით, საჯარო სკოლა **42.40%-ით** ასრულებს თავის ვალდებულებებს ხოლო კერძო სკოლა **59.02%-ით.**

(16) სასკოლო და დამატებითი სწავლება

მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან დამატებით სწავლებასთან დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი პროპორციები:

პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლები:

1. საჯარო სკოლაში ატარებს და დამატებით არ ამზადებს 22.2%.
2. საჯარო სკოლაში ატარებს და სხვადასხვა საგნებში ამზადებს 78.8%.

კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლები:

1. კერძო სკოლაში ატარებს, სხვადახვა საგნებში დამატებითად აღარ ამზადებს 53,3%.
2. კერძო სკოლაში ატარებს და ძირითად საგნებში დამატებითად ამზადებს 46.7%.

საინტერესო იყო გაგვერკვია, თუ რომელ დამატებით საგნებში ამზადებენ მშობლები მოსწავლეებს და ამის გარდა რა დამატებით აქტივობებზე ატარებენ?

(17) დამატებითი სწავლება და წრეები

დამატებით წრეებზე ატარებენ როგორც კერძო, ისე საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლების უმეტესობა, წრეების მიხედვით გადანაწილება ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილში

ცხრილი 20 პროცენტული განაწილება იმისა, თუ რა წრეებზე ატარებენ მშობლები შვილებს

	კერძო	საჯარო
ხატვა	12.1%	10.9%
სიმღერა	8.6%	11.5%
ჭადრაკი	5.0%	2.4%
ცეკვა	35.0%	31.5%
სპორტი	64.3%	58.2%
მუსიკა	9.3%	10.9%
სხვა	3.6%	0.6%

რაც შეეხება დამატებით სწავლებას/სხვადასხვა საგნებში მომზადებას, ქვემოთ მოცემული მონაცემებიდან ჩანს, რომ საჯარო სკოლის მოწავლეთა მშობლები უფრო მეტად ამაზადებენ შვილებს დამატებითად სკოლის გარეთ, ვიდრე კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლები. (არ ემზადება დამატებითად კერძო სკოლის მოსწავლეთა 65.3% და საჯარო სკოლის მოსწავლეთა 43,6%.)

ცხრილი 21 პროცენტული განაწილება, თუ რა დამატებით საგნებში ამზადებენ მშობლები შვილებს

	კერძოში ვინც სწავლობს მათი შეფასება	სახელმწიფოში ვინც სწავლობს მათი შეფასება
უცხო ენა	28.6%	47.0%
ქართული	4.8%	7.5%
მათემატიკა	11.7%	27.1%
ფიზიკა	2.4%	8.1%
ქიმია	1.2%	4.7%
უნარები	2.4%	.3%
ისტორია	.8%	.6%
გეოგრაფია	.0%	1.9%
არ ვამზადებ	65.3%	43.6%

როგორც მონაცემებიდან ჩანს, კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლები დამატებით სწავლებასა და წრეებზე შვილის ტარებისათვის საშუალოდ 176.45 ლარით მეტს იხდიან, საჯარო სკოლის მშობლებთან შედარებით. რამდენადაც წრეებსა და დამატებითი სწავლების შედარებისას ერთიანობაში აქტივობა დაახლოებით თანაბარია (მეტად ატარებენ წრეებზე კერძო სკოლის მშობლები და მეტად ატარებენ დამატებით საგნებზე საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლები). აქედან შეიძლება შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ, რომ კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლები უფრო მეტს იხდიან თვითოეული სწავლებისათვის, ანუ წრეები რომლებზეც ისინი ატარებენ უფრო მაღალი ფასისაა, ვიდრე საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლების შემთხვევაში.

(18) განათლებაზე გაწეული ხარჯები

საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლები საშუალოდ თვეში შვილების განათლებაზე ხარჯავენ საკუთარი შემოსავლის 16.10%-ს, ხოლო კერძო სკოლის მოსწავლეთა მშოლები_ 21.77%-ს

როგორც ჩვენს მიერ ზემოთ განხილული არაერთი მონაცემი აჩვენებს, შემოსავლები მნიშვნელოვნად განსხვავდება. შესაბამისად შემოსავლის 1% კერძო და საჯარო მოსწავლეთა ოჯახების შემოსავლებიდან სრულიად განსხვავებული თანხებია.

საშუალოდ, კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლები, ერთი შვილის განათლებაზე ხარჯავენ 738.52 ლარს (აქედან 416.57 ლარს იხდიან სკოლის გადასახადს 321.95 ლარს დამატებითი სწავლებისათვის), საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლები _ 145.50 ლარს რაც მთლიანად დამატებითი სწავლების საფასურია (რამდენადაც სასკოლო განათლება საჯარო სკოლებში უფასოა მშობლებისთვის)

ცხრილი 22 მშობლების მოსაზრება სწავლების რომელი ეტაპია ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელშიც მშობელმა უნდა ჩადოს ინვესტიცია

	კერძოში ვინც სწავლობს მათი შეფასება	სახელმწიფოში ვინც სწავლობს მათი შეფასება
დაწყებითი სკოლის ეტაპი 1–6 კლასი	41.6%	23.4%
საბაზო 7–9 კლასამდე	17.6%	19.3%
საშუალო მე–10 კლასიდან მე–12 კლასამდე	18.0%	19.9%
უმაღლესისთვის მომზადების ეტაპი	11.2%	26.2%
უმაღლესი განათლება	11.6%	11.2%
საშუალო მე–10 კლასიდან მე–12 კლასამდე	18.0%	19.9%
უმაღლესისთვის მომზადების ეტაპი	11.2%	26.2%
უმაღლესი განათლება	11.6%	11.2%

განსხვავებული აღმოჩნდა კერძო და საჯარო სკოლების მშობლების დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, თუ სწავლის რა პერიოდია ყველაზე მნიშვნელოვანი, როდესაც მშობელმა უნდა განახორციელოს ინვესტიცია. კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლების მნიშვნელოვანი ნაწილი თვლის, რომ ეს არის დაწყებითი სკოლის ეტაპი (1-6 კლასი), მაშინ როდესაც, საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლების პასუხების ყველაზე დიდი პროცენტული კონცენტრაცია უმაღლესში ჩაბარებისათვის მომზადებაა.

2.5 შეჯამება და დისკუსია

კვლევამ აჩვენა, რომ საზოგადოება კერო/საჯარო სკოლის არჩევანის თვალსაზრისით, მკვეთრად სეგმენტირებულია: კერძო სკოლის მშოლების უმეტესობა (63.5%) სკოლას არჩევს კერძო სკოლებს შორის და საჯარო სკოლის მშობლების უმეტესობა (72.3%) სკოლას არჩევს საჯარო სკოლებს შორის. საზოგადოება გამიჯნულია და საკუთარი სოციალური გარემო აქვს შექმნილი, რომლებსაც კერძო/სახელმწიფო განათლების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებები აქვს. განათლების თემა ძალიან აქტუალურია ორივე „ჯგუფისათვის“ და ახლობლებთან ყოველდღიური განსახილველი თემაა (კერძო 20,8% და საჯარო 20,5% ყოველდღე საუბრობს განათლების საკითხებზე ახლობლებთან). რამდენადაც, მშობლები ძირითადად თავისი „ჯგუფის ადამიანებთან ურთიერთობენ, შესაბამისად „ჯგუფის“ შიგნით ხდება ერთმანეთის ინფორმირება. ამავე დროს, კვლევის დემოგრაფიულმა კითხვების ბლოკმა აჩვენა მნიშვნელოვანი განსხვავება კერძო და სახელწმიფო სკოლის მშობლების განათლებას, შემოსავლებს და დასაქმების სტატუსს შორის. ეს სამი ფაქტორი დადებით კორელაციაშია - კვლევის მონაცემების მიხედვით, რაც მეტია განათლების ხარისხი და მეტია ოჯახის შემოსავალი, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ მშობელი შვილს კერძო სკოლაში მიიყვანს.

მშობლების ასაკის გაანალიზებამ აჩვენა, რომ მშობლის ასაკსა და კერძო/სახელმწიფო სკოლის არჩევანს შორის რაიმე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ დადასტურდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მშობლის ასაკს არ აქვს გავლენა სკოლის არჩევანზე. ასევე გამოჩნდა, რომ არანაირი კავშირი სკოლის არჩევასა და მშობლების რელიგიურ შეხედულებებს შორის არ არსებობს.

როგორც შედეგები აჩვენებს, კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლებისათვის არჩევანის გაკეთებისას, წამყვანი ფაქტორი იყო სწავლის კარგი პირობები და მაღალი ხარისხის სწავლება, რასაც მოყვებოდა უსაფრთხო გარემო და მშობლის კომფორტი (დამატებითი მომსახურებები, ტრანპორტირება, გახანგრძლივებული სწავლება). საჯარო სკოლის მშობლისთვის, არჩევანის

გასაკეთებლად, მთავარი იყო ფინანსური მისაწვდომობა, რასაც მოყვებოდა ტერიტორიული სიახლოვე და სწავლისათვის კარგი პირობები. როგორც ვხედავთ, ეს შედეგები ძირითადად ემთხვევა ლიტერატურის მიმოხილვაში განხილულ მსოფლიოს მაგალითებს და თეორიებს.

საინტერესოა შევადაროთ მშობლების მოლოდინები და რეალური შედეგების შეფასება.

ჩვენი შედეგები აჩვენებს, რომ კერძო სკოლის მოსწავლეების მშობლების ფულს იხდიან შვილების უსაფრთხოებასა და ემოციური კომფორტისათვის, ხოლო ხარისხიანი განათლება მხოლოდ მესამე ადგილს იკავებს. მშობლების თითქმის ნახევარს სჯერა, რომ მათი შვილები ხარისხიან განათლებას იღებენ. ეს კი გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ მეორე ნახევარი, ბოლომდე არ არის დარწმუნებული, რომ მათ მიერ შერჩეული სკოლა, რომელშიც მშობლები ფულს იხდიან, აძლევს საუკეთესო განათლებას მათ შვილებს. პასუხი „სკოლა იძლევა ყველაფერს წარმატებული მომავლისათვის“ მეოთხე ადგილზეა და მშობელთა ასევე ნახევარი თვლის ასე.

საჯარო სკოლის მშობლების პასუხები ამ მხრივ კიდევ უფრო პესიმისტურია - მათი 2/3 არ არის დარწმუნებული, რომ სკოლა იძლევა სათანადო განათლებას და ცოდნას, ხოლო 4/5 -ს არ სჯერა, რომ სკოლა იძლევა ყველაფერს წარმატებული მომავლისათვის.

საკუთარი არჩევანის სისწორეში კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლები უფრო მეტად არიან დარწმუნებული, საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლებთან შედარებით.

კერძო სკოლების შემთხვევაში მშობელი დარწმუნებულია, რომ:

- სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს
- მოსწავლე თავს კარგად გრძნობს არჩეულ სკოლაში
- სკოლა უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლებით
- სკოლა აძლევს ყველაფერს წარმატებული მომავლისთვის

საჯარო სკოლების შემთხვევაში რიგითობა და პროპორციები სხვაა - მშობელი დარწმუნებულია რომ:

- მოსწავლე თავს კარგად გრძნობს არჩეულ სკოლაში
- სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს
- სკოლა უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლებით
- სკოლა აძლევს ყველაფერს წარმატებული მომავლისთვის

განსხვავებული მიდგომებისა და შეფასებების მიუხედავად კერძო და საჯარო სკოლების მოსწავლეების მშობლების თითქმის ნახევარი (43% და 57% შესაბამისად) აცხადებს, რომ რეპეტიტორების და ოჯახის წევრების დახმარების გარეშე შეუძლებელია უზრუნველყო შვილების ხარისხიანი განათლება.

ის, რომ სკოლა ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს, ჩანს კიდევ ერთი მონაცემიდან - კითხვაზე თუ სად იღებს ცოდნას მოსწვალე, მშობლები სოლასთან ერთად ასახელებენ ოჯახს და რეპეტიტორებს.

ეს შედეგები მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა ჩვენ მეოთხე დაშვებას, კერძოდ კი იმ ნაწილში, რომ ვერც კერძო და ვერც საჯარო სკოლები ვერ აკმაყოფილებენ სრულად მშობლის მოთხოვნებს. აქ კი გავდივართ ლიტერატურის მიმოხილვაში განხილულ Blake (2021) მოსაზრებაზე, მშობელთა არარეალური მოლოდინების შესახებ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მშობლების ინფორმაციის ძირითადი წყარო ახლობლებია, საინტერესოა გამოკითხული მშობლების გამოცდილება შეცვლის თუ არა მათი ახლობლების გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმებს და სტრუქტურას. შეიძლება ითქვას, რომ ეს სავსებით შესაძლებელია გახდეს შემდგომი კვლევების საგანი.

როგორც კერძო, ისე საჯარო სკოლის მშობლები, ცდილობენ ცოდნის არსებული დეფიციტი შეავსონ კერძო რეპეტიტორებით და სახლში მეცადინეობით. კვლევის შედეგები გვიჩვენებს,

რომ საჯარო სკოლის მოსწავლეები უფრო მეტად დადიან რეპეტიტორებთან, ვიდრე კერძო სკოლის მოსწავლეები. თუმცა, როდესაც საქმე ეხება ხელოვნებას, სპორტს და სხვა კლასგარეშე აქტივობებს, აქ უკვე კერძო სკოლის მოსწავლეები „ლიდერობენ“. შესაბამისად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საჯარო სკოლის მშობლები დამატებით ფულს სწავლისთვის ხარჯავენ, ხოლო კერძო სკოლის მშობლები კი მიიჩნევენ, რომ ამისთვის ფული უკვე გადაიხადეს და დამატებითი თანხები შვილების გართობას, ფიზიკურ და სულიერ განვითარებას უნდა მოახმარონ. აქვე დავამატებთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლების ნაკლები პროცენტული რაოდენობა ამზადებს შვილს დამატებით, ისინი საშუალოდ ამ მიზნისთვის ხარჯავენ 2-ჯერ უფრო მეტს საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლებთან შედარებით.

ისმის ლოგიკური კითხვა, რატომ იხდიან კერძოს სკოლის მოსწავლეების მშობლები ფულს (ხშირად საკმაოდ ბევრს საკუთარ შემოსავლებთან მიმართებაში), თუ არ არიან დარწმუნებულები, რომ მიიღებენ მაღალი ხარისხის განათლებას? პასუხი შეიძლება ვიპოვოთ ზემოთ ჩამოთვლილ პრიორიტეტებში - მშობლებს უპირველეს ყოვლისა აინტერესებთ უსაფრთხოება, შემდეგ შვილების ემოციური კომფორტი და მხოლოდ ამის შემდეგ განათლების ხარისხი და მომავლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენა და აქ ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ჩვენი კვლევის შედეგების მსგავსება ლიტერატურის მიმოხილვაში აღწერილ კისიდა და ვოლფის (Kisida and Wolf, 2015) დაშვებებთან.

თეორიულად შესაძლებელია, რომ რესპონდენტებისთვის შეთავაზებულ სხვადასხვა ფაქტორებს (38 ფაქტორი, რომლებიც აღწერილია „კვლევის შედეგებში“) ჩვენ უნებლიედ გამოვტოვეთ კრიტერიუმები, რომლებიც აგვიხსნიდა რატომ შეყავთ მშობლებს შვილები საჯარო სკოლებში, მაშინაც კი თუკი აქვთ არჩევანი.

ამ დაშვების შესამოწმებლად კითხვარში ჩავდეთ ორი ღია კითხვა: რა მახასიათებლებით სჯობს ზოგადად კერძო სკოლა საჯაროს? და რა მახასიათებლებით სჯობს ზოგადად საჯარო

სკოლა კერძოს? პასუხები შემდეგი იყო: კერძო სკოლის შემთხვევაში გამოარჩევდნენ შემდეგ ფაქტორებს: ხარისხიან განათლებას, მოსწავლეთა მცირე რაოდეობას, უსაფრთხო გარემოს და მასწავლებელთა მხრიდან უკეთეს დამოკიდებულებას, ხოლო საჯარო სკოლების შემთხვევაში აქცენტს ტერიტორიულ სიახლოესა და გადასახადის არ არსებობაზე აკეთებენ.

შეგვიძლია დავუშვათ, რომ საჯარო სკოლების მოსწავლეების მშობელთა უმეტესობა უბრალოდ ვერ შეწვდება კერძო სკოლების გადასახადს და შესაბამისად მათი მიერ საჯარო სკოლის არჩევა უბრალოდ იძულებითი ნაბიჯია. ამ მხრივ საქართველოს მდგომარეობა არ განსხვავდება Bosetti (2007) მიერ აღწერილ „უალტერნატივო არჩევითობის“ მაგალითებისგან. აქვე უნდა დავამატოთ, რომ ზოგადად კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლები უფრო მეტად თვლიან რომ საქართველოში არის საკმარისი არჩევანი სკოლებს შორის, ვიდრე საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლები.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეების მშობლებს სასკოლო განათლების და შვილების მომავალისათვის სკოლის როლზე განსხვავებული შეხედულება და მოლოდინები აქვთ. ეს კი მთლიანად ემთხვევა ჰეთჩერის (Hatcher 1998) მიერ გაკეთებულ დასკვნებს და მოყვანილ მაგალითებს.

1. რადგან ჩვენი მონაცემი არ იძლევა ზუსტი ინტერპრეტაციის საშუალებას, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ეს გამომდინარეობს საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეთა ოჯახების სრულიად განსხვავებულ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობიდან. ერთი დასკვნა აშკარაა, მეტი შემოსავალი იძლევა მეტ შესაძლებლობებს და ზრდის არჩევანს. ის, რომ არ გვაქვს საკმარისი მასალა ამ დასკვნის ბოლომდე განსამტკიცებლად ჩვენი კვლევის ერთ-ერთი შეზღუდვა და მომავალი კვლევების კიდევ ერთი შესაძლო საკითხია. თუმცა წინა თავში განხილული შედეგები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ სკოლის არჩევანი მნიშვნელოვნადაა

დაკავშირებული მშობლების განათლებასთან და შემოსავლის რაოდენობასთან და ეს შედეგები ემთხვევა ჩვენს მესამე დაშვებას (რაც მეტია მშობლების განათლების ხარისხი და მეტია ოჯახის შემოსავალი, მით მეტია ალბათობა იმისა რომ მშობელი შვილს კერძო სკოლაში მიიყვანს, რადგან ეს უკეთეს განათლებასთან არის ასოცირებული) და რობერშოუს (Robershaw and etc. 2022) დასკვნებს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ჩვენ გამოვიკვლიეთ, უკავშირდებოდა სკოლის გამოცვლის სურვილს. საჯარო სკოლის მშობლების შემთხვევაში გადაყვანის მომხრე სამჯერ მეტია და მათ უმეტესობას ბავშვების კერძო სკოლაში გადაყვანა სურს. ამ მხრივ ჩვენი შედეგები ემთხვევა ბოსეტის (Bosseti 2007) კვლევის შედეგებს. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ საჯარო სკოლების მშობლები, რომლებიც არ ემხრობიან შვილის გადაყვანას სხვა სკოლაში, ამას ორი არგუმენტით ამყარებენ:

- თვლიან რომ „ყველა სკოლა მეტ-ნაკლებად ერთნაირია“ ამიტომ გადაყვანას „დიდი აზრი არ აქვს“.
- საჯარო სკოლებში იძენენ მდიდარ სოციალურ გამოცდიებას, რამდენადაც სხვადასხვა ტიპის ადამიანებთან აქვთ ურთიერთობა რაც წარატებული მომავლის აუცელებელი პირობაა.

როგორც ვხედავთ, ორივე ეს არგუმენტი გარკვეულწილად ემთხვევა სკოლის არჩევანის თეორიის მოწინააღმდეგეების არგუმენტებს, რომლებიც ლიტერატურის მიმოხილვისას განვიხილეთ.

სკოლის შეცვლის მომხრეთა შორის, საჯარო სკოლის მოსწავლეთა გადასვლის ძირითადი მიზეზი, როგორც პირველადი არჩევის შემთხვევაში, ისევ ტერიტორიული სიახლოვე აღმოჩნდა, ხოლო კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლებისათვის, სკოლის შეცვლის მიზეზი სწავლების უკეთესი ხარისხის ძიებაა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც განვიხილეთ - ის სტერეოტიპული შეხედულებებია (როგორც დადებითი, ისე უარყოფითი), რომლებიც არსებობს კერძო და საჯარო სკოლების მოსწავლეებსა და მასწავლებლების შესახებ.

კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ „დადებითი“ თვისებები მიეწერება კერძო სკოლის მასწავლებელს და მოსწავლეს, ხოლო „უარყოფითი“ თვისებები კი საჯარო სკოლის მასწავლებელს და მოსწავლეს. ასე მაგალითად, კერძო მოსწავლეთა პერსონოფიცირებული თვისებებია: ცოდნა, სწავლის მოტივაცია, გამოხატვის თავისუფლება, თვითდაჯერება/მაღალი თვითშეფასება, თანამედროვეობა, წარმატებისკენ სწრაფვა, შინაგანი სილაღე. საჯარო სკოლის მოსწავლეთა პერსონოფიცირებული თვისებები კი კონფლიქტურობა, მაღალი შფოთვის დონე და ამბიციურობა.

იგივე ლოგიკა მეორდება მასწავლებლების შემთხვევაშიც. კერძო სკოლის მასწავლებელთა პერსონიფიცირებული თვისებები: სამართლიანობა, ყურადღებიანობა, ლოიალურობა, თავაზიანობა, ბავშვებთან ურთიერთობის ცოდნა, განვითარების უნარი. ამის საპირისპიროდ, კერძო სკოლის მასწავლებელთა პერსონიფიცირებული თვისებებია: სიუხეშე ურთიერთობებში, მოსწავლეთა დასჯა და შიშის დათესვა, სიტყვიური შეურაცხოფის მიყენება და ა.შ.

ინფორმაციის შეგროვების მხრივ კვლევამ აჩვენა, რომ სკოლის შერჩევის პროცესში, კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლების ინფორმირებულობის ხარისხი სკოლის სხვადასხვა ასპექტის შესახებ საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლებთან შედარებით <u>განუზომლად მაღალია</u>. ეს განპირობებულია რამოდენიმე წინაპირობით:

- რამდენადაც არჩევანის მრავალფეროვნება უფრო მეტად კერძო სექტორშია, მშობლები უფრო მეტად არიან დაინტერესებული მოიპოვონ/შეაგროვონ

ინფორმაცია სკოლების შესახებ, რამდენადაც უნდა შეარჩიონ მათთვის ყველაზე მისაღები როგორც პირობების, ისე გადასახადის ზომის გათვალისწინებით. ამიტომ, კერძო სკოლის მოსწავლის მშობელი, უფრო მეტად მოტივირებულია არჩევის პროცესში, ვიდრე საჯარო სკოლის მოსწავლის მშობელი;

- სოციალური და კულტურული კაპიტალის განსხვავებულობის გამო, კერძო სკოლის მშობლებს უფრო მიუწვდებათ ხელი კვალიფიციურ ინფორმაციაზე;

- კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლები იხდიან თანხას, შესაბამისად მათი დამოკიდებულება უფრო მომთხოვნია მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის მიმართ, მათ შორის ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარეობს კერძო სკოლის მოსწავლეების მშობლების ინფორმირების ხარისხი მნიშვნელოვნად მაღალია საჯაროს სკოლის მოსწავლეების მშობლებთან შედარებით.

კვლევის შედეგები რომ შევაჯამოთ, კვლევა გვიჩვენებს საჯარო და კერძო სკოლების მშობლებს შორის არსებულ აშკარა სხვაობას, თუ რა პერიოდში დაიწყეს ფიქრი შვილების განათლებაზე. 1 წლამდე ასაკისათვის კერძო სკოლის მშობლების 75% და სახელმწიფო სკოლის მოსწავლეთა მშობლების 25% ფიქრობდნენ, რომელი სკოლა აერჩიათ საკუთარი შვილისათვის. საშუალო ასაკი, როდესაც პირველად დაიწყეს სკოლის არჩევაზე ფიქრი კერძო სკოლის მშობლებისათვის არის შვილის 1-დან 2 წლამდე ასაკი, ხოლო სახელმწიფო სკოლისათვის ეს ასაკი 3-დან 4 წლამდეა.
ყოველივე ეს შეესაბამება ჩვენს მოლოდინებს (იხ. დაშვება 1 და 2) და ასევე ლიტერატურის მიმოხილვაში განხილულ შემთხვევებს (იხ.(Smrekar & Goldring, (1999), Davies and Aurini (2011), Bosetti and Pyryt (2007)).

როგორც ავღნიშნეთ, კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ მიღებული ცოდნის დონესა და შეძენილი უნარ-ჩვევების შედარება მკვლევარებს შორის ფართო დისკუსიის

საგანია. უმეტესობა თანხმდება, რომ კერძო სკოლებს ამ მხრივ დიდი უპირატესობაა აქვს საჯარო სექტორთან შედარებით. კოლმენის (Coleman, Hoffer, and Kilgore (1982)) მიერ ჩატარებული კვლევები ასევე უჩვენებს ამ უპირატესობას და ასევე კავშირს სკოლის არჩევანსა და მოსწავლეთა განსხვავებულ სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობას შორის. ჩვენი კვლევა იძლევა ამ დასკვნის გამეორების საშუალებას. კვლევის მონაცემი უჩვენებს, რომ სკოლის არჩევანი მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული მშობლების განათლებასთან და შემოსავლის რაოდენობასთან. ეს შედეგები შეესაბამება ჩვენს მესამე დაშვებას.

მოსწავლეთა სქესი, ასევე თამაშობს მნიშვნელოვან როლს სკოლის შერჩევის პროცესში. როგორც კერძო ასევე საჯარო სკოლაში ბიჭების რაოდენობა სჭარბობს გოგონების რაოდენობას. კერძო სკოლაში ეს განსხვავება უფრო მეტად საგრძნობია. ამ მხრივ ჩვენი კვლევა იმეორებს ბელანისა და ორტიზ-გერვასის (Belanni და Ortiz-Gervasi 2022) დასკვნებს.

საკითხი, რომელიც გამოჩნდა ჩვენს კვლევაში და არ გვხვდება სხვა მკვლევარებსა თუ ავტორებთან, არის ოჯახში სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვების ოდენობის გავლენა სკოლის არჩევანზე. კვლევამ აჩვენა, რომ არსებობს მცირე კავშირი ოჯახში 18 წლამდე ასაკის შვილების რაოდეობასა და მშობლის არჩევანს შორის - რაც მეტია ოჯახში ბავშვების რაოდენობა, მით მეტია შანსი, რომ ისინი საჯარო სკოლაში ისწავლიან. შვილების რაოდენობა რა თქმა უნდა გავლენას ახდენს ოჯახის ეკონომიურ მდგომარეობაზე - საჯარო სკოლის მოსწავლეთა ოჯახები საშუალოდ 4.58 წევრისგან შედგება, ხოლო კერძოს სკოლის მოსწავლეთა ოჯახები კი საშუალოდ 4.44 წევრისგან. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ფაქტორი განსაზღვრავს ან როგორც მინიმუმ კორელაციაში ოჯახის ფინანსურ შესაძლებლობებთან და შესაბამისად ვუბრუნდებით მესამე დაშვებას და ზემოაღნიშნულ თეორიებს.

როგორც ვნახეთ, კერძო სკოლის მშობლები, უფრო ჩართულები არიან სკოლაში მიმდინარე პროცესებში. ამ ჩართულობას საჯარო სკოლების შემთხვევაში თავად ადმინისტრაცია და

მასწავლებლებიც ახალისებენ. ჩაბის და მოეს (Chubb and Moe 1990) თანახმად, კერძო სკოლები აქტიურები არიან მშობლებთან კომუნიკაციასა და თანამშრომლობაში. ეს ლოგიკურიცაა, რადგან საჯარო სკოლებისგან გასხვავებით მშობლები და მოსწავლეები კერძო სკოლებისთვის ცენტრალური ფიგურები არიან. თავად სკოლაა დაინტერესებული მეტი მოსწავლე მოიზიდოს და შესაბამისად მეტი ინფორმაცია მიაწოდოს მშობელს სკოლის შერჩევის პროცესში. იგივე ლოგიკა მუშაობს სკოლის მართვასა და დაგემვაში დაინტერესებული მშობლის ჩართვის შემთხვევაშიც.

იგივე ავტორების მიხედვით, სახელწიფო სკოლა სახელმწიფოს პოლიტიკის პროდუქტია და კონტროლდება სახელწიფო ადმინისტრაციისა და დემოკრატილი კონტროლის იერაქიული სისტემის მიერ. პოლიტიკა, რომლიც იწარმოება სახელწიფო სკოლებთან მიმართებაში წარმოადგენს ადმინისტრაციის სხვადასხვა იერარქიული რგოლის ინტერესების ბრძოლისა და შეჯერების შედეგს. კონფლიქტი და დისჰარმონია სისტემის საფუძველია. ლოგიკურად სკოლები იგივე პროდუქტს სთავაზობს მშობლებს და შედეგად სკოლის მართვაში მშობლის და მოსწავლის როლი მინიმალურია. შესაბამისად სკოლა არ არის დაინტერესებული მიაწოდოს მეტი ინფორმაცია მშობელს და ითანამშრომლოს მასთან. უფო მეტიც, საჯარო სკოლის ადმინისტრაცია აქტიურ მშობელში არსებული წესრიგისთვის პოტენციულ საფრთხეს და პრობლემას ხედავს.

საჯარო სკოლის მშობლები ცდილობენ სკოლის მინუსები შეავსონ კერძო გაკვეთილებით და „ოჯახში მიღებული ცოდნით“. ეს კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ მშობლები, ზოგადად დაინტერესებულები არიან თავისი შვილების მომავლის უზრუნველყოფით, თუმცა სოციო-ეკონომიკური პირობები, გარემო, განათლების სისტემის გაუმართაობა ზღუდავს მათ არჩევანს. და ბოლოს, თუკი ჩვენი კვლევის შედეგებს შევადარებთ არსებულ ლიტერატურას და თეორიას, დავასკვნით, რომ საქართველოში ჩატარებული ჩვენი კვლევა მიყვება განვითარებად ქვეყნების ტენდენციას, რომელიც ცნობილია, როგორც "ჰაიმანისა და ლოქსლის ეფექტი ".

2.6 დასკვნები

როგორც ავღნიშნეთ, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა სკოლის არჩევის პროცესის შესწავლა-აღწერა, კვლევა ფოკუსირებული იყო მშობლის მიერ ორი სექტორის კერძო და საჯარო სკოლის არჩევის ფაქტორებისა და მათი ურთიერთკავშირების დანახვაზე. მთავარ კვლევით კითხვებს წარმოადგენდა: 1. რამდენად არიან დაინტერესებულები მშობლები აქტიურად ჩაერთონ ბავშვის სკოლის არჩევის პროცესში და დაუთმონ ამას დრო? 2. რა ფაქტორებს ითვალისწინებენ მშობლები სკოლის არჩევისას და საიდან იღებენ ინფორმაციას? 3. ახდენს თუ არა ოჯახის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა და ბავშვის სქესი ამ პროცესზე გავლენას.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის შედეგები ძირითადში ემთხვევა სკოლის არჩევანის თეორიის არგუმენტებს და ამ სფეროში ჩატარებულ კვლევების მიგნებებს, რომლებიც აღწერილი გვაქვს სტატიის პირველ ნაწილში. არსებული მონაცემების საფუძველზე გამოთქმული ვარაუდები ინფორმაციის წყაროს, მშობელთა ინფორმულობის დონესა და დაინტერესება/ჩართულობაზე, აგრეთვე ოჯახის სოციო-ეკონომიკური და დემოგრაფიული მაჩვენებლების გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის შესახებ გამართლდა.

3. ბიბლიოგრაფია

Allison, D. J. *School choice in Canada: Diversity along the wild–domesticated continuum*. *J. Sch. Choice* 9, (2015). 282–309. doi: 10.1080/15582159.2015.1029412

Aldrich, Richard *Introduction. In R. Aldrich (Eds.), Public or Private Education?* Lessons from History. London, UK: Woburn Press, (2004*).*

Angrist J.D., Bettinger E., Kremer M., *Long-Term Educational Consequences of Secondary School Vouchers: Evidence from Administrative Records in Colombia*. American Economic Review 96(3) (2006): 847-862. DOI:10.1257/aer.96.3.847

Baker, D. P., Goesling, B., and LeTendre, G. K. Socioeconomic status, school quality, and national economic development: A cross-national analysis of the "heyneman–loxley effect" on mathematics and science achievement. *Corp. Educ. Rev.* 46, (2002): 291–312. doi: 10.1086/341159

Belfield, C. R., and Levin, H. M. *The effects of competition between schools on educational out comes: A review for the United states*. *Rev. Educ. Res.* 72:279. (2002).

Bellani, D., and Ortiz-Gersavi, L. *Parental time preferences and educational choices: The role of children's gender and of social origin*. Ration. Soc. 34, (2022): 96–125. doi: 10.1177/10434631221074689

Berner, A. R. *Pluralism and American public education.* New York, NY: Palgrave Macmillan. (2016). doi: 10.1057/978-1-137-50224-7

Blake, B., and Mestry, R. *The influence of parental demographics on school choice decision-making in Western Gauteng, South Africa*. S. Afr. J. Educ. 41, 1–13. (2021). doi: 10.15700/saje.v41n3a1958

Bosetti, L. *Determinants of school choice: Understanding how parents choose elementary schools in Alberta*. J. Educ. Policy 19, (2004): 387–405. doi: 10.1080/0268093042000227465

Bosetti, L. *Determinants of school choice: Understanding how parents choose elementary schools in Alberta*. J. Educ. Policy 19, (2007): 387–405.

Bosetti, L., and Pyryt, M. C. *Parental motivation in school choice: Seeking the competitive edge.* J. Sch. Choice 1, (2007): 89–108. doi: 10.1300/15582150802098795

Bourdieu, P. "*The forms of capital,*" in *Handbook of theory and research for the sociology of education*, ed. J. Richardson (Westport, CT: Greenwood), (1986): 241–258.

Caucasian Barometer *Caucasus research resource centers.* (2010-2016). Available online at: https://caucasusbarometer.org/en/datasets/

Chubb, J. E., Moe, T. M. *Politics, market and America's schools.* Washington, DC: Brookings Institution. (1990).

Chubb, J. E., and Moe, T. M. *Politics, markets, and the organization of schools*. Am. Polit. Sci. Rev. 82, (1988): 1065–1087. doi: 10.2307/1961750

Clune, W. "*Systemic educational policy: A conceptual framework," in* *Designing coherent education policy.* Improving the system, 1st Edn, ed. S. Fuhrman (San Francisco, CA: Jossey Bass), (1993): 125–140.

Coleman, J., Hoffer, T., and Kilgore, S. *Cognitive outcomes in public and private schools.* Sociol. Educ. 55, (1982): 65–76. doi: 10.2307/2112288

Coleman, J.S. *Social Capital in the Creation of Human Capital.* American Journal of Sociology (Supplement), 94, (1988) http://dx.doi.org/10.1086/228943

Corcoran, S. P., and Jennings, J. L. "*Information and school choice," in* *Handbook of research on school choice*, 2nd Edn, eds M. Berends, A. Primus, and M. G. Springer (New York, NY: Routledge), (2020): 365–378. doi: 10.4324/9781351210447-26

Cox, D., and Jimenez, E. *The Relative Effectiveness of Private and Public Schools: Evidence from Two Developing Countries.* Living Standards Measurement Study Working Paper 60. Washington, D.C.: World Bank. Also in Journal of Development Eco nomics 34 (1989-1990): 99-**121.**

Davies, S., and Aurini, J. *Exploring school choice in Canada: Who chooses what and why?* Can. Public Policy 37, (2011): 459–477. doi: 10.3138/cpp.37.4.459

Driscoll, M. E., and Kerchner, C. T. *"The implications of social capital for schools, communities, and cities: Educational administration as if a sense of place mattered,"* Handbook of research on educational administration, 2nd Edn, eds J. Murphy and K. S. Louis (San Francisco, CA: Jossey-Bass), (1999): 3385–3404.

Erickson, H. H. *How do parents choose schools, and what schools to they choose?* J. Sch. Choice 11, (2017). 1–16.

Fowler, F. C. (2002). The great school choice debate. *Clear. House* 76, 4–7. doi: 10.1080/00098650209604937

Frances C. Fowler *Policy Studies for Educational Leaders: An Introduction (3rd Edition)* The Allyn & Bacon Educational Leadership Series (2008)

Friedman, M. *"The role of government in education," in Economics and the public interest,* ed. R. A. Solo (New Brunswick, NJ: Rutgers University Press), (1955): 123–144.

Friedman, M., and Friedman, R. D. *Free to choose: A personal statement.* Boston, MA: Mariner Books. (1980).

Fuller, B., Elmore, R., and Orfield, G. *"Policy-making in the dark: Illuminating the school choice debate," in Who chooses? Who loses?, eds* B. B. Fuller, R. Elmore, and G. Orfield (New York, NY: Teachers College Press), (1996): 1–21.

Fuller, B., Clarke, P., 1994. *Raising school effects while ignoring local culture? Local conditions and the influence of classroom tools, rules, and pedagogy*. Reviewof Educational Research 64, 119–157.

Catsambis, S., *Expanding the Knowledge of Parental Involvement in Secondary Education: Effects on High School Academic Success***.** Center for Research on the Education of Students Placed At Risk, Baltimore, MD. (1998)

Coons, J., & Sugarman, S. *A case for choice. In Parents, teachers, and children.* San Francisco, CA: Institute for Contemporary Studies. (1977).

Cookson, P. S. *Book Reviews. Adult Education Quarterly*, 44(2), (1994): 118–121. https://doi.org/10.1177/074171369404400208

Gewirtz, S., Ball, S., and Bowe, R. *Markets, choice and equity in education.* Buckingham: Open University Press. (1995).

Glenn, C. L. *Educational freedom in Eastern Europe.* Washington, DC: CATO Institute(1995).

Goldring E. and K.J. Rowley. (2006*). Parent Preferences and Parent Choices: The Public-Private Decision about School Choice.* Paper presented at the Annual Meeting of the American Educational Research Association. San Francisco California (2006).

Goodwin, M. *Choice in public services: Crying "Wolf" in school choice debate. Polit. Q.* 80, (2009): 270–281. doi: 10.1111/j.1467-923X.2009.01974.x

Goyette, K. A. *Race, social background, and school choice options*. Equity Excell. Educ. 41, (2008): 114–129. doi: 10.1080/10665680701774428

Grant, N. *Soviet education*. Harmondsworth: Penguin. (1979).

Griggs, S., A. *Counseling for Individual Learning Styles*. Journal of Counseling & Development, 64 (1985): 202-205. https://doi.org/10.1002/j.1556-6676.1985.tb01074.x

Goldring, E., Hausman, C., *Parent Involvement, Influence, and Satisfaction in Magnet Schools: Do Reasons for Choice Matter?*) The Urban Review 32(2) (2000): 105-121 DOI:10.1023/A:1005121214860

Goldring E. and K.J. Rowley. *Parent Preferences and Parent Choices: The Public-Private Decision about School Choice.* Paper presented at the Annual Meeting of the American Educational Research Association. San Francisco California (2006).

Harris, D. M., and Larsen, M. F. *What schools do family wants (and why)? School demand and information before and after the New Orleans Post-Katarina school reforms.* New Orleans, LA: Education Research Alliance for New Orleans. (2015).

Hanushek, Eric. *"The Economics of Schooling: Production and Efficiency in the Public Schools."* Journal of Economic Literature 25 (1986).

Hatcher, R. *Class differentiation in education: Rational choices?* Br. J. Educ. 19, (1998): 5–24. doi: 10.1080/0142569980190101

Hepburn, C. (ed.). *Can the market save our schools?* Vancouver: Fraser Institute. (2001).

Hess, F. M. *"A market for knowleage?,"* in Hand book of education policy research, eds G. Sykes, B. Schneider, and D. N. Plank (New York, NY: Routledge). (2009).

Heyneman, S. P., and Loxley, W. A. *The effect of primary-school quality on academic achievement across twenty-nine high- and low-income countries*. Am. J. Sociol. 88, (1983): 1162–1194. doi: 10.1086/227799

Hoxby, C. M., and Rocko, J. E. *The Impact of Charter Schools on Student Achievement.* Department of Economics, Harvard University, Cambridge, MA 02138. (2004).

Hoxby, C. M *The Effects of Class Size and Composition on Student Achievement: New Evidence from Natural Population Variation.* WORKING PAPER 6869. (1998) DOI 10.3386/w6869

Jabbar, H., and Lenhoff, S. W. *"Parent decision-making and school choice,"* in Handbook of research on school choice, 2nd Edn, eds M. Berends, A. Primus, and M. G. Springer (New York, NY: Routledge), (2020): 351–364. doi: 10.4324/9781351210447-25

Kisida, B., and Wolf, P. J. *Customer satisfaction and educational outcomes: Experimental impacts of the market-based delivery of public education*. Int. Public Manag. J. 18, (2015): 265–285. doi: 10.1080/10967494.2014.996629

Klonsky, M., *Small Schools: The Numbers Tell a Story. A Review of the Research and Current Experiences.* Chicago: University of Illinois, College of Education, (1995): 24. ED 386 517.

Jimenez, E., and Lockheed, M. E., eds. *Private vs. Public Education: An International Perspective.* Special issue of International Journal of Educational Research 15. (1991).

Jimenez, E., and Lockheed, M. E., eds. 1989. *"School Effects and Costs for Private and Public Schools in the Dominican Republic."* Policy, Planning, and Research Working Paper 288. World Bank, Population and Human Resources Depart ment, Washington, D.C. Processed. Also in International Journal of Educational Research 15 (1991).

Jimenez, E., and Lockheed, M. E., Wattanawaha N.. "*The Relative Efficiency of Public and Private Schools: The Case of Thailand."* World Bank Economic Review 2, no. 2, (1988): 139-64.

Jimenez, Emmanuel, Vicente Paqueo, and Maria Lourdes de Vera. *"Student Performance and Schools Costs in Private and Public High Schools in the Philippines."* Policy, Planning, and Research Working Paper 61. World Bank, Population and Human Resources Department, Washington, D.C. Processed. (1988).

Lauen, D. L. *Contextual explanations of school choice*. Sociol. Educ. 80, (2007): 179–209. doi: 10.1177/003804070708000301

Lee, I., Jilke, S., and James, O. *Do more options always benefit the users of public services? An experimental study of school choice, performance and satisfaction*. *Public Adm. Rev.* 81, (2021): 110–210. doi: 10.1111/puar.13271

Levin, HM.. *Thoughts on for-profit schools.* Occasional Paper, National Center for the Study of Privatization in Education, www.ncspe.org (2001)

Levin, H. M. *Studying Privatization in Education. In H. M. Levin (Eds.), Privatizing Education; Can the Marketplace Deliver Choise, Efficiency, Equity, and Social Cohesion*. Cambridge, MA: Westview Press. (2001).

Lee, Valerie E., and Julie B. Smith. *"High School Size: Which Works Best, and for Whom?"* Draft. Paper presented at the annual meeting of the American Educational Research Association, New York, April (1996). 51 pages. ED 396 888.

Levin, H. R. *"An economic perspective on school choice," in* Handbook of research on school choice, *eds* M. Berends, M. G. Springer, D. Ballou, and H. J. Walberg (New York, NY: Routledge), (2009): 37–52.

Lewis, L., and Patrinos, H. A.. *Impact evaluation of private sector participation in education.* Reading: CfBT Education Trust. (2012)

Long, D.A., 2006. *School resources, school organization, autonomy, and achievement in Latin America. Ph.D. dissertation, The University of WisconsinMadison, United States–Wisconsin*.

Retrieved March 4, 2009, from Dissertations Theses: Full Text database. Publication No. AAT 3234813.

Merrifield, J. *The twelve policy approaches to increased school choice*. J. Sch. Choice 2, (2008): 4–19.

Musset, P. *"School Choice and Equity: Current Policies in OECD Countries and a Literature Review", OECD Education Working Papers*, No. 66, OECD Publishing, Paris, https://doi.org/10.1787/5k9fq23507vc-en. (2012).

National Statistics Office of Georgia *Indicators of secondary general education schools at the beginning 2019/2020 school year.* (2019). Available online at: https://www.geostat.ge/en/modules/categories/193/education

Newmann, Fred M.; Wehlage, Gary G. *Successful School Restructuring: A Report to the Public and Educators*. Center on Organization and Restructuring of Schools, Madison, WI. ED501241(1995).

OECD *Education at a Glance 2012: Highlights*, OECD Publishing. (2012), http://dx.doi.org/10.1787/eag_highlights-2012-en

Orton, J. D., and Weick, E. K. *Loosely Coupled Systems: A Reconceptualization*. The Academy of Management Review · (1990) DOI: 10.2307/258154

Peterson, P., E., Llaudet E. *"On the Public-Private School Achievement Debate."* The Program on Education Policy and Governance and KSG Faculty Research Working Paper Series, PEPG 06-02 and RWP06-036, (2006).

Private Schools Research in Georgia (2018). Available online at: https://agic.ge/wp-content/uploads/2021/04/%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98.pdf

Randall, E. V. *Private schools and public power: A case for pluralism*. New York: Teachers College, Columbia University. (1994).

Raywid, Mary Anne. *Taking Stock: The Movement to Create Mini-Schools, Schools-Within-Schools, and Separate Small Schools*. Madison, Wisconsin: Center on Organization and Restructuring of Schools, and New York: ERIC Clearinghouse on Urban Education, (1996). ED 393 958.

Rehman, N., Khan, J., Tariq, M., & Tasleem, S. *Determinants of parents' choice in selection of private schools for their children in District Peshawar of Khyber Pakhunkhwa Province*. European Journal of Scientific Research, 44, (2010): 177-187.

Riddell, A.R., 1989a. *An alternative approach to the study of school effectiveness in third world countries.* Comparative Education Review 33, 481–497.

Riddell, A.R., 1989b. *Response to Heyneman*. Comparative Education Review 33, 505–506.

Robershaw, K. L., Bradley, K. D., and Waddington, R. J. *Parents' awareness and perspectives of school choice scale: Psychometric evidence using Rasch modelling*. J. Sch. Choice 16, (2022): 275–305. doi: 10.1080/15582159.2021.2004493

Robson, W., and Hepburn, C. *Learning from suc cess: What Americans can learn from school choice in Canada*. Sch. Choice Issues Depth 1. Available online at: www.fraseramerica.org/Commerce.Web/ productfiles/LearningFromSuccess.pdf (accessed July 30, 2010). (2002).

Roth, W. M., Radford, L., and LaCroix, L. *Working with cultural-historical activity theory*. Forum Qual. Soc. Res. 13:23. (2012).

Sahoo, S. *Intra-household gender disparity in school choice: Evidence from private schooling in India.* J. Dev. Stud. 53, (2017): 1714–1730.

Schneider, M., Teske P., and Marschal M. *Choosing Schools: Consumer Choice and the Quality of American Schools* DOI:10.2307/j.ctv19rs0tt (2000)

Scheerens,J., 1999. *School effectiveness in develope and developing countries: A review of the research evidence.* World Bank paper. Retrieved November 11, 2008, http://www1.worldbank.org/education/est/resources/topic% 20papers/jaap699.doc.

Sugarman, S. D., Coons, J. E. *Education by Choice: The Case for Family Control* University of California Press, California (1978)

Smrekar, C., and Goldring, E. *School choice in urban America: Magnet schools and the pursuit of equity.* New York, NY: Teachers' College Press. (1999).

Sullo, B. *Choice theory.* Available Online at: http://www.funderstanding.com/educators/choicetheory/#sthash.rzEcCef7.dpuf [accessed April 10, 2016]. (2011).

Meyer, J.W. and Scott, W.R. *Organization and Environments: Ritual and Rationality*. Stanford University Press, Stanford (1983)

Švecová, J. *Privatization of education in the Czech Republic* International Journal of Educational Development 20(2) (2000): 127-133 DOI:10.1016/S0738-0593(99)00064-4

The General Education Voucher Funding Effectivity Research in the Context of Equality The research was conducted by Centre for Civil Integration and Inter-Ethnic Relations (CCIIR) in the frames of the East West Management Institute (EWMI) policy, advocacy, and civil society development in Georgia project (G-PAC). Washington, DC: USAID. (2014).

ტაბატაძე, გორგაძე (2014); Tabatadze, S.,Gorgadze, N. *Intercultural Sensitivity of Primary School Teachers of Georgia.* International Journal on Education and Research, 2(6), (2014): 281-300.

TIMSS (1994). *(TIMSS) is an international comparative study of student achievement.* Available online at: https://timssandpirls.bc.edu/timss2015/international-results/wp-content/uploads/filebase/full%20pdfs/T15-International-Results-in-Mathematics.pdf

TIMSS International Research of Study (2015-2016). *National assessment and examinations center.* Available Online at: https://timssandpirls.bc.edu/timss2015/international-database/

Tooley, J., *Private schools for the poor: education where no one expects it*. Education next / Fall 2005 U.S. Department of Education, National Center for Education Statistics, Private Schools: A Brief Portrait, NCES 2002–013, by Martha Naomi Alt and Katharin Peter. Washington, DC: (2005).

Yaacoba A., N., Osmanb, M., M., Bachokc, S., *An assessment of factors influencing parents' decision making when choosing a private school for their children: a case study of Selangor, Malaysia: for sustainable human capital.*, Procedia Environmental Sciences 28 (2015): 406 – 417

Van Pelt, D., Allison, P. & Allison, D. *Ontario's Private Schools: Who Chooses Them and Why?* A Fraser Institute Occasional Paper. Retrieved from TheFraser http://www.fraserinstitute.org/commerce.web/product_files/OntariosPrivateSchools.pdf (2007).

Wells, A. *In search of uncommon schools: Charter school reform in historical perspective (Part 3) charter schools as uncommon schools.* Available Online at: http://www.tcrecord.org [accessed April 23, 2003]. doi: 10.14507/epaa.v10n12.2002 (2000).

Wilkinson D., et. al. *The Accountability of Private Schools to Public Values*. The Australia Institute. (2004).

კვლევის ანგარიში „ზოგადი განათლების ვაუჩერული დაფინანსების ეფექტურობის კვლევა თანასწორობის კონტექსტში“ 2014 წელი. ჩატარდა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება“ (G-PAC) ფარგლებში. (USAID) დაფინანსებით.

4. დანართი #1 კითხვარი მშობლებისათვის

M1. გყავთ თუ არა ოჯახში ბავშვი რომელიც სწავლობს სკოლაში?

1. დიახ

2. არა (შეწყვიტეთ ინტერვიუ)

M2. თქვენს ოჯახში რამდენი ბავშვი სწავლობს სკოლაში? (ჩაწერეთ) _____

<u>ინტერვიუერს! თუ ოჯახში არის ერთზე მეტი სკოლის მოსწავლე, ესაუბრეთ იმაზე, რომელიც არის დაბალ კლასში</u>

M3. რომელ სკოლაში სწავლობს თქვენი შვილი? (ჩაწერეთ!) _____

M4. რომელ კლასში სწავლობს თქვენი შვილი? (ჩაწერეთ!) _____

M5. აღნიშნული სკოლა კერძოა თუ სახელმწიფო?

1. კერძო

2. სახელმწიფო

M5.1 რა ასაკის იყო თქვენი შვილი როდესაც დაიწყეთ იმაზე ფიქრი თუ რომელ სკოლაში შეიყვანდით? _____ (მიუთითეთ ასაკი)

M6. ფლობდით თუ არა ინფორმაციას ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების შესახებ სანამ სკოლაში შეიყვანდით ბავშვს? M7. გთხოვთ გაიხსენოთ თქვენი შვილისათვის სკოლის არჩევის მომენტი და 10 ბალიან სკალაზე შეაფასოთ დასახელებულ ფაქტორებს რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თქვენთვის სკოლის არჩევის დროს?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა — ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა

	M6.			M7. ჩაწერეთ ქულა
	დიახ	ნაწილ ობრივ	არა	
1. სკოლის გადასახადი	1	2	3	
2. ადგილმდებარეობა	1	2	3	
3. სკოლის იმიჯი/რეპუტაცია	1	2	3	
4. სკოლის აკადემიური წარმატებები	1	2	3	
5. სკოლის ინფრასტრუქტურა	1	2	3	
6. სკოლის პერსონალის/მასწავლებლების კვალიფიკაცია	1	2	3	
7. სასწავლო დღის ხანგრძლივობა	1	2	3	
8. კლასში ბავშვების რაოდენობა	1	2	3	
9. მოსწავლეებისადმი დამოკიდებულება	1	2	3	
10. ტრანსპორტირება	1	2	3	
11. კვება	1	2	3	
12. დამატებითი სწავლებები (მუსიკა, ცეკვა, სიმღერა)	1	2	3	
13. დავალებების სკოლაში მომზადება,სწავლების პროცესში მშობლის ჩართულობის საჭიროება	1	2	3	
14. რელიგიური საგნების განსაკუთრებული სწავლება	1	2	3	
15. ფარული ხარჯების არსებობა (თანხების შეკრება სხვადასხვა მიზნებისათვის, მასწავლებლების საჩუქრები და ა.შ.)	1	2	3	
16. სპორტული აქტივობები ჯანმრთელობის ხელშეწყობა	1	2	3	
17. კონკრეტული სოციალური წრის ადამიანებთან ურთიერთობა	1	2	3	
18. უსაფრთხო გარემო	1	2	3	
19. სხვა	1	2	3	
20. სხვა	1	2	3	

M8. გთხოვთ გაიხსენოთ თქვენი შვილისთვის სკოლის არჩევის მომენტში არჩევანს აკეთებდით:

1. მხოლოდ კერძო სკოლებს შორის

2. მხოლოდ სახელმწიფო სკოლებს შორის
3. როგორც კერძო ასევე სახელმწიფო სკოლებს შორის

M9. ხომ არ შეგიცვლიათ სკოლა? თუ კი როგორ?

M10. ხომ არ აპირებთ შეცვალოთ სკოლა თქვენი შვილისათვის?

	M9.	M10.
1. სახელმწიფო სკოლა შევცვალე სახელმწიფო სკოლაზე	1	1
2. სახელმწიფო სკოლა შევცვალე კერძოზე	2	2
3. კერძო სკოლა შევცვალე სახელმწიფოზე	3	3
4. კერძო სკოლა შევცვალე კერძოზე	4	4
5. არ შემიცვლია/არ ვაპირებ შეცვლას	5	5

M11. რატომ შეიცვალეთ სკოლა თქვენი შვილისათვის (მიზეზი/მიზეზები)?

1._____

2._____

3._____

M12. რატომ აპირებთ რომ შეიცვალით სკოლა თქვენი შვილისათვის (მიზეზი/მიზეზები)?

1._____

2._____

3._____

	სრულიად დარწმუნებული ვარ	მეტნაკლებად დარწმუნებული ვარ	ნაკლებად ვარ დარწმუნებული	არ ვარ დარწმუნებული	მიჭირს პასუხის გაცემა
M13. რამდენად დარწმუნებული ხართ რომ სკოლის არჩევისას სწორი არჩევანი გააკეთეთ?	1	2	3	4	5
M14. რამდენად დარწმუნებული ხართ რომ სკოლა რომელშიც თქვენი შვილი სწავლობს	1	2	3	4	5

უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლებით					
M15. რამდენად დარწმუნებული ხართ რომ სკოლა რომელშიც თქვენი შვილი სწავლობს უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს თქვენი შვილისათვის	1	2	3	4	5
M16. რამდენად დარწმუნებული ხართ რომ თქვენი შვილი თავს გრძნობს კარგად სკოლაში რომელიც თქვენ აარჩიეთ	1	2	3	4	5
M17. რამდენად დარწმუნებული ხართ იმაში რომ სკოლა აძლევს ყველაფერს თქვენს შვილს წარმატებული მომავლისთვის	1	2	3	4	5

M18. გთხოვთ შეაფასოთ თქვენი კმაყოფილება თქვენი შვილის სკოლით 10 ბალიან სკალაზე

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

M19. თქვენის აზრით მატერიალური ან სხვა ტიპის პრობლემა რომ არ არსებობდეს გადაიყვანდით სხვა სკოლაში თუ დატოვებდით იმ სკოლაში რომელშიც ახლა დადის?

1. გადავიყვანდი სხვა სკოლაში
2. დავტოვებდი იმავე სკოლაში სადაც ახლა დადის

M20. <u>(კითხეთ იმ შემთხვევაში თუ გადაიყვანდა)</u> მხოლოდ თქვენს სურვილზე რომ იყოს დამოკიდებული თქვენს შვილს გადაიყვანდით კერძო სკოლაში თუ სახელმწიფო სკოლაში?

1. კერძო სკოლაში
2. სახელომწიფო სკოლაში

M21. ამზადებთ თუ არა რომელიმე საგანში ბავშვს? თუ კი რომელ საგანში?

1. უცხო ენა

2. ქართული
3. მათემატიკა
4. ფიზიკა
5. ქიმია
6. სხვა (ჩაწერეთ) _____
7. არ ვამზადებ

M22. დაგყავთ თუ არა ბავშვი წრეებზე ან სპორტზე? თუ კი რომელზე?

1 _____ 5 _____

2 _____ 6 _____

3 _____ 7 _____

4 _____ 8 _____

M23. გთხოვთ შეაფასოთ ზოგადად საშუალო სკოლა შემდეგი კრიტერიუმებით 10 ბალიან სკალაზე

M24. გთხოვთ შეაფასოთ ზოგადად კერძო სკოლა შემდეგი კრიტერიუმებით 10 ბალიან სკალაზე

M25. გთხოვთ შეაფასოთ თქვენი სკოლა შემდეგი კრიტერიუმებით 10 ბალიან სკალაზე

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

სრულიად არ ახასიათებს სრულიად ახასიათებს

M26. თქვენი აზრით რომელია 5 ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი სკოლის შეფასებისას?

M27.რომელი იყო გადამწყვეტი ფაქტორი თქვენს მიერ სკოლის შერჩევისას? (ერთი პასუხი)

	M23. ზოგადად საშუალო სკოლა	M24 ზოგადად კერძო სკოლა	M25 თქვენი სკოლა	M26 მნიშვნელოვანი ფაქტორები	M27 გადამწყეტი ფაქტორი სკოლის შერჩევისას
1. პრესტიჟულობა /სკოლის რეპუტაცია				1	1
2. ხარისხიანი განათლება				2	2
3. შენობა/ნაგებობები				3	3
4. კომფორტი/მატერიალური ბაზა				4	4
5. სკოლის ტექნიკური აღჭურვილობა				5	5
6. მასწავლებლების დამოკიდებულება მოსწავლეებთან				6	6
7. მასწავლებლების ასაკი				7	7
8. გახანგრძლივებული სწავლება				8	8
9. მოსწავლე არ საჭიროებს დამატებით სწავლას სკოლის გარეთ/სკოლა უზრუნველყოფს ყოველდღიური მეცადინეობით				9	9
10. მოსწავლე არ საჭიროებს დამატებით მომზადებას სხვადასხვა საგნებში				10	10
11. სპორტდარბაზები სპორტული ინვენტარი				11	11
12. მასწავლებლებისცოდნა/გამოცდილება/პროფესიონალიზმი				12	12
13. სპორტული აქტივიბები ჯანმრთელობის ხელშეწყობა				13	13
14. უსაფრთხოება				14	14
15. დისციპლინა				15	15
16. დასვენების ორგანიზება				16	16
17. კლასში მოსწავლეების მცირე რაოდენობა				17	17
18. მოსწავლეების მიმართ ინდივიდუალური მიდგომა				18	18
19. უშუალო დამოკიდებულება მოსწავლესა და მასწავლებელს შორის				19	19
20. სწავლების ახალი მეთოდების დანერგვა				20	20

21. აღზრდა/პიროვნების ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა				21	21
22. ეროვნული რელიგიური და სხვა ტიპის უმცირესობების უფლებების პატივისცემა				22	22
23. მოსწავლის როგორც პიროვნების და მისი უფლებების პატივისცემა				23	23
24. დამატებითი სწავლება				24	24
25. უცხო ენების ხარისხიანი სწავლება				25	25
26. სწავლა უცხო ენაზე				26	26
27. ხელოვლების/მუსიკის და სხვა წრეების სწავლების ხარისხი				27	27
28. ავითარებს სხვადასხვა მნიშვნელოვან სოციალურ უნარებს				28	28
29. აჩვევენ შრომისმოყვარეობას და პრობლემების დაძლევას				29	29
30. მოსწავლე სკოლაში თავს გრძნობს კონფორტულად/ სიამოვნებით დადიან სკოლაში				30	30
31. უმაღლესისთვის მომზადება				31	31
32. ითვალისწინებენ მშობლების სურვილებს				32	32
33. მშობლების მაღალი ჩართულობა სწავლის პროცესში, მშობლებთან ხშირი კონტაქტი ინფორმირება				33	33
34. სკოლაში ფსიქოლოგიური ატმოსფერო				34	34
35. ქმნის ყველა პირობას მომავალი წარმატებისათვის				35	35
36. კარგი ოჯახისშვილები სწავლობენ				36	36
37. ამ სკოლაში სწავლისათვის აუცილებელია მატერიალური კეთილდღეობა				37	37
38. უცხოეთში სწავლის გაგრძელებისათვის საჭირო ცოდნისა და პირობების შექმნა				38	38

M28. თქვენი აზრით დღეს საქართველოში არის თუ არა საკმარისი არჩევანი სკოლებს შორის, რომელიც მეტ-ნაკლებად ასახავს ყველა ტიპის მოთხოვნას?

1. კი
2. არა
3. არ ვიცი

M29. დღეს რომ ირჩევდეთ რომელ სკოლაში მიიყვანოთ თქვენი შვილი კერძო სკოლაში მიიყვანდით თუ სახელმწიფოში?

1. კერძოში
2. სახელმწიფოში
3. არ ვიცი

M30. რატომ მიიყვანდით თქვენს მიერ დასახელებული ტიპის სკოლაში?

1. ეკონომიურად მისაწვდომია
2. პრესპიჟულია
3. კარგი სწავლის პირობების გამო
4. მაღალი ხარისხის სწავლების გამო
5. კომპორტულია მშობლისთვის სთავაზობს დამატებით მომსახურებებს ტრანსპორტს, გახანგრძლივებულ სწავლებას . . .
6. უსაფრთხო გარემოა
7. კარგი მეგობრები ეყოლება, რადგან ამ სკოლაში ძირითადად კარგი ოჯახიშვილები სწავლობენ
8. ახლოს არის ტერიტორიულად
9. სხვა_____
10. სხვა_____

M31. თქვენი აზრით არის თუ არა განსხვავება კერძო და სახელმწიფო სკოლებს შორის სწავლების ხარისხში

1. დიახ ძალიან დიდი განსხვავებაა კერძო სკოლების უმეტესობა ბევრად მაღალი ხარისხის განათლებას უზრუნველყოფს
2. დიახ ძალიან დიდი განსხვავებაა სახელმწიფო სკოლებში უფრო ხარისხიანი სწავლებაა ვიდრე კერძო სკოლებში
3. არ არის დიდი განსხვავება, დაახლოებით ერთნაირი სწავლის ხარისხს უზრუნველყოფენ
4. არ ვიცი

M32. დამისახალეთ 3 ძირითადი მიზეზი რითაც კერძო სკოლა ჯობია სახელმწიფოს

1. _____
2. _____
3. _____

M33. დამისახალეთ 3 ძირითადი მიზეზი რითაც სახელმწიფო სკოლა ჯობია კერძოს

1. _____
2. _____
3. _____

M34. თქვენი აზრით კერძო სკოლების უმეტესობაში სერვისის ხარისხი შეესაბამება თუ არა მის ფასს?

1. სრულად შეესაბამება
2. ხარისხი უფრო მაღალია ვიდრე ფასი
3. ფასი უფრო მაღალია ვიდრე ხარისხი

M35. თქვენი აზრით რამდენად მისაწვდომია კერძო სკოლები საშუალო შემოსავლის ოჯახისათვის?

1. იმდენად ძვირია რომ სრულიად მიუწვდომელია
2. ოჯახისათვის თუ პრიორიტეტს წარმოადგენს შეძლებს დააფინანსოს თუმცა საკმაოდ ძვირია
3. მისაწვდომია
4. არ ვიცი/მიჭირს პასუხი

M36. მე თქვენ დაგისახელებთ თვისებებს და გთხოვთ 10 ბალიან შკალაზე განმისაზღვროთ რამდენად ახასიათებთ ეს თვისებები კერძო სკოლის მოსწავლეებს და სახელმწიფო სკოლის მოსწავლეებს

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

სრულიად არ ახასიათებს — სრულიად ახასიათებს

	კერძო სკოლის მოსწავლეებს	სახელმწიფო სკოლის მოსწავლეებს
ცოდნა		
თანამედროვეობა		
ჯანმრთელობა		
გამოხატვის თავისუფლება		
კრეატიულობა		
გულწრფელობა		

შინაგანი სილაღე		
თავდაჯერებულობა		
სწავლის მოტივი		
შრომისუნარიანობა		
შესაბაისობა საერთაშორისო სტანდარტებთან		
გარეგნული სილამაზე		
მიზანდასახულობა		
მეგობრულობა		
მადლიერება		
მშობლებთან კარგი ურთიერთობა		
ამბიციურობა		
კონფლიქტურობა		
მაღალი შფოთვის დონე		
სწრაფვა წარმატებისკენ		

M37. პგთხოვთ დამისახელოთ რა რობლემები არსებობს დღეს სახელმწიფო სკოლებში (შეუსაბამეთ დახურვებს)

M38. გთხოვთ დამისახელოთ რა პრობლემები არსებობს დღეს კერძო სკოლებში (შეუსაბამეთ დახურვებს)

	M37.	M38.
სასკოლო განათლების არასწორი პოლიტიკა	1	1
მასწავლებლების დაბალი კვალიფიკაცია	2	2
მასწავლებლების დაბალი მოტივაცია სწავლების პროცესის მიმართ	3	3
ასაკოვანი მასწავლებლების სიმრავლე	4	4
წესრიგისა და დისციპლინის არარსებობა	5	5
მასწავლებლების უხეში მოპყრობა	6	6
გაუმართავი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არასაკმარისი ინფრასტრუქტურა	7	7
კლასებში მოსწავლეთა დიდი რაოდენობა	8	8

არასაკმარისი ყირადღება მოსწავლეების მიმართ	9	9
დაბალი დისციპლინა	10	10
კორუფცია მასწავლებლების მხრიდან	11	11
სკოლის არასწორი მართვა	12	12
ცუდი სახელმძღვანელოები	13	13
მოსწავლეების გულგრილობა სწავლის მიმართ	14	14
მშობლების უყურადღებობა შვილების სწავლისადმი	15	15
არ აჩვევენ დამოუკიდებელ აზროვნებას	16	16
არასწორი ღირებულებების დანერგვა	17	17
ფიზიკური აღზრდისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის უგულებელყოფა	18	18
ფარული ხარჯები როგორიცაა სხვადასხვა მიზნით თანხის აკრეფა	19	19
არ არის დაცული უსაფრთხოება	20	20
არ ვიცი	21	21

M39. არსებობს სამი ძირითადი მიდგომა კერძო/სახელმწიფო სკოლის არჩევისას. თქვენთვის რომელია უფრო მისაღები?

1. მირჩევნია საჯარო სკოლაში ვატარო, უფასო იყოს სწავლა და სხვადასხვა საგანში მოვამზადო
2. კერძო სკოლაში ვატარებ, მართალია ძვირია, მაგრამ სამაგიეროდ დამატებით არაფერში აღარ ვამზადებ
3. კერძო სკოლაში ვატარებ და ძირითად საგნებში მოვამზადებ
4. სხვა

_____

M40. კერძო სკოლაში სწავლება ნიშნავს თუ არა თქვენთვის იმის გარანტიას რომ არ დასჭირდება კერძო მასწავლებლებთან მომზადება?

1. დიახ
2. არა

M41. თქვენი აზრით არსებობს თუ არა კერძო სკოლების საკმარისი ალტერნატივა თქვენთვის სასურველი სკოლის ასარჩევად?

1. კი საქართველოში საკმარისი არჩევანია კერძო სკოლებს შორის რომ ყველანაირი მოთხოვნის დაკმაყოფილება იყოს შესაძლებელი
2. არა არჩევანი საკმაოდ მწირია
3. არ ვიცი

M42. როგორ შეადარებდით საქართველოში და ევროპის ქვეყნების კერძო სკოლების ხარისხს?

შემოსავლის რაოდენობა საშუალებას რომ გაძლევდეთ გაუშვებდით თუ არა თქვენს შვილს ევროპულ სკოლაში სასწავლებლად?

1. კი
2. არა
3. არ ვიცი

M43. თქვენი აზრით ცოდნისა და უნარების ნაკრები რომელსაც უნდა აძლევდეს სკოლა ბავშვს 100%-ად რომ ავიღოთ, თქვენი აზრით რეალურად რამდენ პროცენტს უზრუნველყოფს სკოლა, რამდენს რეპეტიტორები და რამდენს ოჯახი

	1. თქვენი სკოლა	2. სახელმწიფო სკოლა	3. კერძო სკოლა
1.სკოლა			
2.რეპეტიტორები			
3.ოჯახი			
ჯამი 100%	ჯამი 100%	ჯამი 100%	ჯამი 100%

M44. თქვენი აზრით საშუალო უნარების მქონე მოსწავლისათვის შესაძლებელია თუ არა ხარისხიანი სასკოლო განათლების მიღება რეპეტიტორების დახმარების გარეშე?

(ბ) შესაძლებელია
(ბ) არ არის შესაძლებელი
(ბ) არ ვიცი/მოჭირს პასუხის გაცემა

M45. როგორ ფიქრობთ დაახმართ თუ არა თქვენს შვილს რეპეტიტორებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად

(გ) კი
(გ) არა
(გ) არ აპირებს ერთიანი ეროვნული გამოცდებოს ჩაბარებას
(გ) არ ვიცი

M46. საიდან მიიღეთ ძირითადი ინფორმაცია ის მკოლის შესახებ რომელშიც მიიყვანეთ თქვენი შვილი

(დ) ახლობლებისგან
(დ) ინტერნეტით
(დ) თვითონ სკოლისაგან
(დ) სარეკლამო მასალით
(დ) სხვა _____

M47. როდესაც მეგობრებთან, ნათესავებთან, თანამშრომლებთან ან მეზობლებთან ერთად

იკრიბებით, რამდენად ხშირად საუბრობთ განათლების სფეროზე? თქვენი შვილის სკოლაზე? პედაგოგებზე?

1. ყოველდღე
2. კვირაში რამდენჯერმე
3. კვირაში ერთხელ
4. თვეში რამოდენიმეჯერ
5. თვეში ერთხელ ან ორჯერ
6. წელიწადში რამოდენიმეჯერ
7. არასდროს

M48. სად სწავლობენ თქვენი ახლობლების შვილების უმეტესობა?

(ბ) კერძო სკოლაში

(ბ) სახელმწიფო სკოლაში

M49. რამდენად ხშირად ეხმარებით ბავშვს მეცადინეობის პროცესში?

(გ) ყოველდღიურად

(გ) კვირაში 2-3-ჯერ

(გ) თვეში რამდენჯერმე

(გ) თითქმის არ ვარ ჩართული

M50. როგორ დადის თქვენი შვილი სკოლაში ძირითადად?

(დ) ფეხით

(დ) მუნიციპალური ტრანსპორტით

(დ) ოჯახის მანქანით

(დ) სკოლის ავტობუსით

(დ) სხვა_____

M51. დაახლოებით რა დროს ანდომებს თქვენი შვილი სახლიდან სკოლამდე მისვლას (მანქანით ან ფეხით როგორიც არის მისი ძირითადი პრაქტიკა)

(ჩაწერეთ) _____ წთ

M52. გთხოვთ შემიფასოთ მასწავლებლები შემდეგი მახასიათებლების მიხედვით?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

სრულიად არ ახასიათებს — სრულიად ახასიათებს

	1.სახელმწიფო	2.კერძო	3.თქვენი

	სკოლა	სკოლა	სკოლა
1. სასიამოვნო გარეგნობის			
2. მკაცრი			
3. მომთხოვნი			
4. სამართლიანი			
5. ყურადღებიანი			
6. ლოიალური			
7. ბავშვებთან ურთიერთობის მცოდნე და მოყვარე			
8. თავაზიანი			
9. კეთილგანწყობილი			
10. მომთმენია თუკი მოსწავლეს რაიმე არ ესმის			
11. ენდობა მოსწავლეებს			
12. მოსწავლეებს სიამოვნებთ მასთან ურთიერთობა			
13. განვითარებული აქვს თანაგანცდის უნარი			
14. ცდილობს გაიგოს რას ფიქრობს მოსწავლე კონკრეტულ საკითხზე			
15. იჩენს პატივისცემას მოსწავლეების მიმართ			
16. ცდილობს განავითაროს მოსწავლეში დამოუკიდებელი აზროვნება და გადაწყვეტილების მიღების უნარი			
17. დისციპლინის მოყვარული			
18. ურთიერთობისას ხშირად უღიმის ბავშვებს			
19. მოსწავლეებს მისი ეშინიათ			
20. აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას			
21. ფიზიკურად სჯის			
22. უხეშია ურთიერთობაში			

M53. როგორია თქვენი შვილის მასწავლებლების საშუალო ასაკი? _____

M54. თუკი სწავლას მივადგებით როგორც მოსწავლის მომავალ წარმატებაში ინვესტიციას, თქვენი აზრით რომელი ეტაპია ყველაზე მნიშვნელოვანი რომელშიც მშობელმა უნდა ჩადოს ინვესტიცია მომავალი წარმატებისათვის (ერთი პასუხი):

1. დაწყებითი სკოლის ეტაპი 1-6 კლასი
2. საბაზო 7-9 კლასამდე

3. საშუალო მე-10 კლასიდან მე-12 კლასამდე

4. უმაღრლესისათვის მომზადების ეტაპი

5. უმაღლესი განათლება

M55. გთოვთ მიპასუხოთ, რამდენად ხშირად უყურებთ ტელევიზიით, უსმენთ რადიოს, კითხულობთ ინტერნეტით განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებს?

	ტელევიზია	რადიო	ინტერნეტი
ყოველდღე	1	1	1
კვირაში რამდენჯერმე	2	2	2
კვირაში ერთხელ	3	3	3
თვეში რამოდენიმეჯერ	4	4	4
თვეში ერთხელ ან ორჯერ	5	5	5
წელიწადში რამდენჯერმე	6	6	6
არასდროს	7	7	7

M56. თქვენი შვილი, რომელზეც ვისაუბრეთ გოგოა თუ ბიჭი?

1. გოგო
2. ბიჭი

D1. სქესი 1. ქალი 2. კაცი

____

____

D2. ასაკი _

D3

	1.დედა	2.მამა
განათლება		
არასრული საშუალო/საშუალო	1	1
პროფტექნიკუმი/ტექნიკუმი/საშუალო სპეციალური სასწავლებელი	2	2
არასრული უმაღლესი	3	3
უმაღლესი	4	4

D4. რა არის თქვენი რელიგია?

1. მართლმადიდებელი
2. კათოლიკე
3. გრიგორიანელი
4. იუდეველი
5. მუსულმანი
6. სხვა (მიუთითეთ) _____

D5. დასაქმების ტიპი: (წაუკითხეთ!)

	1.დედა	2.მამა
ხელმძღვანელი სახელმწიფო დაწესებულებაში/საწარმოში	1	1
ხელმძღვანელი კერძო საწარმოში	2	2
ხელმძღვანელი უცხოურ ორგანიზაციაში	3	3
ხელმძღვანელი არასამთავრობო ორგანიზაციაში	4	4
მოსამსახურე სახელმწიფო დაწესებულებაში\საწარმოში	5	5
მოსამსახურე კერძო საწარმოში	6	6
მოსამსახურე უცხოურ ორგანიზაციაში	7	7
მოსამსახურე არასამთავრობო ორგანიზაციაში	8	8
მუშა სახელმწიფო საწარმოში	9	9
მუშა კერძო საწარმოში	10	10
მეწარმე/ბიზნესმენი	11	11
სტუდენტი	12	12
თვითდასაქმებული	13	13

პენსიონერი\პენსიონერი ინვალიდობის მიზეზით	14	14
დიასახლისი	15	15
უმუშევარი	16	16
სხვა	17	17

D6. რამდენი ადამიანისგან შედგება თქვენი ოჯახი? (ჩაწერეთ!) _____

D7. რამდენი 18 წლამდე ასაკის ბავშვი გყავთ? (ჩაწერეთ!) _____

D8. რა თანხას იხდით ბავშვის განათლებაზე ერთი თვის განმავლობაში? (იგულისხმება სკოლის გადასახადი, კერძო მომზადების გადასახადი, წრეებზე სიარული და ა.შ?)

ჩაწერეთ _____

D9. (კითხეთ თუ ბავშვი სწავლობს კერძო სკოლაში) რა თანხას იხდით ყოველთვიურად?

ჩაწერეთ _____

D10. თქვენი ოჯახის საერთო თვიური შემოსავლის რამდენ პროცენტს ხარჯავთ Gგანათლებაზე (კერძო რეპეტიტორები საგნებში, წრეები, წიგნები, კომპაქტ-დისკები, შესაბამისი საკანცელარიო საგნები)?

_____%

D11. როგორ შეაფასებდით თქვენი ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას?

1. შემოსავალი არ გვყოფნის კვებაზე
2. შემოსავალი საუკეთესო შემთხვევაში გვყოფნის მხოლოდ კვებაზე
3. შემოსავალი გვყოფნის კვებაზე და ტანსაცმელზე
4. შემოსავლით შეგვიძლია ყოველდღიური ხარჯების გარდა (რაც არის საკვები ტანსაცმელი, მგზავრობა)
5. ხარჯი გავწიოთ დასვენებისთვის, გართობისთვის 5. შემოსავალი სრულიად უზრუნველყოფს ოჯახის ყველა მოთხოვნილებას

D12. რომელ ფენას მიაკუთვნებთ თქვენს ოჯახს?

1. მაღალშემოსავლიანი
2. შემოსავლიანი
3. საშუალო შემოსავლიანი
4. დაბალშემოსავლიანი
5. ღარიბი

D13. გთხოვთ მითხრათ, რა არის დაახლოებით თქვენი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი?

(წაუკითხეთ!**)**.

1. 50 ლარზე ნაკლები
2. 51-100 ლარი
3 . 101-200 ლარი
4. 201-300 ლარი
5. 301-500 ლარი
6. 501-700 ლარი
7. 701-1000 ლარი
8. 1001-1500 ლარი
9. 1501-2000 ლარი
10 . 2001-3000 ლარი
11. 3001-5000 ლარი
12. 5000 ლარზე მეტი
13. (არ ვიცი/უარი პასუხზე)